# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 14 ივლისი 2001 №131 (1404) | ფასი 50 თეთრი


BEIJING 2008

# პეკინი 2008!

## მილიარდი სიხარული



REUTERS

მთელი ჩინეთი ფეხზე დადგა: ეს-ესაა, პეკინი 2008 წლის ოლიმპიადის დედაქალაქად გამოცხადდა

**გუშინ მოსკოვში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი აირჩიეს. არჩევნებს მხოლოდ ორი ტური დასჭირდა**

### პირველი ტური

| | | |
|---|---|---|
| პეკინი | 44 | ხმა |
| ტორონტო | 20 | ხმა |
| სტამბოლი | 17 | ხმა |
| პარიზი | 15 | ხმა |
| ოსაკა | 6 | ხმა |

### მეორე ტური

| | | |
|---|---|---|
| პეკინი | 56 | ხმა |
| ტორონტო | 22 | ხმა |
| პარიზი | 18 | ხმა |
| სტამბოლი | 9 | ხმა |

„სარბიელის“ საგანგებო კორესპონდენტის ემზარ ზენაიშვილის მოსკოვური რეპორტაჟი იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე



*ვის-ვის და ალბათ პარლამენტარსაც ეთქმის ერთი-ორი სიტყვა ჩვენს ფეხბურთში არსებულ ვითარებაზე. იყო დრო, ქართულ ფეხბურთში ერთბაშად რამდენიმე პარლამენტარი მოღვაწეობდა, ახლა კი მათი რიცხვი შემცირდა...*

*ჯაზის და ფეხბურთის დიდი მოტრფიალე გივი შულაროვი ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს წევრია, არის პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯდომარის პირველი მოადგილე. მისი სპორტული და საფეხბურთო თანამდებობა კი ასეთია — ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი...*

*უქმეებზე გივი შულაროვი მუშტაიდის პარკში დადის ფეხბურთის სათამაშოდ. პარლამენტის გუნდის ღირსებას იცავს და ქართული ფეხბურთის ყოფილ ვარსკვლავებთანაც აგორებს ბურთს... თუმც არც ყოფილი კიროვის პარკია მისთვის უცხო, სწორედ იქაურ გულშემატკივართა მარაქიდანაა ᲒᲘᲕᲘ ᲨᲣᲚᲐᲠᲝᲕᲘ...*

# დაშნიზაციის წამალი დაშმიზაციაა

## პარლამენტართან ფეხბურთზე კამათმა ფოლკლენდის კუნძულებზეც გადაინაცვლა

**— ბატონო გივი, რას დაარქმევდით იმას, რაც დღეს ქართულ ფეხბურთში ხდება?**

— ფეხბურთი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია და ძალიან განვიცდი იქ შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას. ჩემი თაობის ხალხს ხომ კარგად გვახსოვს, თუ რა დონის ფეხბურთელები გვყავდა და წარმატებებსაც ვაღწევდით. ახლა კი, როცა დამოუკიდებელი ქვეყანა გავხდით და საშუალება მოგვეცა, ეროვნული ნაკრების დონეზეც წარმოვაჩინოთ თავი, ველარ ვახერხებთ ჩვენი ენერგიის მატერიალიზაციას. ყველაფერს ამას მარტივი ახსნა არა აქვს, რადგან გარდა იმისა, რომ ფეხბურთი ძალიან კარგი სანახაობაა, ის აგრეთვე უმსხვილესი კომერციის სფეროა და დიდი პოლიტიკის ნაწილიც.

მსოფლიოს ჩემპიონატების ხუთ ფინალურ ეტაპზე ვარ ნამყოფი, სადაც თავიანთი ეროვნული ნაკრების თამაშებზე მაღალი რანგის პოლიტიკოსებიც ჩადიან, ხშირად ქვეყნების პირველი პირებიც. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ ფეხბურთი დიდი პოლიტიკაა, საფეხბურთო მატჩებს ხომ ხანდახან 100 000 ამომრჩეველი ესწრება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკოსისთვის, რომელიც ამხელა ელექტორატს უყრის თავს სტადიონზე.

ფეხბურთი ძალიან დიდი სოციალური ფენომენიცაა. მას შეუძლია აღმშენებლის და დამანგრევლის ფუნქციაც იკისროს. მახსოვს, როცა რაიკომის მდივნად ვმუშაობდი, თბილისის „დინამოს" წარმატებით გამოსვლის პერიოდში მოსახლეობის შრომისნაყოფიერება 20-25 პროცენტით გაიზარდა...

ფეხბურთს სახელმწიფოსგან ზრუნვა სჭირდება, ქვეყნის ეკონომიკა ძლიერი უნდა იყოს და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი გარემო შეიქმნას.

**— ფეხბურთი დიდი პოლიტიკის ნაწილია და სახელმწიფოსგან ზრუნვა ესაჭიროებაო, ბრძანეთ. ჰოდა, თქვენ, როგორც პარლამენტარსა და ფრაქცია მოქკავშირის საბჭოს წევრს, მსურს გკითხოთ: რატომ მოხდა, რომ ასეთი ტრადიციებისა და სახელის მქონე გუნდის, თბილისის „დინამოს" გაპარტახება ყველას ხახვივით შერჩა? ეს ფაქტი ხომ პირდაპირ კავშირშია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასთან.**

— ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკასთან მიდის, მაგრამ ისიცაა, რომ ყველას თავის საქმე აქვს. „დინამოს" გამჩანაგებლებზე ჩემი თანამდებობიდან და საქმიანობიდან გამომდინარე ხელი არაფრით მიმიწვდება, ამას შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მიხედონ. თუმც, დაუსჯელობის მომენტის არსებობა, არა მარტო ფეხბურთში, ძალიან ცუდ შედეგებს გვაძლევს.

**— ეროვნულ გუნდზე გადავერთოთ. ყველას გვინდა, ნაკრების ფეხბურთელებმა თავი დადონ მინდორზე, ეროვნული ჰიმნის მოსმენისას გული აუჩუყდეთ, პატრიოტული ძარღვი აუტოკდეთ, მაგრამ აქვს კი ეროვნული ნიჰილიზმით შეპყრობილ საზოგადოებას უფლება, ვინმეს მკაცრად მოსთხოვოს ასეთი რამ?**

— გეთანხმებით, ეროვნული ნიჰილიზმი მართლაც არსებობს და რაც თქვენ აღნიშნეთ, ძალიან დასაფიქრებელია, მაგრამ რადგან ნიჰილიზმია ამიტომ ნაკრების ფეხბურთელებს თავდადება არ მოეთხოვოთ?

როცა საფრანგეთი 98-ზე ვიყავი, საგანგებოდ ვაკვირდებოდი ხორვატიის ნაკრებს და მის გულშემატკივრებს. ხორვატია ჩვენსავით პატარა ქვეყანაა, დაახლოებით ჩვენნაირი კატაკლიზმები გადაიტანა, მაგრამ მათი გუნდი ერთ მთლიან ორგანიზმად იყო შეკრული, ნიჭი აქვთ და თავიც დადეს, პრემიებზე კი უარი თქვეს. ცხადია, ყველა ფეხბურთელს უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესოდ წარმოაჩინოს თავი და დიდი ფასი დაედოს, მაგრამ დარწმუნებულ ვარ, ხორვატები ამის გარდა იმაზეც ფიქრობდნენ, ხალხისთვის ეროვნული თვითგამორკვევის გრძნობა გაეძლიერებინათ და მათვის სიხარული მოეტანათ.

**— ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ხორვატთა მაგალითი ჩვენთვის გამოგვადგება. ხორვატიამ სერბიასთან ომში გაიმარჯვა, ის გამარჯვებული ქვეყანაა, ჩვენ კი ყველგან დავმარცხდით და საქართველო ახლაც მუხლმოყრილია...**

— რა თქმა უნდა, როცა გამარჯვებული ქვეყანა ხარ, სულ სხვაა, სხვანაირი გრძნობები გეუფლება. მაგრამ არგენტინამაც ხომ წააგო ომი ინგლისთან ფოლკლენდის კუნძულებისთვის, მაგრამ ოთხ წელიწადში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ასე რომ, ვთვლი, ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

აქ ერთიცაა. წარმატებებისთვის თაობა უნდა წამოვიდეს. თბილისის „დინამოს" გამარჯვებების დროსაც ხომ ასე მოხდა — ნოდარ ახალკაცის სახით, შეიძლება ითქვას, პირველი პროფესიონალი მწვრთნელი გამოჩნდა ჩვენში და მას ფეხბურთელთა ბრწყინვალე თაობასთანაც მოუწია მუშაობამ. დიდი ფეხბურთელები, თანაც ერთბაშად, ყოველთვის არ მოდიან.

ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენი ფეხბურთელების ახლანდელმა თაობამ, რომლებიც ნაკრების ბირთვს წარმოადგენენ, თავიანთი პიკი უკან მოიტოვეს, მაქსიმალურად ვერ გამოიყენეს ნიჭი და ამაში, ალბათ, ყველაა დამნაშავე, სფფ, მწვრთნელები...

**— და ალბათ ჩვენი საზოგადოებაც. ის, რაც კრისტოფ დაუმს შეემთხვა, ყველამ კარგად ვიცით. არ გაქვთ სურვილი, წამოაყენოთ იდეა, რომ თმის ღერი ჩვენმა საფეხბურთო მოღვაწეებმაც ჩააბარონ?**

— როცა ლაპარაკი ეხება სფეროს, სადაც ხალხთან, ახალგაზრდებთან და ბავშვებთან გაქვს საქმე, სადაც აღმზრდელობითი პროცესიც მიდის, იქ ყველაფერი სუფთა უნდა იყოს. არ შეიძლება ეჭვებზე რაღაცის აგება, მაგრამ თუ ვინმეზე გაჩნდება ეჭვი, მით უმეტეს, სპორტში და ფეხბურთში, თვითონ ის უნდა იყოს დაინტერესებული, ასეთი გამოკვლევა ჩაიტაროს.

**— ამ ეტაპზე რითი შეუძლია სახელმწიფოს ფეხბურთს დაეხმაროს?**

— სახელმწიფომ კი იცის, რაც ხდება, მაგრამ სურვილი და ფინანსური შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვევა. იმისთვის უნდა ვილვაწოთ, რომ ფეხბურთის განვითარებისთვის წესიერი ინვესტორები მოვიზიდოთ.

თუმც პირიქით, ფეხბურთსაც შეუძლია ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა. 1978 წელს არგენტინაში საკმაოდ რთული შიდაპოლიტიკური სიტუაცია იყო, მაგრამ ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ ერი ერთ მუშტად შეიკრა და საზოგადოების გაჯანსაღების პროცესიც იქიდან დაიწყო.

**— თბილისის „დინამო" რომ შსს შემოსავლებით ფინანსდება, ამას არ თვლით სახელმწიფოს ხელშეწყობად?**

— რატომაც არა, შსს ხომ სახელმწიფო უწყებაა, თანაც ეს თანხები ადვილად ექვემდებარება კონტროლს. მხიბლავს უკრაინის ვარიანტი, კიევის „დინამო" ხომ ოფიციალურად ზის ქვეყნის ბიუჯეტში. მივესალმები „ლოკომოტივის" სტადიონის აშენებას — რკინიგზის დეპარტამენტიც სახელმწიფო სტრუქტურაა. სპორტში თანხის ჩადება კეთილი საქმეა. სახელმწიფოსთვის განათლება, კულტურა და სპორტი პრიორიტეტი უნდა იყოს. თუ გვინდა მომავალი გვქონდეს, ასე უნდა მოვიქცეთ. ეს ქვეყნისთვის დიდი დივიდენდების მომტანია.

**— ჩვენი საუბრის ბოლოს რას გვეტყოდით?**

— ტალანტები აუცილებლად გამოჩნდებიან, მთავარია, მომავალ თაობას პირობები შევუქმნათ. არ შეიძლება ისე მოხდეს, რომ პირველ რიგში ფეხბურთში, სპორტის დანარჩენ ბურთიან სახეობებში, ჭიდაობაში ქართველებმა თავი ვერ წარმოაჩინონ, გენეტიკურად ხომ ყველა ეს ქართველების სპორტია...

ჩვენი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს კი ვთხოვ, მაქსიმალურად შეეცადონ, პატარა სიხარული მაინც მოუტანონ გულშემატკივრებს — დარჩენილი სამი თამაში, ფაქტობრივად, ვერაფერს წყვეტს, მაგრამ ხალხს დაანახონ, რომ მათთვის ყველაფერს აკეთებენ.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲙᲘᲚᲐᲫᲔ**

# რკინიგზელთა პროგრესია

## გამიტან ერთს, გაგიტან სამს, გამიტან ორს, გაგიტან ოთხს

**ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ** ქალაქ ტრიავნაში მოსამზადებლად მყოფმა საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა თბილისის „ლოკომოტივმა" ბულგარეთის პირველი ლიგის გუნდებთან კიდევ ორი ამხანაგური მატჩი გამართა და კვლავ გაიმარჯვა. სამშაბათს რკინიგზელებმა ლაცაბიძის, ონიანის, ანჩაბაძისა და გოგიჩაიშვილის გოლებით მეტოქე 4:1 დაამარცხეს, ოთხშაბათს კი დათვაძის, ანჩაბაძისა და გოგიჩაიშვილის ორ გატანილ ბურთს მასპინძლებმა ორით უპასუხეს.

— ჩინებული მოსამზადებელი პირობები გვაქვს. ყოველდღიურად დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. თავიდან ბიჭებს კი გაუჭირდათ, ისინი ფიზიკურად საკმაოდ დავტვირთე, მაგრამ ნელ-ნელა ჩემს სავარჯიშო მეთოდს შეეჩვივნენ და ახლა ყველა ნორმალურად გამოიყურება. დიდ ყურადღებას ვაქცევ აღდგენით პროცესს, რაც მოსამზადებელ პერიოდში ერთობ მნიშვნელოვანია — გვითხრა „ლოკომოტივის" მწვრთნელმა კახა ცხადაძემ, რომელსაც ტრიავნაში დავუკავშირდით — დღესდღეობით ტრავმირებულნი ჭიჭველიშვილი და კაიდარაშვილი არიან, ორივეს ცერა თითი აწუხებს. ორივეს სამკურნალოდ სამი-ოთხი დღე კიდევ სჭირდება. ამ ეტაპზე გუნდის მომზადების დონით კმაყოფილი ვარ, ბიჭები მონდომებულნი არიან და, რაც მთავარია, გუნდის ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია.

„ლოკომოტივმა" ასეთი შემადგენლობებით ითამაშა: *ლომაია; სალუქვაძე, ბაქრაძე, ლაცაბიძე; ონიანი, ბალაშვილი, ქორიძე, გილაური; ანჩაბაძე, სირბილაძე, გოგიჩაიშვილი.*

*ლომაია; ბაქრაძე, ლაცაბიძე, სალუქვაძე; მორჩილაძე, ბალაშვილი, ქორიძე, გილაური; დათვაძე (ანჩაბაძე), სირბილაძე, გოდერძიშვილი (გოგიჩაიშვილი).*

შეგახსენებთ, „ლოკომოტივმა" ამ ორის გარდა, წინა კვირაშიც ორჯერ ითამაშა და 3:0 და 3:1 მოიგო. რკინიგზელებს დღეს ვარნის „სპარტაკთან" აქვთ დაგეგმილი შეხვედრა, 17-ში „მარეკთან". შინ ისინი 19 ივლისს დაბრუნდებიან.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# ფოთელების საკონტროლო-საკურორტო

**ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲣᲚ** შეკრებაზე მყოფმა ფოთის „კოლხეთმა" საკონტროლო თამაშებში მოგებათა სერია გუშინაც გააგრძელა. ფოთელებმა ვაჟა ყურაშვილის პირველ ტაიმში გატანილი გოლით ბულგარეთის ჩემპიონატის პირველლიგელი „დობრუჯა" კურორტ ალბენაში 1:0 დაამარცხეს.

სოსო ფილიამ გუნდი ორივე ტაიმში სხვადასხვა შემადგენლობით ათამაშა. პირველ ნახევარში ბულგარელებს სათადარიგოები დაუპირისპირდნენ, მეორეში მწვრთნელმა „ნაცად გვარდიას" უხმო. ანუ საბრძოლო თერთმეტეული გავიდა მინდორზე. დღეს „კოლხეთი" მეორე მატჩს გამართავს. მეტოქე ამჯერად უფრო სერიოზული და ტიტულიანი ბურგასის „ნეფტოხიმიკი" გახლავთ. ქიმიკოს-მენავთობეები ორი წლის წინ ბულგარეთის ეროვნულ ჩემპიონატში ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲑᲐᲙᲘᲫᲔ**

# უნგრეთის უმაღლესში ერთი ქართველი ხომ უნდა იყოს?!

**ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ** კიდევ ერთი ქართველი ითამაშებს.

ქუთაისის „ტორპედოს" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა კახა ჩხეტიანმა, ორიოდ დღის წინ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა უნგრეთის თასის მფლობელ „დებრეცენთან".



კახა ჩხეტიანი

კახა ჩხეტიანი, რომელსაც საქართველოს წინა ჩემპიონატის მეორე წრეში, ფაქტობრივად, არ უთამაშია, უკვე კარგა ხანია, დებრეცენშია. იგი უნგრეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე „დებრეცენთან" ერთად ვარჯიშობდა და, როგორც იქნა, კონტრაქტიც გააფორმა.

დებრეცენშივე იმყოფება მეორე ქართველი, წყალტუბოს „სამგურალის" მცველი რამაზ კვერნაძე, თუმც მისი მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია.

„დებრეცენი" კი ის კლუბია, რომელიც წლეულს ფინალში „ვიდეოტონის" 5:2 დამარცხებით უნგრეთის თასს დაეუფლა და ქვეყნის უმაღლესი ლიგიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა — ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილი დაიკავა. ბოლო კი „ტატაბანია" იყო, რომელშიც ჩვენებური ვალერი ზირაქიძე თამაშობს.

**ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ
ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚ-ᲨᲘ
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ
ᲐᲤᲠᲘᲙᲐ
ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔ 82 ᲜᲐᲛᲘᲑᲘᲐ

# კარნევალი გადარჩა: დარჩა სწავლის ძირი 0:6-ვით მწარეა

*...იყო რაღაც იმედი, მაგრამ სხვა დანარჩენივით ისიც გაქრა. ქართულმა საკლუბო ფეხბურთმა კიდევ ერთხელ წააგო ევროპასთან. არა, „ვიტ ჯორჯია“ ადრე თუ გვიან ინტერტოტოს მაინც გამოეთიშებოდა, მაგრამ ფრანგულ „ტრუასთან“ ექვსი უპასუხო გოლით მარცხი მეტისმეტი აღმოჩნდა. საპასუხო მატჩში მიღწეული ფრე გულის მოსაოხებლად საკმარისი არ იყო, რადგან „ეროვნულზე“ ნათამაშევს ბევრიც არ გაიხსენებს. ევროპაში 0:6 ეხსომებათ.*

*„ვიტ ჯორჯიას“ თავკაცი, კარნევალი, ათიოდ დღით იტალიას წავიდა, თუმც სინიორ ჯანი თავისას მოგვიანებით მაინც გვეტყვის. დღეს კი კლუბის პრეზიდენტი ზურაბ რუხაძე სხვა კუთხით გაარჩევს ვიტელთა ევროვოიაჟს.*



— „ტრუამ“ პირწმინდად დაგვამარცხა. ეს ძალიან გულდასაწყვეტი ფაქტი იყო კლუბის ხელმძღვანელობისთვის. ჩვენ დეტალურად ვისაუბრეთ წაგების მიზეზებზე. „ვიტ ჯორჯიას“ ოსერში ასე უსახელოდ არ უნდა წაეგო, მაგრამ საბოლოოდ უარყოფითად მაინც ვერ შევაფასებ ჩვენს მონაგარს.

ოთხი არასრული წელიწადია, რაც „ვიტ ჯორჯია“ არსებობს. გუნდის საშუალო ასაკი 21 წელიწადია, სულ მეორედ ვითამაშეთ ევროტურნირზე. ჩვენ ჯერაც მზარდი კლუბი ვართ და მომავალში ბევრი რამის სწავლა და გამოსწორება შეგვიძლია.

**— თქვენი აზრით, რა იყო ოსერში „ვიტ ჯორჯიას“ განადგურების მთავარი მიზეზი?**

— გარკვეულ უარყოფით მოვლენათა თანხვედრა. ამაში მე არ ვგულისხმობ იმას, რომ ძირითადის ოთხი ფეხბურთელი სხვადასხვა მიზეზის გამო გვაკლდა. ორი მატჩის ჯამში „რიდის“ ძლევამ ფეხბურთელები თავიანთ შესაძლებლობებში ზედმეტად დაარწმუნა. ამას ხელი „ტრუას“ მწვრთნელ ალან პერენის წინასამატჩო ინტერვიუებმაც შეუწყო. პერენის თქმით, „ტრუა“ არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ინტერტოტოზე თამაშს და მთელი ყურადღება ჩემპიონატისთვის სამზადისზე იყო გადატანილი.

ჩემი აზრით, ამ მიზეზებთან ერთად, გუნდმა თამაში ტაქტიკურად წააგო. „ვიტ ჯორჯია“ პირველი წუთიდანვე ეკვეთა მეტოქეს. ზურგი მოვიშიშვლეთ და დავისაჯეთ. ტაქტიკა მაშინაც არ შეცვლილა, როცა გოლი გავუშვით. მერე მეორეც მივიღეთ, მესამეც და... თამაშის მერე კარნევალიმ შეცდომა აღიარა, თუმც...

**— „სარბიელთან“ ერთ-ერთი ადრინდელი საუბრისას თქვენ განაცხადეთ, რომ „ვიტ ჯორჯიას“ თავისი ღირსება ავალდებულებს, დიდი ანგარიშით არავისთან დამარცხდესო. ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოსთან“ 4:0-ით წაგებას მწვრთნელი შეეწირა, რა იქნება ახლა?**

— მახსოვს ის სიტყვები და აზრი დღესაც არ შემიცვლია, მაგრამ ჯანი კარნევალი „ვიტ ჯორჯიაში“ კიდევ იმუშავებს. მე მივდივარ გარკვეულ კომპრომისზე, თუმცა ეს არ გახლავთ მხოლოდ ზნეობრივი. მიუხედავად „ტრუასთან“ მატჩში მწვრთნელის შეცდომებისა, კარნევალი მაინც დამოუკიდებლად განაგრძობს საქმიანობას. ჯერჯერობით მის საქმეში ვერავინ ჩაერევა. კლუბის თავკაცები მხოლოდ სატრანსფერო საკითხებზე იმუშავებენ, მწვრთნელი კი თავის საქმეს მიხედავს. ვიმეორებ, რომ არა გარკვეული მოსაზრებები, კარნევალი განთავისუფლდებოდა.

**— რა უფლება გვაქვს თქვენი, მით უფრო მწვრთნელის, კომპეტენციაში შევიჭრათ, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ „ვიტ ჯორჯიას“ რამდენიმე ფეხბურთელმა ოსტატობის პიკს მიაღწია. ისინი მეტად ველარ გაიზრდებიან.**

— ვერ დაგეთანხმებით. ისინი ნიჭიერი, ახალგაზრდა ბიჭები არიან და იმის პოტენციაც გააჩნიათ, რომ კიდევ დაოსტატდნენ. პრობლემა მათი მენტალიტეტი უფროა. ცუდია, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელი ამას ფიქრობს — „ვიტ ჯორჯია“ ვერასდროს სძლევს „ტრუას“, რადგან ჩვენ ქართველები ვართ და ისინი ფრანგებიო. სწორედ ასეთი აზროვნებაა აღმოსაფხვრელი.

მათ სურთ კარიერის უცხოეთში გაგრძელება? კი, ბატონო, ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ. მართალია, ჩვენს მოთამაშეებს გროშებად არავის დავუთმობთ, მაგრამ კლუბი ფინანსურ ბარიერს არავის შეუქმნის. მთავარია, მათზე ნორმალური კლუბებიდან მოთხოვნა იყოს და „ვიტ ჯორჯია“ არავის დააბრკოლებს.

ერთი კია, საქართველოს ვერც ერთი კლუბი ვიტელ ფეხბურთელს ვერ წაიყვანს. „ვიტ ჯორჯიას“ თითოეულ მოთამაშეს საკუთარი შვილივით ვუყურებ, მათი ავ-კარგის გამზიარებელი ვარ. ჩვენთან, საქართველოს პირობაზე, ჩინებული და სტაბილური გარემოა. თუ ეს ბიჭები „ვიტ ჯორჯიაში“ ვერ მოუმატებენ, მაშინ ვერც სხვა აქაურ კლუბებში შეძლებენ ოსტატობის ამაღლებას. უცხოეთისკენ კი კარი მუდამ ღია ექნებათ. არის მოთხოვნები გიორგი ყიფიანის, ედიკ საჯაიას, ლევან მელქაძის შესახებ და ვეცდებით, მათ გზა გავუკვალოთ. მერე სხვათა ჯერიც დადგება, ოღონდ ამ პროცესში „ვიტ ჯორჯია“ კიდევ უნდა გაძლიერდეს, ტოლფასი ალებით წამყვან მოთამაშეებს ერთად ვერ შეველევით.

**— „რიდთან“ და „ტრუასთან“ ოთხმა თამაშმა „ვიტ ჯორჯიას“ რა დადებითი და უარყოფითი თვისებები წარმოაჩინა?**

— ჩვენ დავრწმუნდით, რომ საშუალო ევროპულ კლუბებთან თანაბრად თამაში ძალგვიძს. „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებით დაინტერესდნენ და მომავალში უფრო მეტად დაინტერესდებიან. მთავარია, როგორ გამოვიყენებთ ამ პოტენციალს, კიდევ უფრო მეტის მისაღწევი გზა სწორედ უარყოფითმა მოვლენამ გვაჩვენა. კლუბის პრეზიდენტიდან დაწყებული, მწვრთნელ-ფეხბურთელებით დამთავრებული ყველამ გაორკეცებული ენერგიით უნდა ვიმუშაოთ.

**— ორ კვირაში მეცამეტე ჩემპიონატი დაიწყება. რა მიზნებით შეხვდება მას „ვიტ ჯორჯია“?**

— ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯია“ მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. ჩვენ გუნდის მთლიანი შემადგენლობა შევინარჩუნეთ. „ტრუასთან“ საპასუხო მატჩის შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ“ სამი დღე დაისვენა და წვრთნა განაახლა. მცხეთაში სავარჯიშო მოედანი მწყობრშია, სათამაშო მინდორი კარგად ნასვენი და მოვლილი. დრო აღარ დარჩა უცხოური შეკრებისთვის და გადავწყვიტეთ, ჩემპიონატამდე აქ მოვემზადოთ. გუნდში მოვიწვიეთ ახალგაზრდები — 18 წლის ფეიქრიშვილი, 19 წლის კვარაცხელია და ზაზაშვილი. თსუ-დან დავიმატეთ 19 წლის ბეროშვილი, 21 წლის არეშიძე და 22 წლის ზურაბ მეტრეველი. დავიბრუნეთ მეკარე მამარდაშვილი. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ სიმფეროპოლის „ტავრიასთან“, რათა ბესიკ თევდორაძე გამოვიბიროთ. ბათუმელი 19 წლის ნახევარმცველი უკვე ჩვენთან ვარჯიშობს და ალბათ ვიტელიც გახდება.

**მამუკა ქვანტალიანი**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *რევაზ ძოძუაშვილი* | ახვლედიანი (კოლხეთი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (დინამო), პ. ჯინჭარაძე (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი), იმედაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ა. შეყრილაძე (სამგურალი), კ. ჩხეტიანი (დებრეცენი, უნგრეთი), ვაჩიბერაძე, არჩვაძე (ბათუმი), დ. ჯანაშია (ტრანსფერზეა), ტოგონიძე, ლევან სილაგაძე (?) | სტურუა (თსუ), აკოფიანი (დილა), ლ. ქელიძე, ბერელიძე, გამეზარდაშვილი (ინტერი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (სამგურალი), გ. შენგელია, პარამონოვი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), პოროშინი (შერიფი, მოლდოვა), თ. მალანია (სკონტო 2, ლატვია), ძამსაშვილი (იბერია), გ. ჩხეტიანი (შევარდენი, ქუთაისი) | სამგურალი 0:0, 2:1, გურია 5:0, ბათუმი 4:2, მეტალურგი 6:1, 1:0, 8:1 |
| **ლოკომოტივი** *კახა ცხადაძე* | გ. შენგელია, პარამონოვი (ტორპედო), გივი კვარაცხელია (სკონტო, რიგა, ლატვია), ასლანაძე (გურია); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, დინამო) | დ. გოდერძიშვილი, დავითიძე (მერანი), ძოძუაშვილი (ერზერუმსფორი 2, თურქეთი), წერეთელი (ტრავმის გამო არ თამაშობდა), კობერიძე, ხურცილავა (ლოკომოტივი 3), სირბილაძე (თბილისი), გელა ქორიძე (ბათუმი); კახა ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 1:1 |
| **დინამო** *გივი ნოდია* | ი. შენგელია (მერანი), ხაჩირაშვილი (გორდა) | შალამბერიძე, შავგულიძე (კოლხეთი), ხუციშვილი (მერანი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (ტორპედო), ამისულაშვილი (იბერია), დარასელია (ცსკა, კიევი, უკრაინა), მამალაძე (ინტერი), ბ. შელია (დინამო 2), მიქავა (ტრაბზონსფორი 2, თურქეთი), ვ. ქუთათელაძე (?); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი) | |
| **ვიტ ჯორჯია** *ჯანი კარნევალი* | | ლ. კვარაცხელია, ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია 2), მამარდაშვილი, არეშიძე, ზ. მეტრეველი, ბეროშვილი (თსუ), ზაზაშვილი (ხალიბი), თევდორაძე (ტავრია, უკრაინა) | რიდი (ავსტრია) 1:0, 1:2, ტრუა (საფრანგეთი) 0:6, 1:1 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | შალამბერიძე, შავგულიძე (დინამო), ხუჭუა (გურია), ღაღანიძე (მეტალურგი, კრასნოიარსკი, რუსეთი) | ივეჩიანი (იბერია), მიქელთაძე (იბერია), ახვლედიანი (ტორპედო), ქუტიძე (ქობულეთი), გიორგი კვარაცხელია, მ. ფილია (კოლხეთი 2) | სამგურალი 1:0, ბათუმი 2:1, ქობულეთი 2:1, 2:0, დობრუჯა (ბულგარეთი) 1:0 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | დევაძე (პოლიგრაფტეხნიკა, ოლექსანდრია, უკრაინა), დ. გოდერძიშვილი, დავითიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (დინამო), კოროშინაძე (გორდა), გ. ჩხაიძე (ბათუმი), ქადაგიძე (ბათუმი), გ. კვეტენაძე (იესილი, კოქჩეტავი, ყაზახეთი), მ. მინაშვილი, დევიძე, თოლორდავა, ხუჯაძე, ივანიშვილი, ოდიშარია (?) | რევაზიშვილი (დილა), ი. შენგელია (დინამო), დავითაშვილი (სიონი), გაგუა, ხიზანიშვილი (იბერია), თ. ჩხაიძე, ჯ. თოდუა, ავალიანი, ნათობაძე, ფურცელაძე (ამირანი), მინჯია (თსუ), დათუნაშვილი (თბილისი), გაბელია (არ თამაშობდა), მუშკუდიანი (?, ბულგარეთი) | თსუ 3:2 |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | მჟავანაძე (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), თედორაძე (ტავრია, უკრაინა), კაკაბაძე (ტორპედო მაზ, მინსკი, ბელარუსი), გელა ქორიძე (ლოკომოტივი), პაპიძე, მახარაძე, ღლონტი, ა. მუჯირი, ყულეჯიშვილი (?) | თურმანიძე (სამგურალი), გ. ჩხაიძე (მერანი), შ. ლაცაბიძე (იბერია), ზ. გვაზავა (თსუ), გალოგრე (ინტერი), ვაჩიბერაძე, არჩვაძე (ტორპედო), ჭითანავა (ბათუმი 2), ქადაგიძე (მერანი) | კოლხეთი 1:2, გურია 1:1, ტორპედო 2:4, სამგურალი 3:0 |
| **სიონი** *ფირუზ რეხვიაშვილი* | ისიანი (ტორპედო), ასპინძელაშვილი (მილანი), დავითაშვილი (მერანი), კ. მეტრეველი, გაბისონია (?), სოლოღაშვილი (თამაში მიატოვა); სპარტაკ არჩვაძე (მთავარი მწვრთნელი) | რ. ხაჭაპურიძე, ხორგუაშვილი (დილა), დაუშვილი (არ თამაშობდა), გლუნჩაძე (თორი); ფირუზ რეხვიაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ნორჩი დინამოელი 2:0 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | სოხაძე (თსუ); თ. მეტრეველი, ა. გელაძე, ს. ბაჩილავა, მჭედლიძე (?), გუგუნავა (თამაში მიატოვა); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი) | ვ. კილასონია, გ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), კოროშინაძე (მერანი), ზვ. ლაბაძე (თსუ), ნ. ლობჟანიძე (უეფასგან დისკვალიფიცირებულია), ხაჩირაშვილი (დინამო); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ლოკომოტივი 1:1, თსუ 2:0, ზოოვეტი 5:2 |
| **გურია** *ზაზა გურიელიძე* | დ. მინაშვილი, ძნელაძე (?), კირკიტაძე (?, გერმანია) | ასლანაძე (ლოკომოტივი), მარლიშვილი (ცხინვალი), ნინუა (იბერია), ყუფარაძე, ტაბატაძე, ნ. ბაქრაძე, სიამაშვილი (ლოკომოტივი 3), მგელაძე (მერცხალი), ხუჭუა (კოლხეთი), ებრალიძე (თსუ) | ბათუმი 1:1, ტორპედო 0:5 |
| **მეტალურგი** *ვასილ ჭეიშვილი* | აჭარაძე, ფანცხავა, მახათაძე (?) | ჯ. თავბერიძე (ინტერი), ჭყონია (მილანი), სუხიაშვილი (თორი), ლ. ხმალაძე (იბერია) | ტორპედო 1:6, 0:1, 1:8, სამგურალი 1:2 |
| **სამგურალი** *გია გიგატაძე* | კვერნაძე (დებრეცენი, უნგრეთი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), ვადაჭკორია (?) | ა. შეყრილაძე (ტორპედო), ო. ფხაკაძე (ოკეანე), ნებიერიძე (მეტალურგი, პერნიკი, ბულგარეთი), ჯ. ჯანაშია (თორი), ხუნდაძე (ქიაფაზი, განჯა, აზერბაიჯანი), ნაროუშვილი (ინტერი) | კოლხეთი 0:1, ტორპედო 0:0, 1:2, მეტალურგი 2:1, ბათუმი 0:3 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

40° Copa América
Colombia 2001
11 al 29 de julio

# ცხრაზე ცხრა ექვსია (ოთხს ვიმახსოვრებთ)



ბრაზილია — მექსიკა. სიხარული პოლიციის ფონზე: მექსიკელი ბორგეტი გოლის შემდეგ

**B ჯგუფი**
**I ტური**

**პარაგვაი 3:3 პერუ**
0:1 ლობატონი (17), 1:1 ფერეირა (23), 1:2 პაულო (58), 2:2 ფერეირა (65), 2:3 დელ სოლარი (78), 3:3 გარაი (90)

**ბრაზილია 0:1 მექსიკა**
0:1 ბორგეტი (5)

**სამხრეთ ამერიკის** ჩემპიონატის მეორე დღეს ქალაქ კალიში B ჯგუფის მატჩები გაიმართა. პერუსა და პარაგვაის ნაკრებებს შორის ნამდვილი ომი გაიმართა, ბრაზილიელები თავს ვერაფრით მოიწონებენ. ტეტრაკამპეონებისა და მექსიკელთა მატჩი ერთობ უინტერესოდ წარიმართა. ბოლო დროს უჯიგროდ მობურთალი ბრაზილიელები კვლავ დამარცხდნენ, თანაც ისე, რომ თავის მართლებისთვის არანაირი საფუძველი არ აქვთ. ლუის ფელიპე სკოლარის გუნდმა ბურთი შეხვედრის დასაწყისშივე გაუშვა. ნაადრევ გოლს თამაში უნდა გაემძაფრებინა, მაგრამ ბრაზილიელთა მონდომება ამისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მსოფლიოს ოთხგზის და ამდენჯერვე სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები მექსიკელებმა მაგრად შებოჭეს. მათ ბრაზილიელთა შეტევების მოგერიება და მატჩის სასურველი შედეგით დასრულება არ გასჭირვებიათ.

ბრაზილიელებმა ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგეს: კონფედერაციათა თასზე ფრანგებთან და ავსტრალიელებთან მარცხს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ურუგვაისთან, ახლა კი მექსიკელებთან ერთნაირი შედეგი — 0:1 დაამატეს. ამით გულშემატკივრები და თაყვანისმცემლები სერიოზულად ჩააფიქრეს.

პერუსა და პარაგვაის ნაკრებებმა, ზემოთ ნახსენები წყვილისგან განსხვავებით, გვარიანად ანერვიულეს და კიდეც ასიამოვნეს ქომაგები. თამაში უხვგოლიანი, დაძაბული, წითელ-ყვითელი ბარათებით დახუნძლული გამოდგა. პერუელი ლობოტონის გოლმა ფეხბურთელებს ნერვები აუშალა, მათ ერთმანეთზეც გაიწიეს. მსაჯმა შფოთი მალევე ჩააცხრო და გუნდებმაც თამაში ათ-ათი კაცით განაგრძეს.

პარაგვაელებმა ანგარიში პირველივე ნახევარშივე გაათანაბრეს. კანისამ და ფერეირამ კარგად გაითამაშეს და ამ უკანასკნელმაც ოსტატურად შეაგდო.

მატჩის მეორე ნახევარიც უშეღავათოდ წარიმართა. არბიტრმა პარაგვაელთაგან საუკეთესო კანისას წითელი ბარათი აუფრიალა. პერუელებმა რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს და პაულოს გოლითაც დაწინაურდნენ. თუმცა ფერეირამ მშვენიერი თავურით მალევე აღადგინა წონასწორობა.

მატჩის ბოლოს ცხრაკაციან პარაგვაის დაღლა დაეტყო, პერუელები კი მძაფრად უტევდნენ. ამ დროისთვის გამოირჩნენ პერუელი დელ სოლარი და პარაგვაელი გარაი. დელ სოლარიმ ოცდაათი მეტრიდან დაარტყა და თანაგუნდელები მესამედ დააწინაურა. შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე პარაგვაელები მეტოქეს ჯერ რიცხობრივად გაუტოლდნენ (მსაჯმა ფერეირასთან უხეშობის გამო დელ სოლარის დაატოვებინა მოედანი), ხოლო საფინალო სასტვენამდე წამებილა რომ იყო დარჩენილი, როცა გარაიმ მესამე გოლიც შეაგდო და გუნდები ფრით გაიყარნენ.

**გიორგი მამარდაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| პარაგვაი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| პერუ | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| ბრაზილია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**II ტური. 15 ივლისი**

**პარაგვაი — მექსიკა**
**ბრაზილია — პერუ**




პარაგვაი — პერუ. პარაგვაელმა ნესტორ ისასმა (№2) პერუელ დარიო მუხოტრიგოს ბურთიანად გადააბიჯა

# ვისაც გაჰქონდა, იმან მოიტანა

## ჟარდელის გაყიდვით გალამ ამოისუნთქა




მარიო ჟარდელი „მარსელშიც" მეგოლეობას აპირებს

**შარშან** სტამბოლის „გალათასარაიში" გადაბარგებულმა ბრაზილიელმა მეგოლე, მარიო ჟარდელმა, ერთი სეზონი გეორგ ჰაჯის მხარდამხარ ითამაშა. მართალია, თურქულ კლუბს ციდან ვარსკვლავები არ მოუკრეფია, მაგრამ მადრიდის „რეალის" ორჯერ (სუპერთასზე და ჩემპიონთა ლიგაში) დამარცხებით თავი ნამდვილად დაგვამახსოვრა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჟარდელი „გალას" წარმატებების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო და ლიგაში ჩ გოლიც გაიტანა.

აქტიური ფეხბურთიდან „კარპატელი მარადონას" წასვლის გამო მარიომ გული აიყარა და კლუბის გამოცვლაზე ალაპარაკდა. სეზონის დასრულების შემდეგ მას რამდენიმე ვარიანტი შესთავაზეს, ფორვარდმა კი ერთ დროს მრისხანე, ახლა კი საფრანგეთის ჩემპიონატის მეთხუთმეტეადგილოსანი ადგილზე გასული მარსელის „ოლიმპიკი" არჩია.

„გალას" მთავარი მეგოლეს დატოვება ძლიერ ეწადა, მაგრამ ფინანსური სიდუხჭირის გამო მას შეელია, თანაც ხუთშაბათს კლუბმა ფიფასგან ფირმანი მიიღო, რომელშიც ზემდგომნი იწერებოდნენ, თქვენზე სან სებასტიანიდან საჩივარი შემოვიდა, შარშან „სოსიედადში" გაგზავნილი თქვენებური არიფ ერდემი უკან რომ წაიყვანეთ, ფული გაქვთ გადასახდელი და 10 დღის განმავლობაში ვალი დაფარეთ, თორემ დაგსჯითო. ერთი თურქული წყარო იმასაც იტყობინებოდა, „გალათასარაის" ფეხბურთელები და მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ ბოლო კვირის განმავლობაში ღმერთს ევედრებოდნენ, მარიო ჟარდელის ტრანსფერი განხორციელდესო. შესული თანხიდან ერთი-ორი შაური ხომ მათაც შეხვდებოდათ.

საბოლოოდ კი გადაწყდა, რომ ბრაზილიელი ფორვარდი მარსელის „ოლიმპიკში" კარიერას გააგრძელებს, „გალათასარაიმ" კი შვებით ამოისუნთქა. მოგეხსენებათ, ვინ არის ბერნარ ტაპი და რა შეუძლია. იგი ხომ საყვარელი გუნდის კვლავ ასაღორძინებლად არაფერს დაიშურებს.

„მართალია, ხელი ჯერ არაფერზე მოგვიწერია, მაგრამ მხარეებმა შეთანხმებას უკვე მიაღწიეს. ამ დღეებში თურქული კლუბის წარმომადგენელი ჩამოვა და ყველაფერი მოგვარდება. მე მარსელი იმიტომ ვარჩიე, რომ ფრანგებმა საუკეთესო პირობები შემომთავაზეს. ჩემთვის ეს ბოლო 5 წლის განმავლობაში პირველი სეზონი იქნება ჩემპიონთა ლიგის გარეშე. იმედი მაქვს, „ოლიმპიკი" მომავალ წელს თავის შესაფერის ადგილს დაიკავებს. ვეცდები, გაცემული ავანსები გავამართლო, მით უმეტეს, სადაც კი მითამაშია, გოლები ყველგან გამქონდა და ვფიქრობ, არც „ოლიმპიკი" იქნება გამონაკლისი" — დაასრულა საუბარი მარიო ჟარდელმა.

**გაგა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**შვედი** ნახევარმცველი დანიელ ანდერსონი ახალ სეზონს „ვენეციაში" დაიწყებს. ცნობილი იყო, რომ ფეხბურთელი სერია B-ში დაქვეითებულ „ბარიში" აღარ გაჩერდებოდა. მასთან ბოლო ხანს რამდენიმე კლუბი აწარმოებდა მოლაპარაკებას, ყველაზე რეალურ მსურველად „ფიორენტინას" ასახელებდნენ. თუმცა საბოლოოდ „ვენეციამ" შეძლო შვედის გადაბირება და მასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო „ბარიმ" სანაცვლოდ 5.5 მილიონი დოლარი მიიღო.

**ინგლისურმა „არსენალმა" შეთანხმებას მიაღწია ჯეი-ლიგის კლუბ „გამბა ოსაკასთან" და ნახევარმცველი იუნიჩი ინამოტო შეიძინა. ყველაფერი მზადაა საიმისოდ, რომ ხუთწლიანი ხელშეკრულება გაფორმდეს. ფეხბურთელი ახლა ინგლისის სამუშაო ვიზას ელის და, ალბათ, უახლოეს დღეებში ეწვევა ლონდონს. ინამოტო ჯეი-ლიგაში 1997 წლიდან თამაშობს და 116 მატჩში 15 გოლი გაუტანია. ლონდონურ კლუბში კიდევ ერთი სიახლეა: შვედმა ნახევარმცველმა ფრედერიკ ლიუნგბერგმა ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სეზონში იგი 1.5 მილიონ გირვანქას მიიღებს.**

**პორტუგალიური** „ბრაგას" მეკარე კიმი მალე, ალბათ, ვიგოს „სელტაში" გადავა. კლუბებმა პირობები უკვე თითქმის შეათანხმეს, გალისიელები 25 წლის კარის დარაჯის სანაცვლოდ 1.5 მილიონ გირვანქას იხდიან. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიაში ერთ-ერთ უძლიერეს გოლკიპერად მიჩნეულ კიმთან ლისაბონის „სპორტინგი" და „ბენფიკაც" აწარმოებდნენ მოლაპარაკებას.

**ინგლისური „ნოტინგემ ფორესტის" მწვრთნელად პოლ ჰარტი დაინიშნა. აწ უკვე გუნდის ყოფილმა თავკაცმა დევიდ პლატმა კი ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრები ჩაიბარა. მან პოსტზე ჰოვარდ უილკინსონი შეცვალა. ცნობისათვის: პლატი სვენ გორან ერიკსონთან ერთად მუშაობდა, როცა შვედი გენუის „სამპდორიას" ედგა სათავეში. ხოლო მისი საქმის გამგრძელებელი „ნოტინგემ ფორესტში", ჰარტი, ადრე ამ გუნდის მოთამაშე იყო და აქამდე კლუბის მოზარდთა განვითარების პროგრამას ხელმძღვანელობდა.**

**პორტუგალიური** სააგენტოების ცნობით, მადრიდის „რეალს" სერიოზულად განუზრახავს ლისაბონის „სპორტინგის" მცველ ბეტუ სევერუს „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაყვანა. აქვე ნათქვამია, რომ მადრიდულ კლუბს ივან კამპოს გაშვება სურს და არ გამორიცხავენ, „მალიორკას" ყოფილი მცველი მალე ლისაბონურ კლუბში აღმოჩნდეს, ხოლო „რეალმა" სანაცვლოდ ბეტუ წაიყვანოს.

**ესპანურ „ბარსელონას" ორი მცველი ჰყავს შეგულებული — „ლიონის" ფრანგი ჟერემი ბრეშე და ხუან კაპდევილა, ლა კორუნიას „დეპორტივოს" მარცხენაფლანგელი, რომელსაც მანამდე ბარსელონის „ესპანიოლის" და მადრიდის „ატლეტიკოს" შემადგენლობაში უთამაშია. თუმცა აქ ერთი პრობლემა წარმოიშვა — გალისიური კლუბი დიდ თანხას ითხოვს და ახლა მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა კი ბარსელონელი გაბრი გარსია დისკვალიფიკაციით დასაჯა. სამეფო თასის ნახევარფინალში მიღებული წითელი ბარათის გამო, გაბრი პრიმერადივიზიონის საწყის ორ ტურს გამოტოვებს.**

გიო ახვლედიანის

# სვეტი

## რომელი ბერნაბეუ...

მოდით, ფლორენტინო პერესს თავის ქალა ავხადოთ. ავი განზრახვით კი არა, ისე, რათა შევიტყოთ კიდევ რა ფიქრები აქვს. ზიდანის შეძენა ხომ კარგი ამბავია, მაგრამ სენიორ პერესს თითქოს თანდათან ახსენდება, რომ ზიდანის გარდა კიდევ სჭირდება ხალხი. კარგი, შუა მოედანში ზიდანი ჰყავს, მაგრამ ხომ სჭირდება კიდევ ვიღაცა? ჰოდა, ხავიერ ძანეტი ფრთა არ დაობლდესო და ალესანდრო ნესტა. საერთოდაც, ერთი საუკეთესო საყრდენი არ მაწყენდაო და აჰა, პატრიკ ვიეირაც.

არავინ იცის, იყიდის თუ არა „რეალის“ პრეზიდენტი ამ ფეხბურთელებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, თავის ქალა რომ ავხადოთ მია ფლორენტინოს, შიგნით ერთადერთ ვინმეს დავინახავთ. დავინახავთ სანტიაგო ბერნაბეუს.

სანტიაგო ბერნაბეუმ, ასე ორმოცდაათი წლის წინათ დაიწყო ყიდვა და ასე ორმოცი წლის წინათ „რეალის“ ისტორია უკვე შექმნილი ჰქონდა ხუთი ზედიზედი ჩემპიონთა თასით. იმ კაცს ყველაფერი შეეძლო: გუნდში ჰყავდა საუკეთესო არგენტინელი, საუკეთესო ურუგვაელი, საუკეთესო ჩილელი, საუკეთესო ბრაზილიელი, საუკეთესო უნგრელი, საუკეთესო ფრანგი...

ფლორენტინო პერესი რაღაც ამის მსგავსს, მხოლოდ მსგავსს თუ აპირებს. რა გამოუვა, ღმერთმა იცის.

კარგია თუ ცუდია, სადავო არ არის. ცხადია, კარგია, თუ იმაზე დავხუჭავთ თვალს, რომ ფეხბურთელების ფასი უაზროდ გაიზარდა. მეორე მხრივ, ბერნაბეუზე სწორება დიდ ხიფათსაც შეიცავს, რადგან მილიარდი გჭირდება. მთელი შარშანდელი წელიწადი მადრიდის „რეალის“ ვალებზე იყო ლაპარაკი. მსოფლიოს უმდიდრესმა კლუბმა „მანჩესტერმა“ წლეულს ძლივს გაისროლა ოთხმოც მილიონამდე დოლარი ნისტელროისა და ვერონის საყიდლად. ვალებიანი „რეალი“ კი, შარშანდელი ფიგუ და წლევანდელი ზიდანი რომ დავივიწყოთ, განაცხადს განაცხადზე აკეთებს. როგორც იტყვიან, ღმერთმა მოახმაროს. მაგრამ ბეწვის ხიდზე ხომ არ გადის სენიორ პერესი? მისი გეგმები ორ-სამ წლიან ტრიუმფს მაინც გულისხმობს. ფეხბურთის მარჩიელობა არ უხდება, მაგრამ ისიც არ უხდება, რომ გეტყვიან:

ეე, ბიძა, რომელი ბერნაბეუ შენა ხარ?

## საგანგებო მიმართვა

ამიერიდან, ყოველ საშაბათო სვეტს ქვეშ მიეწერება მესვეტის ელექტრონული ფოსტის მისამართი.

MESVETE@ HOTMAIL.COM

ეს მისამართი იმათთვის იქნება, ვინც არ დაიზარებს და აზრებს გამოთქვამს ფეხბურთში მიმდინარე ამბებზე. მესვეტეს განსაკუთრებით აინტერესებს მკითხველთა შეხედულებები საერთაშორისო ფეხბურთზე, რიგ სადავო საკითხებზე, მიმდინარე მოვლენებზე. ყოველ თქვენს სერიოზულ თუ არასერიოზულ შეკითხვასა თუ აზრს, მესვეტე მიმოიხილავს ორ კვირაში ერთხელ, საგანგებო საშაბათო გვერდზე.

მოიწერეთ მოკლედ, სხარტად და მხიარულად.

MESVETE@ HOTMAIL.COM




# ვინ გადაიხდის ნესტაში 80 მილიონს?

## უკვირს ალესანდრო ნესტას

**ბოლოხანს** აქტიურად ალაპარაკდნენ, რომ მადრიდის „რეალი“ 80 მილიონ ამერიკულ დოლარს ჩადის, რათა იტალიის ნაკრებისა და „ლაციოს“ მცველი ალესანდრო ნესტა დაიგულოს — ვერსიის თანახმად მადრიდელები ნესტას ყიდვას მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ აპირებენ. ამაზე რომაელთა კაპიტანმა განაცხადა:

„რამდენიმე კვირის წინ „ლაციოსთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, რაც დაუფიქრებლად არ ჩამიდენია. ეს გახლდათ გადაწყვეტილება, რომელიც ჩემი კარიერისთვის მნიშვნელოვანი იქნება. მეტიც, თუ შესაძლებელი იქნა, მინდა ბუცები ლურსმანზე სწორედ ამ კლუბში ჩამოვკიდო. გარდა ამისა, გულწრფელად გეტყვით, რომ ჩემნაირ ფეხბურთელში 80 მილიონი დოლარის გადამხდელი არავინ მგონია“.

შემდეგ კაპიტანს მისი თანაგუნდელების, პაველ ნედვედის („იუვენტუსში“) და ხუან სებასტიან ვერონის („მანჩესტერ იუნაიტედში“) გადასვლაზე ჰკითხეს, რაზეც უპასუხა:

„პაველი და სებასტიანი დიდი ფეხბურთელები არიან და გული მწყდება „ლაციო“ რომ დატოვეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სულაც არ ვფიქრობ, რომ მათი წასვლით ჩვენ ისე დავსუსტდებით, რომ „სკუდეტოსთვის“ კონკურენციას ვერ გავუძლოთ. მე ძალიან მომწონს დღევანდელი „ლაციო“ და მწამს, რომ ჩემპიონობის კარგი შანსი გვაქვს. გაყიდვაზე კი იმას მოგახსენებთ, რომ ეს გზა საუკეთესოა იმის თავიდან ასარიდებლად, რაც „ფიორენტინას“ მოუვიდა. პრეზიდენტმა უბრალოდ, კლუბისთვის საუკეთესოს გაკეთება სცადა და ნურც იმას დაივიწყებთ, რომ „ლაციო“ კრანიოტის ხელში გაიზარდა. მართალი გითხრათ, არც კი მესმის, რატომ აკრიტიკებენ მას გულშემატკივრები“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ძვირი ვერონი და უძვირესი ნახევარდაცვა



ვერონი: 4 თუ 7?

**პირველები** ამ სანახაობით აზიელები დატკბებიან — მომავალ კვირას „მანჩესტერ იუნაიტედი“ მალაიზიაში მიემგზავრება და სწორედ იქაური ტურნეს დროს წარადგენს გუშინწინ დაკომპლექტებულ ახალ ნახევარდაცვას: დევიდ ბექემი, რაიან გიგზი, როი კინი, პოლ სქოულზი და ხუან სებასტიან ვერონი.

„ბედნიერი ვარ, რომ აქ მოვხვდი. ერთი სული მაქვს, როდის ვითამაშებ ბექემისა და სხვათა გვერდით. ჩემი აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. თუმცა რატომ ერთ-ერთი? ის საუკეთესოა და მადრიდის „რეალსაც“ კი სჯობს“ — განაცხადა ბრიტანეთში მუშაობის უფლების მომლოდინე ვერონმა თავის პირველ მანჩესტერულ პრესკონფერენციაზე, სადაც უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ არგენტინელ ახალწვეულს ახალი კლუბის მაისურა არ მოურგია. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად მან №7 მოითხოვა, რომელიც, მოგეხსენებათ, ბექემს ეკუთვნის. ვარაუდობდნენ, რომ ასეც მოხდებოდა, დევიდი კი შერინგემის წასვლით გამოთავისუფლებულ ათიანს მოირგებდა, მაგრამ ეს ამბავი ჯერ არ გადაწყვეტილა. ისე, მანჩესტერის მაღაზიებში უკვე იყიდება ვერონის მაისურები, ოღონდ მეოთხე ნომრით (შარშან დევიდ მეის ეცვა).

სამაგიეროდ, დაზუსტდა ის თანხა, რომელიც „იუნაიტედმა“ რომის „ლაციოს“ გადაუხადა: 28,1 მილიონი გირვანქა, რაც, შეგახსენებთ, ბრიტანული რეკორდია. თავად არგენტინელი კვირაში 52 ათას გირვანქას მიიღებს, იმდენს, რამდენსაც კინი, სქოულზი და გიგზი. ამდენივეს ითხოვს ბექემი და ალბათ მომავალ კვირას მიიღებს კიდეც. შესაბამისად, სულ მარტივი გამოთვლებით, „იუნაიტედს“ მხოლოდ ნახევარდაცვის ხაზი კვირაში 260 ათასი დაუჯდება (1 გირვანქა 3 ლარის ტოლფასია).

**გიგა ძოგახიძე**

## ბრიტანეთის უძვირეს ტრანსფერთა ათეული

| | | | |
|---|---|---|---|
| ხუან სებასტიან ვერონი | ლაციო | მანჩესტერი | 28.1 მილიონი |
| რუუდ ვან ნისტელროი | პსვ ეინდჰოვენი | მანჩესტერი | 19 მილიონი |
| რიო ფერდინანდი | ვესტ ჰემი | ლიდსი | 18 მილიონი |
| ალან შირერი | ბლექბერნი | ნიუკასლი | 15 მილიონი |
| ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი | ატლეტიკო | ჩელსი | 15 მილიონი |
| რობი კინი | ინტერი | ლიდსი | 13 მილიონი |
| სილვენ ვილტორდი | ბორდო | არსენალი | 13 მილიონი |
| დუაიტ იორკი | ასტონ ვილა | მანჩესტერი | 12.6 მილიონი |
| ემილ ჰესკი | ლესტერი | ლივერპული | 11 მილიონი |
| ფრენკ ლამპარდი | ვესტ ჰემი | ჩელსი | 11 მილიონი |

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

საძაგელია ცხელი ზაფხული. ღამე არ გეძინება და თუ დაგეძინება კოშმარი გესიზმრება. აი, მე რა დამესიზმრა:

ვითომ, მადრიდის „რეალმა“ „იუვენტუსისგან“ 65 მილიონი იყიდა ზიდანად. ზიდანი ტურინში, „იუვეს“ საბანკო ანგარიშზე დასვეს, 65 მილიონი კი საკუთარი ბომბდამშენით მადრიდის აეროპორტში დაეშვა. მიადგეს ტრაპი, ტრაპს შემოეხვია ორასამდე გულშემატკივარი, მოშორებით, პოლიციის კორდონს უკან კი ფოტოკორესპონდენტთა ზღვა ღელავდა. ქალაქის ქუჩებში გამოეფინათ დიდი პლაკატები: „65 მილიონი ჩვენთანაა!“ და „65-ო მილიონო, შენ სწორი არჩევანი გააკეთე!“

ვითომ, იმ დღევანდელ გაზეთებში გამოქვეყნებული იყო 65 მილიონის უშველებელი ფოტო და ინტერვიუ, სადაც 65 მილიონი ჰყვებოდა, რატომ აირჩია მაინც და მაინც მადრიდი.

„მადრიდი ბავშვობიდან ჩემი ოცნების ქალაქი იყო. ჯერ კიდევ მაშინ, სამი დოლარი რომ ვიყავი, თავს „რეალის“ ფეხბურთელად წარმოვიდგენდი და უფროს ძმებს ვეუბნებოდი, აი, ნახავთ, რომ გავიზრდები თეთრ ფორმას თუ არ ჩავიცვამ. მეთქი...“

„როდესაც შევატყვე, რომ „იუვენტუსში“ სული მეხუთებოდა — აქ მადლობა მინდა გადავუხადო ამ კლუბს, არ ვიცი, რისთვის — შევედი პირდაპირ პრეზიდენტთან და ვუთხარი, სინიორ ლუჩანო მომტეხველლი, მე სიამოვნებით დავრჩები კიდევ ერთი წლით, ოღონდ უმორჩილესად გთხოვთ ხელფასი მომიმატოთ... ვთქვათ, წელიწადში სამი ტურამი და 50 ნედვედი დამინიშნოთ, თორემ გული ამიცრუვდება, ხოლო გულაცრუებული კაცი, მოგეხსენებათ, მოედანზე სარგებელს ვერ მოიტანს-მეთქი. მომტეხველლიმ უცბად დათვალა ყველაფერი და შესძახა: ევრიკა! მე შენ „რეალს“ მიგყიდი და იცი, რამდენად? — ალბათ, ფიგუნახევრად — ვუთხარი და ვიფიქრე, რომ ძალიან ძვირს ვეუბნებოდი. — არა — დაიწივლა მან — ზიდანად, მთელ ერთ ზიდანად. ამაზე პირი დავაღე. ერთი ზიდანი ხომ მართლაც ძალიან ბევრია, საქართველოს ბიუჯეტზე მეტიც კი... და, აი, აქ ვარ, ჩემს საყვარელ ქალაქში, პირველად“.

მერე ვითომ, იმავ საღამოს გაიმართა 65 მილიონის პრეზენტაცია „სანტიაგო ბერნაბეუზე“, სადაც ახალ ვარსკვლავს გადაეცა მაისურა $14/23+\sqrt{2}$ ნომრით, რომლის ასლებიც იქვე გაიყიდა. გაყიდულ ცალთა რაოდენობამ შეადგინა 126 786 365 277. ბოლოსწინა ეკზემპლარი ხვდა 87 წლის ქალბატონს, სახელად ლუიზა ტერეზა მარია, რომელსაც გადაუღეს ფოტო და ჰკითხეს, ვისთვის იყიდა. მან უპასუხა, რომ იყიდა თავისთვის, ოღონდ, რატომ, არ იცის.

ამ დროს მადრიდის ზეცა მოიქუფრა. გაისმა საშინელი გრუხუნი და შემცბარმა ადამიანებმა დაინახეს „მესერშმიდტები“. ახალგაზრდობა ვერაფერს მიხვდა, ხანშიშესულებმა კი ხელები გაასავსავეს. ორმა თუ სამმა ალმართა კიდეც მარჯვენა გამართული ხელი ოდნავ დამრეცად და ქუსლები შეატყუპა. ამ მომენტში ექვსმა თუ შვიდმა ქალაქში ტროლეიბუსის ხაზები დახსნა და პორტუგალიის საზღვრისკენ გააქანა, მაგრამ „მესერშმიდტები“ გადაეფარნენ თუ არა „სანტიაგო ბერნაბეუს“ ყვავილები გადმოყარეს. ჰაერში დაიწერა „ვაშა, ცხოვრებას აზრი მიეცა, რადგან 65 მილიონი ჩვენთან არის. ამიერიდან ვიფიქრებთ მხოლოდ...“ მეტი არ ჩანდა, იმიტომ, რომ შორს იყო.

მერე, ვითომ, 65-მა მილიონმა მიკროფონი აიღო და „ბესამე მუჩო“ იმღერა. მღეროდა გზნებით, გატაცებით, თავდავიწყებით. კინაღამ ჩემოდნიდან გადმოიყარა. შემდეგ ის სცენაზე შეცვალა მადრიდის 147-ე სკოლის გახანგრძლივებული კლასის გოგონათა ჯგუფმა „მატადორ“, რომელთაც იცეკვეს „რობერტო კარლოსური“. საღამო დამთავრდა აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ უმცროსის სიტყვითა და ჯულია რობერტსის სტრიპტიზით.

მერე აღარ მახსოვს, მგონი გამეღვიძა.

**ბაჩუნა ძიძია**

*უცნობია რატომ, მაგრამ გამოხმაურებას (ნებისმიერ თემაზე) ვთავაზობთ ყველას, ვისაც ჰქვია პაატა.*

*ჩვენი მისამართია: ENGOTENGO@HOTMAIL.COM*



# ევროპული ტრანსფერები

## ესპანეთი

***ალავესი:*** ხავი მორენო (მილანი, იტალია), კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), ივან ტომიჩი (რომა, იტალია), ივან ასკოიტია (რაიო ვალეკანო), დიაგო განანი (სალამანკა); **ბოგდან მარა (დინამო, რუმინეთი), ალესანდრო (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), ხოსე ემილიო ამავისკა (რასინგი), ჩომინ ნაგორე (ნუმანსია), ალბერტო სერანო (ესპანიოლი).**

***ბილბაო:*** იმანოლ ეჩებერია (რაიო ვალეკანო); **აიტორ ოკიო (ოსასუნა), ხუან კარლოს სივორი (კორდობა), სესარი (სევილია), ლუის პრიეტო (ეიბარი), ურაკა (ესტრემადურა), დიეგო კარანკა (ესტრემადურა), ხორხე პერესი (ესტრემადურა).**

***ბარსელონა:*** ივან დე ლა პენია (ლაციო, იტალია), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), სიმაო საბროსა (ბენფიკა, პორტუგალია); **ჯოვანი (კრუზეირო, ბრაზილია), ფაბიო როჩემბაკი (პორტუ ალეგრი, ბრაზილია), ფილიპ კრისტენვალი (მონაკო, საფრანგეთი), პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი, არგენტინა), ხავიერ სავიოლა (რივერ პლეიტი, არგენტინა).**

***სელტა:*** პაბლო კუნაგო (იფსვიჩი, ინგლისი), ხუან ხაიო (უნიონ სანტა ფე, არგენტინა), გორან ჯოროვიჩი (დეპორტივო); **ოლაისი (პონტევედრა, ბრაზილია), ივან კავიედესი (ვალიადოლიდი), ჯაკობო კამპოსი (კომპოსტელა), ხუან მენა (ხერესი), პაბლო კონტრერასი (რასინგი), ფლორიან მორისი (მარსელი, საფრანგეთი).**

***დეპორტივო:*** ჟაკ სონგო (მეცი, საფრანგეთი), ტურუ ფლორესი (სპორტინგი, პორტუგალია), სალაჰედინ ბასირი (ლილი საფრანგეთი); **ექტორ ბერენგელი (სევილია), ხაიმე (რასინგი), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ოსასუნა), ჩანგუი (ელჩე), გაბრიელ შურერი (ლას პალმასი), აბრეუ (სან ლორენსო, არგენტინა), დავიდ პირი (ნუმანსია), მანელი (ნუმანსია), ივან პერესი (ნუმანსია), ენრიკე (ფეროლი), აირა (ფეროლი), გორან ჯოროვიჩი (სელტა).**

***ესპანიოლი:*** კრისტობალი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), დიეგო დე ლუკასი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ალბერტო სერანო (ალავესი), კოსტელ გალკა (ვილიარეალი), ხორდი ლარდინი (ატლეტიკო), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია), ჯაჩინტო ელა იენი (საუთჰემპტონი, ინგლისი); **ალექს ფერნანდესი (ოსასუნა), დავიდ აგანსო (რეალი), ფრანი (ლეიდა), მანელი (სპორტინგი).**

***ლას პალმასი:*** ამადორი (ერკულესი), გაბრიელ შურერი (დეპორტივო), მარიო ტურდო (რენი, საფრანგეთი), ანტონიო გიარე (ვილიარეალი); **ფაბიან ტევენე (სევილია), ნეირა (უნიონ ესპანიოლა, ჩილე), სოკორო (ელჩე), კუესადა (უელვა), ვიქტორი (უნივერსიდადი), ალბერტო (უნივერსიდადი), ვეგა (გრანადა), ალექსი (ტენერიფე).**

***მალაგა:*** მარტინ რივასი (ინტერი, იტალია), ფრანსისკო რუფეტე (ვალენსია); **ბოშკო ლეკო (ჰაიდუკი, ხორვატია), დუდა (კადისი), ავულე კუაე არიკი (ორივე ჰართს ოფ ოკი, განა), გარსია ხერარდო (ვალენსია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია).**

***მალიორკა:*** ხოსე კარერასი (ატლეტიკო), არმანდო ალავესი (ატლეტიკო), იოვან სტანკოვიჩი (ატლეტიკო), ხერმან ბურგოსი (ატლეტიკო); **ფათიჰ აკიელი (გალათასარაი, თურქეთი), სამუელ ეტოო (რეალი), ხოსემი, ჯოკაი (ორივე ლეიდა), ვისენტე (სპორტინგი).**

***ოსასუნა:*** კუკო სიგანდა (თამაში მიატოვა), ალექს ფერნანდესი (ესპანიოლი), ალფონსო ვერა (სევილია), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ყველა დეპორტივო), ანხელი (სევილია), აიტორ ოკიო (ბილბაო), ლორენსი (ატლეტიკო), გარსია ხერარდო (ვალენსია); **ჯონ ალოიზი (ქოვენთრი, ინგლისი), პუნიალი, მორალესი (ორივე ლეგანესი), ვილია (ფეროლი), მოა (ლევანტე), ალმუნია (საბადელი), აილტონი (ვერდერი, გერმანია), ხერარდო დამიან რივერო (ალმაგრო, არგენტინა).**

***რაიო ვალეკანო:*** გუსტავო ბარტელტი (რომა); **ივან ასკოიტია (ალავესი), იმანოლ ეჩებერია (ბილბაო), ზოლტან გრანოვი (უიპეშტი, უნგრეთი), მიჩელ II (სევილია), რივერა (ფეროლი), ჩიჩი პერაგონი (ლევანტე), ერიკ რუა (ტრუა, საფრანგეთი).**

***რეალი:*** მანუელ სანჩისი (თამაში მიატოვა), დავიდ აგანსო (ესპანიოლი), სამუელ ეტოო (მალიორკა); **ფერნანდო (ვალიადოლიდი), როდრიგო ფაბრი (სპორტინგი, პორტუგალია), ედვინ კონგო (ტულუზი, საფრანგეთი), ესტებან კამბიასო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (სოსიედადი), ხულიო ალვარესი (რასინგი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია).**

***სოსიედადი:*** ესტებან ფუენტესი (თამაში მიატოვა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (რეალი); **ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ხოსე ბარკერო (ეიბარი), ალდეონდო (კორდობა), იკერ ალვარესი (ბეასანი), იგორ ცვიტანოვიჩი (დინამო, ხორვატია).**

***სევილია:*** ექტორ ბერენგელი (დეპორტივო), ფაბიან ტევენე (ლას პალმასი), სესარი (ბილბაო); **ალფონსო ვერა (ოსასუნა), ანხელი (ოსასუნა), მარიანო რამონ ტოედტლი (სალამანკა).**

***ტენერიფე:*** მისტა, კურო ტორესი (ორივე ვალენსია), ლუის გარსია (ვალიადოლიდი), ალექსი (ლას პალმასი).

***ვალენსია:*** ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), დიდიე დეშამპი (მონაკო, საფრანგეთი, მწვრთნელი), გარსია ხერარდო (მალაგა); **კარლოს მარჩენა (ბენფიკა, პორტუგალია), მისტა (ტენერიფე), კურო ტორესი (ტენერიფე), ხერარდო (ოსასუნა), ლივერო პარი, დენის სერბანი, ხავი ნავარო (ყველა ელჩე), რუბენ ნავარო, კურო მონტოია (ორივე ნუმანსია), ხისკო (უელვა), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), ფრანსისკო რუფეტე (მალაგა), გარსია ხერარდო (ოსასუნა).**

***ვალიადოლიდი:*** ალბერტო, რაული, ხოსე ანტონიო გარსია კალვო (ყველა ატლეტიკო), ფერნანდო (რეალი), იან ჰაინცე (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), კვატემოკ ბლანკო (ნეკაქსა, მექსიკა); **გასპარი, მარიო (ორივე ატლეტიკო), ლუის გარსია (ტენერიფე).**

***ვილიარეალი:*** **ორიოლ ლოსანო (ლეიდა), კოსტელ გალკა (ესპანიოლი), კიკე მარტინი (სალამანკა), ხავი ვენტა (ფეროლი), ანტონიო გიარე (ლას პალმასი).**

***სარაგოსა:*** სერგეი გურენკო (რომა, იტალია); **ესკერდინია (პორტუ, პორტუგალია), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), ფაბრიციო კოლოჩინი (მილანი, იტალია).**

## გერმანია

***მიუნხენ 1860:*** თომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი), ნექათ აიგიუნი (ბეშიქთაში, თურქეთი); **მიხაელ ვიზინგერი (ბაიერნი), დიდიე დეედენი (ანდერლეხტი, ბელგია), მარკუს ვაისენბერგერი (არმინია), საშა როსლერი (ულმი), სამუელ იპუა (მაინცი), ვიდარ რისეტი (სელტიკი, შოტლანდია).**

***ვერდერი:*** კლაუდიო პიზარო (ბაიერნი), ბერნარდ ტრარესი (ვალდჰოფი), იური მაქსიმოვი (ვალდჰოფი), დიტერ ფრაი (ნიურნბერგი), ვიქტორ სკრიპნიკი (ცილი), შტეფან ბრაზასი (ცილი), დირკ ფლოკი (არმინია), ლარს შმედესი (კარლსრუე), დონგ-გონკ ლი (პოჰანგ სტელერსი, ჩინეთი), აილტონი (ოსასუნა, ესპანეთი); **იაკუბ ვიერჩოვსკი (რუხი, პოლონეთი), ივან კლასნიჩი (ზანქტ პაული), შტეფან ბლანკი (შტუტგარტი), კრისტიან ლისტეში (შტუტგარტი), საიმონ როლფესი (მოყვ.), ჰოლგერ ველაგე (ზანქტ პაული), რობერტო სილვა (სპორტინგ კრისტალი, პერუ).**

***კოტბუსი:*** საბინ ილიე (ცილი), შტეფან ჰაიდრიხი (დინამო, დრეზდენი), თომას ნოიბარტი (დინამო, დრეზდენი), ჯონი რიოდლუნდი (?, ჩინეთი), თომას კოლერი (თამაში მიატოვა), კევინ მაკკენა (ჰართსი, შოტლანდია), ცანკო ცვეტანოვი (ცილი), მოჰამედ ლაკუილი (რაჯა კასაბლანკა, მაროკო); **სერჟიო ლეანდრო „ბრაზილია“ (პოგონი, პოლონეთი), რადოსლავ კალუჟნი (ვისლა, პოლონეთი), ლარს იუნგნიკელი (დინამო, დრეზდენი), ოტო ვინცე (ვალდჰოფი), ანდრე ლენცი (ალემანია), სილვიო შრიოტერი (დინამო, დრეზდენი), ვრაჟელ და სილვა (ულმი), მარკო ტოპიჩი (მილანი, იტალია), მამიდ ტერმინა (რაჯა კასაბლანკა, მაროკო).**

***დორტმუნდი:*** კრისტიან ნერლინგერი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალფრედ ნოიჰაუსი (ცილი), ვოლფგანგ დე ბეერი (თამაში მიატოვა); **მარსიო ამოროზო (პარმა, იტალია), იან კოლერი (ანდერლეხტი, ბელგია), აჰმედ მადუნი (მონპელიე, საფრანგეთი), ფლორიან კინგე (მოყვ.).**

***ბაიერნი:*** მიხაელ ვიზინგერი (მიუნხენ 1860), ბერქანტ გიოქთანი (გალათასარაი, თურქეთი), პატრიკ ანდერსონი (ბარსელონა, ესპანეთი); **კლაუდიო პიზარო (ვერდერი), პაბლო ტიამი (შტუტგარტი), რობერტ კოვაჩი (ლევერკუზენი), ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი).**

***ფრაიბურგი:*** მარკო ვაისჰაუპტი (ჰანზა), ზუბეირ ბაია (ბეშიქთაში, თურქეთი), რალფ კოლი (თამაში მიატოვა); **ფაბიან გერბერი (ზანქტ პაული), ზაზა ჯამთარაძე (ვინტერტური, შვეიცარია), იან მიონერი (მოყვ.), ბენჟამინ შვეჰერი (მოყვ.).**

***ჰამბურგი:*** ჰანს იორგ ბუტი (ლევერკუზენი), ნიკო კოვაჩი (ბაიერნი), ვაჰიდ ჰაშემიანი (ბოხუმი), სონერ იუსალი (ვალდჰოფი), ანდრეას ფიშერი (როტ ვაისი), თომას დოლი (თამაში მიატოვა), კარსტენ ბერონი (თამაში მიატოვა), იაცეკ დემბინსკი (ვიძევი, პოლონეთი), იოხენ კინცი (ცილი), მარინუს ბესტერი (თამაში მიატოვა); **მარტინ პიკენჰაგენი (ჰანზა), იორგ ალბერტცი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), მარსელ მალტრიცი (ვოლფსბურგი), შტეფან ვახტერი (იურდინგენი), მოჰამედ ჰადი მაჰდავიკია (ფირუზი, ირანი), რონალდ მაული (ჰანზა).**

***ჰერტა:*** სიქსტენ ვაიტი (ბეშიქთაში, თურქეთი), კაი მიხალკე (ნიურნბერგი), რუი მანუელ მარკეში (შტუტგარტი), ენტონი სანე (ნიურნბერგი), ბენჟამინ კოლერი (დუისბურგი), ბრაიან როი (ცილი), დარიუს ვოში (ბოხუმი); **ანდრეას ნოინდორფი (ლევერკუზენი), დენის ლაპაჩინსკი (როიტლინგენი), მარსელინიო პარაიბა (გრემიო, ბრაზილია), ბარტ გოორი (ანდერლეხტი, ბელგია), რობერტო პინტუ (შტუტგარტი), ნდერიმ ნეჯიპი (სლოგა იუგომაგნატი, მაკედონია), ტორბენ მარქსი (მოყვ.).**

***კაიზერსლაუტერნი:*** სლობოდან კომლიენოვიჩი (ცილი), აქსელ როოსი (თამაში მიატოვა), უვე გოსპოდარეკი (ცილი), მარკო შტარკი (ზაარბრიუკენი), მარკო რაიხი (კიოლნი), მიქაელ შონბერგი (თამაში მიატოვა); **მიკაელ მიფსუდი (სლიმა უონდერერზი, მალტა), ალექსანდრ კნავსი (ტიროლი, ავსტრია), მარკუს კულინგი (ლიუბეკი), თომას ჰენგენი (ვოლფსბურგი), ტორსტენ როიტერი (მოყვ.), დარკო ბოშკოვიჩი (მოყვ.), თომას რიდლი (მიუნხენ 1860).**

***კიოლნი:*** კლაუს-დიტერ ვოლიცი (თამაში მიატოვა), მარკუს დვორაკი (ფიურტი), მარსელ გებჰარდტი (ცილი), რალფ ჰაუპტმანი (ქემნიცი); **იორგ რეები (ლევერკუზენი), ჰანო ბალიტჩი (ვალდჰოფი), მარკო რაიხი (კაიზერსლაუტერნი).**

***ლევერკუზენი:*** ანდრეას ნოინდორფი (ჰერტა), პასკალ ცუბერბიულერი (არაუ, შვეიცარია), იორგ რეები (კიოლნი), რობერტ კოვაჩი (ბაიერნი), ადამ მატიშეკი (ცილი), რობსონ პონტე (ვოლფსბურგი), ანდრეას ვოსი (დუისბურგი); **ჰანს იორგ ბუტი (ჰამბურგი), მიხაელ ცეპეკი (კარლსრუე), ზოლტან სებესკენი (ვოლფსბურგი), ემანუელ პოგატეცი (კარნტენი, ავსტრია), მილე ბოჟიჩი (მოყვ.), თომას კლაინი (მოყვ.).**

***მიონხენგლადბახი:*** მატეას ჰაგნერი (ფიურტი), მარკუს რაიტერი (ფიურტი), ჟელკო სოპიჩი (ალენი); **მარჩინ მიკელი (ლეგია, პოლონეთი), დანიელ ფელგენაუერი (ფიურტი), მარკუს მიუნხი (ბეშიქთაში, თურქეთი), ივო ულიხი (სლავია, ჩეხეთი), პერ კლუგე (ქემნიცი), მარკო კუნცელი (ბაბელსბერგი).**

***ნიურნბერგი:*** ანდრეას კიოპკე (თამაში მიატოვა), იოხენ ვაიგლი (როიტლინგენი), მარკო კრისტი (ულმი), დომიჩო ბელიაკოვი (ობერჰაუზენი); **დიტერ ფრაი (ვერდერი), ენტონი სანე (ჰერტა), კაი მიხალკე (ჰერტა), მარკო ვილა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), რაფაელ შაფერი (ლიუბეკი), თომას შტელე (პფულენდორფი), ლარს მიულერი (ალემანია).**

***ჰანზა:*** მარტინ პიკენჰაგენი (ჰამბურგი), ვიქტორ აგალი (შალკე), მატიას ბრაიტკროიცი (ზაარბრიუკენი), მარკო ცალმანი (ლიუბეკი), სლავომირ მაიაკი (ცილი), ჰენრი ფუხსი (ცილი), რენე შნაიდერი (ცილი); **მატიას შიობერი (შალკე), რონალდ მაული (ჰამბურგი), დელანო ჰილი (ტილბურგი, ჰოლანდია), მარკო ვაისჰაუპტი (ფრაიბურგი), ბაშირუ სალუ (აინტრახტი, ფრანკფურტი).**

***შალკე:*** რადოსლავ ლატალი (სიგმა, ჩეხეთი), მატიას შიობერი (ჰანზა), უნალ ალპუგანი (რიზესპორი, თურქეთი), ალი გიოლი (პადერბორნი), ოლივერ ჰელდი (ზანქტ პაული), ტორსტენ ლეგატი (თამაში მიატოვა), იოჰან დე კოკი (თამაში მიატოვა); **მარკ ვილმოტსი (ბორდო, საფრანგეთი), სვენ ვერმანტი (ბრიუგე, ბელგია), ვიქტორ აგალი (ჰანზა), კრისტიან ჯორჯევიჩი (შტუტგარტი), მარსელ როზგონი (მაგდებურგი), კრისტოფერ ჰაიმეროტი (მოყვ.), ფილიპ ტროიანი (მოყვ.), სამუელ მატელანი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა).**

***ზანქტ პაული:*** ჰოლგერ ველაგე (ვერდერი), ივან კლასნიჩი (ვერდერი), ჰაინც ვებერი (ტიროლი, ავსტრია), მარკუს ალფი (ქემნიცი), პეტერ სტაჩეკი (ნორდერსტედტი), ფრანკ დრიოგე (ნორდერსტედტი), მარეკ ტრეიდისი (ცილი), ფაბიან ბერგერი (ფრაიბურგი); **უგურ ინჩემანი (ალემანია), მუდახირუ ამადუ (ჰანოვერი); ტიჰომირ ბუნაკი (შიბენიკი, ხორვატია), ადამუ იაკუბუ (ვატენშაიდი), კატალინ რაკანე (აინტრახტი, ტრირი), ოლივერ ჰელდი (შალკე), კორი გიბსი (მაიამი, აშშ).**

***შტუტგარტი:*** პაბლო ტიამი (ბაიერნი), რობერტო პინტუ (ჰერტა), შტეფან ბლანკი (ვერდერი), კრისტიან ლისტეში (ვერდერი), რუდიგერ კაუფი (არმინია), კრისტიან ჯორჯევიჩი (შალკე), ჯუზეპე კატიცონე (ზაარბრიუკენი); **რუი მანუელ მარკეში (ჰერტა), რობერტ ვუიჩევიჩი (მოყვ.), ფაბიო მორენა (მოყვ.).**

***ვოლფსბურგი:*** მარტინ ვაგნერი (თამაში მიატოვა), მარსელ მალტრიცი (ჰამბურგი), ზოლტან სებესკენი (ლევერკუზენი), ანდრიას ვოსი (დუისბურგი), თომას ჰენგენი (კაიზერსლაუტერნი), ჰოლგერ ჰაიმანი (ქემნიცი), ჟან კასონგო ბანზა (?, კონგო), მაიკ ბუში (ბოხუმი), ვიტუს ნაგორნი (კარლსრუე), ჯონათან აკპობორი (ბაზელი, შვეიცარია); **რობსონ პონტე (ლევერკუზენი), ტობიას რაუ (აინტრახტი, ბრაუნშვაიგი), მიქაელ მადსენი (ბარი, იტალია), მარტინ პეტროვი (სერვეტი, შვეიცარია), ჟერნო პლასნეგერი (ზაარბრიუკენი), სეად რამოვიჩი (შტუტგარტ კიკერსი), ჰანს შარპეი (დუისბურგი), უჩე იგვე (ჰალსი), მიროსლავ კარჰანი (ბეშიქთაში, თურქეთი), მაიკ ფრანცი (მაგდებურგი).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

***არსენალი:*** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

***ასტონ ვილა:*** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია).**

***ბლექბერნი:*** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი).**

***ბოლტონი:*** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი).**

***ჩარლტონი:*** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი).**

***ჩელსი:*** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი).**

***ევერტონი:*** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

***დერბი ქაუნთი:*** რორი დელაპი (საუთჰემპტონი), ტარიბო ვესტი (მილანი, იტალია).

***ფულემი:*** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდესალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), კიკო ნარვაესი (ატლეტიკო, ესპანეთი),**

***იფსვიჩი:*** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი).**

***ლიდსი:*** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

***ლესტერი:*** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

***ლივერპული:*** იან არმსტრონგი (პორტვეილი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი).**

***მიდლსბრო:*** ნაილ მედისონი (დარლინგტონი); **შილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი).**

***მანჩესტერ იუნაიტედი:*** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია).**

***ნიუკასლი:*** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი).**

***საუთჰემპტონი:*** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

***სანდერლენდი:*** კარსტენ ფრედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმეკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელონი (კანი, საფრანგეთი).**

***ტოტენჰემი:*** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), იან უოქერი (ტოტენჰემი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია).**

***ვესტ ჰემი:*** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენცო, არგენტინა).**

## იტალია

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

***ატალანტა:*** ივან პელიცოლი (რომა), მასიმო დონატი (მილანი), კრისტიან ძენონი (მილანი), დომენიკო მორფეო (ფიორენტინა), სტეფანო გალო (ტერნანა), მარკო ნაპი (ტერნანა), ნიკოლა ვენტოლა (ინტერი), ნილ სივილია (რომა), მაურიციო განცი (თამაში მიატოვა); **ლუკა საუდატი (მილანი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ჯანი კომანდინი (მილანი), ლუიჯი სალა (მილანი), მასიმო ტაიბი (რეჯინა), ალესანდრო რინალდი (რომა), ფაბიანო (ბაია, ბრაზილია), კორადო კოლომბო (ინტერი), პიეტრო ფოლიო (ვენეცია), უსმან დაბო (მონაკო, საფრანგეთი), ანტონიო კალდერონი (მონცა), ლუკა ძინი (პისტოიეზე), დავიდე ნატალი (მონცა).**

***ბოლონია:*** ფრანსისკო ლიმა (რომა), ჯონათან ბინოტო (ინტერი), ენცო მარესკა (იუვენტუსი), მარკო როკატი (ნაპოლი), სტეფანო ბია (სენტ ეტიენი, საფრანგეთი); **ფაბიო მაჩელარი (ინტერი), ანტონიო ბელუჩი (ნაპოლი), სტეფანო გორეტი (პერუჯა), პიერპაოლო ძაკარდო (სპეცია), ნიკოლა კოპოლა (ნაპოლი), მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მარკო როკატი (დანდი, შოტლანდია).**

***ბრეშა:*** მასიმილიანო კაპუტო (ლივინგსტონი, შოტლანდია), სტეფანო ბიზოლი (პისტოიეზე), ფილიპო გალი (თამაში მიატოვა), ანტონიო მარინო (თამაში მიატოვა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (ინტერი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), დარიო უბნერი (პიაჩენცა); ანტონიო პიზანო (ასკოლი), აურელიო (კოზენცა); **მელვინ ბრაუნი (დერტონა, ავსტრალია), ფრანკო კარაჩიოლო (პრო ვერჩელი), ხორხე სალგადო (დეპორტივო უაჩიპატო, მექსიკა), ნიკოლა გრანდე (ფროზინონე), კარლო მერო (ტერნანა), დავორ იავორჩიჩი (კროტონე), ჯუზეპე ტინონზინი (კოდონო), მარკო ბრონოლი (სან ანჯელო), დარიო დაინელი (ლეჩე), მარკუს შოპი (შტურმი, ავსტრია), ლუკა ტონი (ვიჩენცა), ფედერიკო ჯუნტი (მილანი).**

***კიევო:*** სტეფანო კარბონე (პისტოიეზე), კრისტიანო გარძონი (პავია), ჯუზეპე მარკონი (ტერნანა), დავიდე ფრანჩესკინი (რეჯინა), პიეტრო მარკონი (ტერნანა), გაუჩო ბალდი (პესკარა), კარლო ფრეცოლინი (ლეჩე), ნიკოლა ჩიოპრიზი (ლოდიჯანი); **მარკო ძანკეტა (რეჯინა), სტეფანო მარაცინა (რეჯინა), კრისტიანო ლუპატელი (რომა), პიერო რეგროტალიე (მოდენა), კრისტიანო კავალი (კარარეზე), ანჯელო ბრუნო (ნაპოლი), ფრანკო როსი (ფაზანო), სიმონე პეროტა (იუვენტუსი), ალენ დელონი (ბაია, ბრაზილია).**

***ფიორენტინა:*** მაურო ბრესანი (ვენეცია), სალიუ ლასისი (პარმა), დანიელე ბონორა (პისტოიეზე), მანუელ რუი კოშტა (მილანი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), ენცო ტავანო (ემპოლი); ლუიჯი აგოსტინი (ტერნანა), ენცო ტავანო (რონდინელა); **რობერტო კასანო (ვოგერა), ეზეკელ გონსალესი (როსარიო სენტრალი, არგენტინა), არის ვაკუფცისი (რავენა), დომენიკო მორფეო (ატალანტა), ლუიჯი ბენინი (ტერნანა).**

***ინტერი:*** ფაბიო მაჩელარი (ბოლონია), ჯანლუკა ლიძორი (ტერნანა), კორადო კოლომბო (ატალანტა), სტეფანო ფისორე (ტორინო), ადრიან მუტუ (ვერონა), სებასტიან ფრეი (პარმა), ანდრეა პირლო (მილანი), მატეო ფერარი (პარმა), მარკო ფერანტე (ტორინო), ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი); **კორადო კოლომბო (ტორინო), ემრე ბელოზოღლუ (გალათასარაი, თურქეთი), სტეფანო ფისორე (ლეჩე), სალვატორე ფრეზი (ნაპოლი), სტეფანო ლომბარდი (პერუჯა), [illegible] (ნასიონალი, ურუგვაი), ოკან ბურუქი (გალატასარაი, თურქეთი), [illegible], ალბერტო ფონტანა (ნაპოლი), კრისტიანო ძანეტი (რომა), ჯონათან ბინოტო (ბოლონია), მოჰამედ კალონი (ვიჩენცა), მარკო მატერაცი (პერუჯა), დიეგო კანეირა (რეჯინა), ანდრეს გულიელმინპიეტრო (მილანი), სერჟიუ კონსეისაუ (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), ნიკოლა ფრაუ (რომა).**

***იუვენტუსი:*** რაფაელე ამეტრანო (ნაპოლი), მატეო ბრიგი (ბოლონია), ფილიპო ინძაგი (მილანი), სიმონე პეროტა (კიევო), დარკო კოვაჩევიჩი (ვალენსია, ესპანეთი), ჯონათან ბაკინი (პარმა), მარკო ძანკი (პერუჯა), ფაბიო პეკია (ნაპოლი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი); **ლილიან ტურამი (პარმა), მარკო ძანკი (ვიჩენცა), რაფაელე ამეტრანო (კროტონე), ჯონათან ბაკინი (ბრეშა), ენცო მარესკა (ბოლონია), ფაბიო პეკია (ნაპოლი), სიმონე პეროტა (ბარი), ნიკოლა ამორუზო (ნაპოლი), პაოლო სკული (კროტონე), მასიმილიანო ვიერი (ანკონა), კრისტიან ძენონი (მილანი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), პაველ ნედვედი (ლაციო), ფაბიო ლივერანი (პერუჯა), დავიდე ბაიოკო (პერუჯა).**

***ლაციო:*** სტეფანო დომიცი (მილანი), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი); **სეზარ როდრიგესი (სან კაეტანო, ბრაზილია), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), ანდრეა კომაცი (მილანი), ივან დე ლა პენია (ბარსელონა, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (პარმა).**

***ლეჩე:*** დარიო დაინელი (ბრეშა), სტეფანო ფისორე (ინტერი), დიეგო ლოტი (აველინო), ანტონიო კონვერნსანო (დი სანგრო), ფილიპო მანიტა (მესინა), ედუსეი (კოზენცა), ნიკოლა ვაზარი (სამპდორია), კრისტიანო ლუკარელი (ტორინო); **დიურიკ ვინკლაარი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანსელმო ბილოტი (რავენა), კარლო ფრეცოლინი (კიევო).**

***მილანი:*** ნასიმენტუ ლეონარდო (სან პაულუ, ბრაზილია), ლუიჯი სალა (ატალანტა), ანდრეს გულიელმინპიეტრო (ინტერი), ჯანი კომანდინი (ატალანტა), ლუკა საუდატი (ატალანტა), პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ანდრეა რაბიტო (მოდენა), სტეფანო დომიცი (მოდენა), ანდრეა კომაცი (ლაციო), მირკო სადოტი (პესკარა), კარლო ტეოდორანი (ვერონა), კრისტიან ძენონი (იუვენტუსი), მარკო ტოპიჩი (კოტბუსი, გერმანია), მატია გრაფიედი (ნაპოლი), ანდრეა პირლო (ტორინო), ფედერიკო ჯუნტი (ბრეშა), ფაბრიციო კოლოჩინი (სარაგოსა, ესპანეთი), ზვონიმირ ბობანი (ჰაიდუკი, ხორვატია); **კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ხავი მორენო (ალავესი, ესპანეთი), მასიმო დონატი (ატალანტა), კრისტიან ძენონი (ატალანტა), ფაბრიციო კოლოჩინი (სან ლორენსო, არგენტინა), სირილ დომორო (ბასტია, საფრანგეთი), ნიკოლა კორენტი (სიენა), დრაგენ ბრნჩიჩი (ვიჩენცა), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა), ანდრეა პირლო (ინტერი), მასიმო მაკარონე (ემპოლი), სტეფანო დომიცი (ლაციო), ნემანია ვუჩიცევიჩი (ოფკ იუგოსლავია), მატია გრაფიედი (ჩეზენა), ლუკა დე ძერბი (სალერნიტანა), ტარიბო ვესტი (დერბი ქაუნთი, ინგლისი).**

***პარმა:*** ლილიან ტურამი (იუვენტუსი), ანდრეა დიმპორძანო (უდინეზე), მატეო გუარდალბენი (პიაჩენცა), ადაილტონი (ვერონა), ანტონ სერიჩი (ვერონა), დიეგო ფუზერი (რომა), სალიუ ლასისი (რომა), რაფაელე ლონგო (რომა), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარსიო ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი), მატიას ალმეიდა (ლაციო), ნიკოლა მორა (პიაჩენცა), პაოლო პოჯი (პიაჩენცა); **ემილიანო ბონაცოლი (ვერონა), პაოლო პოჯი (რომა), მარტინ ლაურსენი (ვერონა), ჯოვანი გრიეკო (ჯენოა), სალიუ ლასისი (ფიორენტინა), ჯამპიერო მაინი (ვენეცია), ნიკოლა მორა (ტორინო), ჯუზეპე კარდონე (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პერუჯა), სერგეი გურენკო (რომა), ამადეო მანგონე (რომა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), სებასტიან ფრეი (ინტერი), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), მატეო ფერარი (ინტერი), მარკო მარკიონი (ემპოლი), კლაუდიო ტაფარელი (გალატასარია, თურქეთი).**

***პერუჯა:*** მარკო მატერაცი (ინტერი), [illegible] ფაბიო ლივერანი (იუვენტუსი), დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი), ფაბიან გინაზუ (გვადალახარა, მექსიკა), ალესანდრო პიერი (უდინეზე); **ჯონ მაური (სტანდარდი, ბელგია), შაბონე სპანი (კონექტი, ტრინიდადი და ტობაგო), სტეფანო გროსო (კიეტი), ჟაკემინი (სტანდარდი, ბელგია), ჟან გალერი (ანდერლეხტი, ბელგია), ანტონიო კინალი (ვენტელა), რობერტო დი ფრანჩესკო (ინდიპენდიენტე, არგენტინა), ანტონიო ფუზანი (ბრეშელო), მარკო ძანკი (იუვენტუსი), ანდრეა სონჩინი (ვიჯევანო), სეად მუსლიმოვიჩი (უდინეზე), სალვატორე მატრეკანო (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი).**

***პიაჩენცა:*** ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი), პაოლო კრისტალინი (ვიჩენცა), ნიკოლა არტიკო (პესკარა), დავიდე ზიტოლო (პიზა), ფაბიო მატეასი (ვერონა); **პალმიერი (სალერნიტანა), ფაბიო მატეასი (ბრეშელო), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), მატეო გუარდალბენი (პარმა), ანტონიო ნიკოლეტი (რეჯანა), ჯუზეპე კრისტანე (რავენა), პაოლო ორლანდონი (რეჯინა), პაოლო პოჯი (პარმა), ნიკოლა მორა (ტორინო), დარო უბნერი (ბრეშა), ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (ნაპოლი).**

***რომა:*** ეუსებიო დი ფრანჩესკო (პიაჩენცა), ალესანდრო რინალდი (ატალანტა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), პაოლო პოჯი (პარმა), ვინჩენცო დაგოსტინო (ბარი), კრისტიანო ლუპატელი (კიევო), ამადეო მანგონე (პარმა), სერგეი გურენკო (პარმა), რაფაელე ლონგო (პალერმო), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), ნიკოლა ფრაუ (ინტერი); **ფრანსისკო ლიმა (ბოლონია), ივან პელიცოლი (ატალანტა), ანტონიო კასანო (ბარი), ნილ სივილია (ატალანტა), ივან ტომიჩი (ალავესი, ესპანეთი), პაოლო პოჯი (ბარი), დიეგო ფუზერი (პარმა), სერგეი გურენკო (სარაგოსა, ესპანეთი), სალიუ ლასისი (პარმა), რაფაელე ლონგო (პარმა), დავიდე ფრეცა (სავოია).**

***ტორინო:*** ჯიბრილ დიავარა (ბოლტონი, ინგლისი), კორადო კოლომბო (ინტერი), სიქსტო პერალტა (ინტერი), ნიკოლა მორა (პარმა), ედუარდო არტისტიკო (კროტონე); **პიერლუიჯი პაოლეტი (აკილა), ანტონიო ბალძარეტი (ვარეზე), ფრანკო (პენიაროლი, ურუგვაი), ეუჯენიო სორენტინო (ვარეზე), სტეფანო ფისორე (ინტერი), მარკო ტირიბოკი (სიენა), ფაბიენ ასტა (ნაპოლი), კრისტიანო ლუკარელი (ლეჩე), დანიელე კომოტო (ვიჩენცა), ფაბიო პეკია (იუვენტუსი), მარკო ფერანტე (ინტერი), სტეფანო ტურკეტი (ანკონა), ანდრეა პირლო (მილანი).**

***უდინეზე:*** სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯულიანო ჯანიკედა (ლაციო), მორტენ ბისგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), სეად მუსლიმოვიჩი (პერუჯა); **ანდრეა დიმპორძანო (პარმა), ნიკოლა ელი (სალერნიტანა), მარტინ კროლდრუპი (აკადემისკი, დანია), ფაბიან მარტინესი (ტოლუკა, მექსიკა), დიკ მეერდინკი (გრააფსხაპი, ჰოლანდია), მაურისიო პინედა (ნაპოლი), ანტონიო სკარლატო (რავენა), ხუან პავონი (ატლეტიკო მორეილა, კოლუმბია), ნიკოლა ბედინი (სამპდორია), სიაბონგა ნომვეტე (კაიზერ ჩიფსი, სამხრეთ აფრიკა), ალესანდრო პიერი (პერუჯა), დიმიტრიოს ნალიცისი (პაოკ საბერძნეთი), სამუელ კაბალიერო (?, ჰონდურასი).**

***ვენეცია:*** ჯამპიერო მაინი (პარმა), ანტონიო მაზიოლო (ლუმეცანე), მარკო ლუპი (თამაში მიატოვა), პიეტრო ფოლიო (ატალანტა), სტეფანო პედონე (კომო), ანჯელო ტოფანინი (პადოვა), კლაუს იბერტსბერგერი (ტიროლი, ავსტრია); **მაურო ბრესანი (ფიორენტინა), ხუან მანულ კარერი (ალიანსა, პერუ), მირკო ცვიტანოვიჩი (ვერონა), სტეფან ბუდანი (ბელინცონა), ჯუზეპე ჯიოკინი (სავოია), ჯიმი ალჟერინო (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), სამუელ დე ფრანჩესკი (სალერნიტანა), პაოლო კულო (ასკოლი), მეტ ბიანკი (პისტოიეზე), დანიელ ანდერსონი (ბარი).**

***ვერონა:*** მარტინ ლაურსენი (პარმა), ემილიანო ბონაცოლი (პარმა), სტეფანო სგრინა (ვიჩენცა), ემანუელე ფერარეზე (ჩიტადელა), მარკო ცვიტანოვიჩი (ვენეცია); [illegible] ლუიჯი ფილიპინი (ნიცა, საფრანგეთი).

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**




პიტერ შმაიხელმა ერთი წლით „ასტონ ვილას" კარი ჩაიბარა

# გამარჯვების გზებზე ვდგებით, შმაიხელი ჩვენია!

**ორწლიანი** შესვენების შემდეგ პიტერ შმაიხელი პრემიერლიგას დაუბრუნდა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა კარის დარაჯმა „ასტონ ვილასთან" გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი. შეგახსენებთ, რომ სერ ალექს ფერგიუსონის გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ დანიელი „ოლდ ტრეფორდს" დაემშვიდობა და კარიერა ლისაბონის „სპორტინგში" გააგრძელა. ბევრი ვარაუდობდა, რომ ვეტერანი მეკარისთვის ეს ბოლო კლუბი იქნებოდა, მით უფრო რომ მან სანაკრებო კარიერა ხომ უკვე დაასრულა.

ინგლისის არაერთგზის ჩემპიონმა კი აი, რა განაცხადა: „ფეხბურთიდან წასვლის დრო ჯერ არ დამდგარა. უმაღლეს დონეზე სათამაშოდ კი ერთადერთი ადგილი მეგულება — პრემიერლიგა". არადა, შეგახსენებთ, რომ 1999 წელს „იუნაიტედის" შემადგენლობაში პრემიერლიგის, ინგლისის თასისა და ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ შმაიხელმა გამოაცხადა, პრემიერლიგური დატვირთვა ძნელი გასაძლებია და ვარჩიე, სხვაგან წავიდეო. 37 წლის მეკარემ ლისაბონი არჩია და „სპორტინგთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის ვადაც ზუსტად ახლა დასრულდა. პორტუგალიელები დანიელს კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობდნენ, მაგრამ ამ დროს მას „ასტონ ვილამაც" მიმართა წინადადებით და პიტერიც ბრიტანელებს დათანხმდა.

ბირმინგემულმა კლუბმა სულ რამდენიმე დღის წინ დაიწყო ახალი მეკარის ძებნა, მას შემდეგ, რაც დევიდ ჯეიმსი 3,5 მილიონ გირვანქად გაასხვისა „ვესტ ჰემში".

„ასტონ ვილას" მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ თქვა: „პიტერი ყველგან გამარჯვებული იყო. მჯერა, ჩვენს გუნდსაც მოუტანს წარმატებას. იგი ნებისმიერი გუნდისთვის შეუცვლელი ლიდერია, რასაც ყველაზე მეტად ვაფასებ — ფული ნაკლებად აინტერესებს". რახან ფულზე ჩამოვარდა სიტყვა, ვთქვათ — კლუბის განცხადებით, შმაიხელი ერთწლიანი კონტრაქტის საფასურად მილიონ გირვანქას მიიღებს.

შმაიხელთან საუბრისას როგორ იქნებოდა, მისთვის „მანჩესტერ იუნაიტედზე" არ ეკითხათ.

„იუნაიტედი" ჩემს ცხოვრებაში იყო და დარჩება განსაკუთრებულ მოვლენად. ის, რაც ბოლო სეზონში ამ გუნდთან ერთად მოვახერხე, ნებისმიერისთვის ძნელი მისაღწევია, თუმცა გეტყვით, „ოლდ ტრეფორდზე" დარჩენა არც კი გამივლია გულში" — ასეთი იყო მისი პასუხი.

პიტერმა უკვე გააფორმა ახალ კლუბთან კონტრაქტი. თუმცა დღეს ხორვატიაში „ასტონ ვილას" ინტერტოტოს თასზე ვერ დაეხმარება. როგორც ვარაუდობენ, ის მომავალ შაბათს დაიცავს პირველად „ვილას" კარს, როცა „სლოვენი" საპასუხო მატჩში ეწვევა ბირმინგემს.

**ნიკა შუბლაძე**

# ვეა დედის შეგინებაზე ამაღლდა



ჟორჟ ვეამ გულშემატკივრებს შეუნდო

**დაახლოებით** ათი დღის წინ ჟორჟ ვეამ ლიბერიის ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა. „მილანის" ყოფილმა ფორვარდმა თანამემამულე გულშემატკივრებისგან შეურაცხყოფა ვერ მოითმინა. ისინი კი იმან გააცხარა, რომ ლიბერიის ნაკრებმა შინ განასთან წააგო. ფანებმა ჯავრი ქვეყნის ყველაზე სახელოვან ფეხბურთელზე იყარეს და მეტი რომ არ ვთქვათ, მისი დედა აუგად მოიხსენიეს.

გულნატკენმა ვეამ მაშინ განაცხადა, დაუმსახურებელი შეურაცხყოფას და მით უმეტეს, დედის გინებას არავის შევარჩენო და ნაკრები დატოვა. ამან ლიბერიის მოსახლეობაში შოკი გამოიწვია. ხალხმა ვეას ეროვნულ გუნდში დაბრუნება მოითხოვა.

დიდი ლიბერიელის დაყოლიება თავად ქვეყნის პრეზიდენტმა ჩარლზ ტეილორმა ითავა, ამაში მეუღლეც დაეხმარა. ისინი ვეას შეხვდნენ და სამთა თათბირი იმით დასრულდა, რომ ფეხბურთელმა აზრი იცვალა. მან ჟურნალისტებს უთხრა: „ნაკრებს არ ვტოვებ, ქვეყანაში სპორტის განვითარებაში კვლავ შევიტან წვლილს. ჯერაც შემწევს ძალა, რომ ეროვნულ გუნდს ვემსახურო". ფეხბურთელმა ისიც დასძინა, რომ იგი ნაკრების ტექნიკური დირექტორის პოსტიდანაც არ წავა.

„ვეამ საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენ მას ყოველთვის მხარში ვედექით" — სიხარულით განაცხადა ლიბერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ედვინ სნოუმ.

# ან დამტოვეთ, ან გამიშვით, მადლობა

## ეფენბერგის ცოლმა ბრძანა, გერმანიაში მოგვწყინდაო

**მიუნხენის** „ბაიერნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა აღიარა, რომ თუ კლუბი ნაკრების ორი მოთამაშის, ბერლინელი სებასტიან დაისლერისა და ლევერკუზენელი მიხაელ ბალაკის ყიდვას შეძლებს, 33 წლის შტეფან ეფენბერგს გუნდში აღარ დააკავებს. მწვრთნელის თქმით, მინდორზე ამ სამი ფეხბურთელის ერთდროულ ყოფნას აზრი არა აქვს.

არადა, ერთი თვის წინ ჰიცფელდი ამბობდა, „ბაიერნის" ზედიზედ მეოთხედ გაჩემპიონებას ვაპირებ და კაპიტნის გაშვება არ მსურსო. ფეხბურთელის მეუღლემ და იმავდროულად მენეჯერმა მარტინამ კი ბრძანა, შტეფანი ჯერ კიდევ სეზონის დასრულებისას ფიქრობდა გერმანიის დატოვებასო, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ეფენბერგი დარჩებოდა და გუნდიც ძველებურად შეუტევდა, მაგრამ „ბაიერნმა" პოლიტიკა შეცვალა.

მწვრთნელის ასეთი განცხადების შემდეგ ბევრი, სკანდალს ელოდა, გუნდში დროდადრო რომ ხდება-ხოლმე, მაგრამ ჯერჯერობით იქ სიმშვიდეა.

„ბაიერნის" კაპიტანს არაერთხელ გამოუთქვამს კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელების სურვილი, კერძოდ, ინგლისში ან სულაც აშშ-ში. მიუხედავად იმისა, რომ გუნდთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, ეფენბერგს, ეტყობა, უბრალოდ მობეზრდა მიუნხენი, თანაც მოახლოებულ კონკურენციას გრძნობს. მას სურს თავაწეულმა დატოვოს კლუბი და არა ისე, ვიღაცის შესაცვლელი გახდეს.



შტეფან ეფენბერგი და მისი ცოლ-მენეჯერი მარტინა

შტეფან ეფენბერგის შემცვლელზე ფიქრისას „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა თვალი „ბაიერისა" და „ჰერტას" ლიდერებს დაადგეს, თანაც გულშემატკივრებს შეჰპირდნენ, უახლოეს მომავალში მათ შესაძენად ჩვენს ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებთო. იმავდროულად, მაქსიმალურად ცდილობდნენ, ეფენბერგიც დაეტოვებინათ, მაგრამ ამჯერად ჰიცფელდმა ვეტერან ფეხბურთელს მიანიშნა, მალე შენი სამსახური გუნდს, ალბათ, აღარ დასჭირდებაო.

„მწვრთნელის განცხადებას სრულიად მშვიდად შევხვდი, რადგან თავადაც კარგად მესმის, რომ 20 წლის აღარ ვარ, გზა ახალგაზრდებს უნდა დავუთმო. სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი ნაკლებად მაღელვებს, ამჟამად მხოლოდ საკუთარ მზადყოფნაზე ვფიქრობ. სიამოვნებით ვითამაშებდი რომელიმე ლონდონურ კლუბში, მაგალითად, „ტოტენჰემში" ან „არსენალში" — განაცხადა ფეხბურთელმა.

ბალაკსა და დაისლერს „ბაიერნი" კონტრაქტს, სავარაუდოდ, გაისად გაუფორმებს, მაგრამ ეს არცთუ იოლი იქნება. „ჰერტამ" მიუნხენელებს 17-მილიონიან წინადადებაზე ხელი აუკრა, ხოლო თავის ვარსკვლავთბიჭუნას ხელფასი გაუზარდა. რაც შეეხებათ ლევერკუზენელებს, ისინი, ალბათ, დიდად არ გაიპრანჭებიან, რადგან, როგორც ამბობენ, ბალაკის ტრანსფერი მინიმუმ 28 მილიონი დაჯდება.

ვნახოთ, როგორ იმყოფინებს ჰიცფელდი იმ 40 მილიონ დოლარს, რომელიც მომავალი ორი წლისთვისაა გამოყოფილი.

**გაჩა ხუციშვილი**

# თერიმი მილანში ფიორენტინას აკეთებს

## ბურთი აქვს ბობანს, გადააწოდა ივანიშევიჩს

**ნახევარმცველი** მანუელ რუი კოშტა და თავდამსხმელი ფილიპო ინძაგი რომ დაიგულა, „მილანის" თურქმა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა დაცვისკენაც გაიხედა. ორ სავარაუდო კანდიდატს — ფიორენტინელ ალესანდრო პიერინის და ბრეშელ დანიელე ბონერას გუშინ ასევე ფიორენტინელი, ჩეხი ტომაშ რეპკაც შეემატა. ვინ ჰყავს „მილანს" დაცვაში? პაოლო მალდინი, ალესანდრო კოსტაკურტა, კახა კალაძე, ფრანჩესკო კოკო, თომას ჰელვეგი, კოზმინ კონტრა, ხოსე ანტონიო შამოტი, ჟოზე ვიტორ როკე ჟუნიორი, დანიელე დანო და მიკელე ფერი. ათია და თერიმი კიდევ მცველზე ფიქრობს, ამისთვის კი ძალიან ცდილობს, რეპკა გადაიბიროს.

ჩეხ ცენტრალურ მცველს მეორე მილანური გრანდი, „ინტერიც" ეკურკურება. „ნერო-ამურის" რეპკას გადაბირება მას მერე განუზრახავს, რაც „არსენალთან" სოლ კემპბელისთვის ბრძოლა წააგო.

გუშინვე „მილანის" 33 წლის გერმანელ ვეტერან ოლივერ ბირჰოფს კიდევ ერთი მსურველი კლუბი გამოუჩნდა. ლონდონური „ვესტ ჰემის" ახალმა თავკაცმა გლენ რედერმა თქვა, არაფერს დავიშურებ თუ ბირჰოფი „ვესტ ჰემში" გადმოვა, მზად ვარ, ხელფასად კვირაში 30 000 გირვანქა დავუნიშნოო. თუმცა „ჩაქუჩებს" სერიოზული კონკურენტები ჰყავთ — ბირჰოფს „უოტფორდი" და „ფულემი" ეპატიჟებიან. გლენ რედერს ბირჰოფის გარდა ფრანგული „ლილის" მცველი პასკალ სიგანიც ჩავარდნია გულში და მზადაა, მის სანაცვლოდ კლუბის უფროსობას 5 მილიონ დოლარიანი ჩეკი გამოაწერინოს. როგორც გაზეთი „დეილი მირორი" იუწყება, „ვესტ ჰემის" დირექტორი პოლ ოლდრიჯი ჯერ საფრანგეთში ჩავა კონტრაქტის დეტალების დასაზუსტებლად, იქიდან კი ბირჰოფს ჩააკითხავს იტალიაში.




ტომაშ რეპკასაც „მილანში" იწვევენ

–კიდევ ერთი მილანელი, ხორვატი ზვონიმირ ბობანი [illegible] ლი „სარბიელის" ბოლო გვერდზეც ნახავთ. ბობანი სპლიტში ჩავიდა და [illegible] გორან ივანიშევიჩს დახვდა. [illegible] ბობანმა შესაძლოა, „ჰაიდუკთან" კონტრაქტსაც მოაწეროს ხელი. მით უმეტეს, თავად წინააღმდეგი არ არის, საფეხბურთო კარიერა ხორვატიაში დაასრულოს. როგორც „ჰაიდუკის" დირექტორატთა საბჭოს წევრმა, ეროვნული გუნდის ყოფილმა ფეხბურთელმა და ბობანის მეგობარმა იგორ შტიმაცმა თქვა, ისინი ყველაფერს ილონებენ, გორან ივანიშევიჩის შემდეგ კონტრაქტი ზვონიმირ ბობანსაც გაუფორმონ, რათა ივანიშევიჩ-ბობანის დუეტმა ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ მატჩშიც ითამაშოს უნგრული „ფერენცვაროშის" წინააღმდეგ.

**გიორგი გუგაძიძე**

## რუსეთი

XVI ტური

**დინამო 0:4 ტორპედო**

0:1 კამოლცევი (31), 0:2 ლუხვიჩი (45), 0:3 სემშოვი (48), 0:4 ვიაზმიკინი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 16 | 9 | 4 | 3 | 21:12 | 31 |
| ლოკომოტივი | 16 | 9 | 3 | 4 | 27:11 | 30 |
| კრილია | 16 | 9 | 3 | 4 | 19:9 | 30 |
| ტორპედო | 16 | 8 | 5 | 3 | 31:17 | 29 |
| ზენიტი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:21 | 28 |
| სოკოლი | 16 | 8 | 4 | 4 | 20:21 | 28 |
| ცსკა | 16 | 7 | 5 | 4 | 19:12 | 26 |
| სატურნი | 16 | 6 | 4 | 6 | 18:12 | 22 |
| როსტსელმაში | 16 | 6 | 2 | 8 | 15:16 | 20 |
| დინამო | 16 | 5 | 5 | 6 | 18:20 | 20 |
| ანჟი | 16 | 4 | 6 | 6 | 11:12 | 18 |
| ალანია | 16 | 5 | 2 | 9 | 13:23 | 17 |
| ფაკელი | 16 | 4 | 3 | 9 | 14:20 | 15 |
| ტორპედო ზილ | 16 | 3 | 5 | 8 | 12:22 | 14 |
| როტორი | 16 | 3 | 4 | 9 | 14:23 | 13 |
| ჩერნომორეცი | 16 | 2 | 5 | 9 | 7:31 | 11 |

## გერმანია

ლიგის თასის 1/4 ფინალი

**ლევერკუზენი 1:2 ჰერტა**

0:1 მარსელინიო (49), 0:2 დაისლერი (63), 1:2 ნოივილი (73)

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, კლეინი (ბ. შნაიდერი 58), ნოვოტნი, პლასენტე, ჰოგატეცი (ოჯიგვე 73), ვრანიეში, რამელო, ბალაკი, ბასტურკი, ნოივილი, კირსტენი (ბრდარიჩი 70)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი

ჰერტა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი, სვერისონი, შმიდტი (ჰარტმანი 41), ბაინლიხი, დაისლერი, გოორი, ალვეში (ნოიენდორფი 67), მარსელინიო, პრეეცი

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

გაფრთხილება: მარსელინიო, პრეეცი, დაისლერი

14 400 მაყურებელი

### 1/2 ფინალი

17 ივლისი

**შალკე — დორტმუნდი**

18 ივლისი

**ბაიერნი — ჰერტა**

## ფინეთი

XIX ტური

ინტერი — ჯაზი 1:0; კუოპიო — ტამპერე 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 16 | 10 | 3 | 3 | 26:18 | 33 |
| მიუპა | 16 | 8 | 6 | 2 | 27:14 | 30 |
| ჰაკა | 18 | 8 | 5 | 5 | 27:17 | 29 |
| ჰიკ | 16 | 7 | 7 | 2 | 28:12 | 28 |
| ინტერი | 17 | 8 | 4 | 5 | 27:23 | 28 |
| ატლანტისი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:24 | 23 |
| ლაჰტი | 15 | 5 | 4 | 6 | 17:19 | 19 |
| ვაასა | 15 | 6 | 1 | 8 | 18:21 | 19 |
| კუოპიო | 16 | 4 | 6 | 6 | 11:19 | 18 |
| ოკერიტი | 17 | 4 | 4 | 9 | 20:32 | 16 |
| როვანიემი | 15 | 3 | 4 | 8 | 12:21 | 13 |
| ჯაზი | 14 | 1 | 3 | 10 | 9:25 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პელოტონმა ამბოხი ფინიშთან ჩაახშო

**„ტურ დე ფრანსმა“** გუშინ პაწია კომერსიდან მოზრდილ სტრასბურამდე 211,5 კილომეტრი დაფარა. ამინდი ძველებურად უხეირო იყო, სტარტზე ქარიც ერთობ უბერავდა, მაგრამ პელოტონი არსად გახლეჩილა და მთლიან ჯგუფად უწია ფინიშს. ერთადერთხელ შეუტიეს ელი მერქსის ვაჟმა აქსელმა, რიკ ვერბრიუგემ, მიკელე ბარტოლიმ, ლორან ბროშარმა და ფრედერიკ ბესიმ, ოღონდ ძალიან წინ ვერ გაიჭრნენ, 150-ე კილომეტრზე ასე 3 წუთით მოსწყდნენ მთავარ მასას, შემდეგ კი პელოტონი ამუშავდა და ფინიშის სიახლოვეს ჩაყლაპა „თავხედები“. საქმე ჯგუფურ სპრინტზე მიდგა, სადაც ყველაზე ყოჩაღი ესტონელი იან კირსიპუუ გამოდგა.

ჯგუფური ფინიშის გამო საერთო ჩათვლაში არაფერი შეცვლილა. კვლავ წინაა „კრედი აგრიკოლის“ ავსტრალიელი ველოსიპედისტი სტიუარტ ოგრედი და შორს აღარაა ის დღე, როცა მას ყვითელი მაისურისთვის ფიცხელ ბრძოლას გაუმართავენ. მთავარი ფავორიტი, ლენს არმსტრონგი, პელოტონთან ერთად გადავიდა ფინიშზე და შემდეგ ცოტა ხანს ჟურნალისტებს ელაპარაკა. არმსტრონგმა მეხუთე ეტაპზე ორი მისი თანაგუნდელის დაცემას სათანადო ყურადღება მიაქცია და შენიშნა, რომ 7 კაცით გუნდურ რბოლაში მაინც მეოთხე ადგილის დაკავება საუცხოო შედეგი იყო.

„დღევანდელი რბოლა რთული გამოდგა — თქვა არმსტრონგმა — თავიდან ქარმა შეგვიშალა ხელი და საერთოდ, ჯერ წესიერ ამინდს ვერ ვეღირსეთ“.

ლიდერზე და მის გუნდზე არმსტრონგმა შემდეგი თქვა: „მათ ჰყავთ ტაქტიკურად კარგად მოაზროვნე ორიოდე კაცი, ამიტომ არ მიკვირს, ლიდერები რომ არიან. ჩვენი ამოცანა ჯერჯერობით მათი შეტევების ყურადღებით ჭვრეტაა, მერე კი მთები დაიწყება და ვნახოთ“.

სტრასბურიდან „ტურ დე ფრანსი“ კოლმარს მიაშურებს. მათ შორის მანძილი 162,5 კილომეტრია.

**დავით გულუა**


REUTERS სტრასბურიდან

პელოტონი ეკლესიასთან

**მეექვსე ეტაპი**

კომერსი — სტრასბური. 211,5 კმ

1. იან კირსიპუუ (ესტონეთი, პრევუიანსი) 4სთ 50წთ 39წმ
2. დამიენ ნაზონი (საფრანგეთი, ბონჟური) იგივე დრო
3. იან სვორადა (ჩეხეთი, ლამპრე) იგივე დრო
4. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) იგივე დრო
5. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) 25 სთ, 45 წთ, 00 წმ
2. იენს ვოიგტი (გერმანია, კრედი აგრიკოლი) +26
3. ბობი ჟულიჩი (აშშ, კრედი აგრიკოლი) +27
4. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) +57
5. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +1,07

# არც მოხუცდა და არც ეშინია

***შარშანდელ „ტურ დე ფრანსზე“ ლორან ჟალაბერმა ძალიან ცუდად ირბოლა. წლეულს „ჟაჟა“ ახალი გუნდის, დანიური „ტისკალის“ ლიდერად დაბრუნდა „ტურზე“ და გაცილებით უკეთ გამოსვლის პირობაც დადო. ასეც მოხდა. 33 წლის მრბოლმა უკვე მოიგო ერთი ეტაპი და ამით დაკმაყოფილებას არც აპირებს. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:***

**— ლორან, შარშან თქვენ ძალიან გაგიჭირდათ „ტურის“ დამთავრება. არადა, მანამდე ყვითელ მაისურაც კი გეცვათ რამდენიმე დღე. ამის შემდეგ განაცხადეთ, რომ ამ შეჯიბრში საერთოდ აღარ გამოჩვიდოდით. რამ შეგაცვლევინათ გადაწყვეტილება?**

— ნამდვილად არ მახსოვს, ასეთი რამ თუ ვთქვი. ასეთი კითხვა 1998 წელსაც დამისვეს, როცა „ტური“ პროტესტის ნიშნად მივატოვე. ეს ტურნირი მსოფლიოში საუკეთესოა და მიუხედავად იმისა, რომ მისი მოგების არანაირი შანსი არ მაქვს, მასში მონაწილეობა მაინც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

**— თქვენ მიზნად საერთო ჩათვლაში საუკეთესო თხუთმეტეულში მოხვედრა და ერთი ეტაპის მოგება დაისახეთ. ნახევარი საქმე უკვე გაკეთებულია...**

— შეიძლება ითქვას, მაგრამ თუ კიდევ მოვიგებ, ეს გაცილებით უკეთესი იქნება. რაც შეეხება საერთო ჩათვლას, პირველ ადგილზე ნამდვილად ვერ გავალ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რომ მაღალი ადგილი დავიკავო.

**— „ტურის“ მაღალმთიანი ეტაპები თქვენი აქილევსის ქუსლია, არადა, „ვუელტა“ გაქვთ მოგებული...**

— როცა 1995 წელს ესპანეთში გავიმარჯვე, მაშინ „ტურზე“ მეოთხე ადგილი დავიკავე. მას შემდეგ შვიდი წელი გავიდა... მრბოლი საუკეთესო ფორმას 27 წლიდან აღწევს. „ვუელტას“ მოგებისას მეც 27-ის ვიყავი. დღეს 33 წლისა ვარ. მართალია, თავს მოხუცად ნამდვილად არ ვგრძნობ, მაგრამ ისეთი ენერგია აღარ მაქვს. „ტურზე“ იმ პერიოდში შეიძლებოდა გამემარჯვა, მაშინ მთებიც არ მაშინებდა, მაგრამ ახლა იგივე მონაცემები არ მაქვს. თავიდან სპრინტერი ვიყავი, მაგრამ ერთი წაქცევის „ტურზე“ შემდეგ გადავწყვიტე, კარიერა სხვანაირად გამეგრძელებინა და მთებში რბოლას მივეჩვიე. ეს საკმაოდ კარგად გამომივიდა, უამრავი რბოლაც მოვიგე და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მსოფლიოს კლასიფიკაციაშიც კარგა ხანს მეკავა პირველი საფეხური. თუმცა წლებთან ერთად ორგანიზმი სუსტდება და ერთ დღეს მეტის გაკეთება აღარ შეგიძლია.

**— გუნდის ცვლილებამ შეცვალა თქვენი „ტურისთვის“ მზადება?**

— რა თქმა უნდა. „ტისკალი“ „ტურ დე ფრანსს“ სხვანაირად აღიქვამს. ის მისთვის წლის მთავარი ტურნირია მაშინ, როცა ესპანური „ონსე“ აქცენტს მაინც „ვუელტაზე“ აკეთებს ხოლმე. თანაც ახალმა სპორტულმა დირექტორმა ბიარნ რიისმა, რომელსაც აქ 1996 წელს უჩემპიონია, თავისი გამოცდილების გაზიარებით ძალიან ბევრი შემძინა. „ონსე“ ხშირად საბოლოო გამარჯვებას გეგმავდა, არადა, ამის საშუალება რეალურად თითქმის ერთხელაც არ ჰქონია. „ტისკალიში“ კი ზედმეტი ფსიქოლოგიური წნეხისაგან თავისუფალი ვარ.

**— დღეს დოპინგი და ველოსპორტი ლამის განუყრელნი გახდნენ. ხომ არ გეშინიათ, რომ „ტურზეც“ ისეთივე ხაფანგი დააგოს პოლიციამ, როგორც წლევანდელ „ჯიროზე“?**

— არა! ეს უბრალოდ ველოსპორტის იმიჯს კიდევ ერთხელ შელახავდა და მხოლოდ ეს მაფიქრებს, თორემ პირადად რისი უნდა მეშინოდეს? ვინც დოპინგს იყენებს ანდა ინახავს, იმათ ეშინოდეთ, მე კი სუფთა ვარ!

**გაგი გურული**




მეოთხე ეტაპის მოგების შემდეგ ლორან ჟალაბერმა დოპინგ-კონტროლი უშიშრად და სიცილ-სიცილით გაიარა

# ტურდეფრანსი უდრის სექსტურს

**მაგარი** გაუგებარი ტოლობაა, არა?

თუმც თუ ინტერნეტში ერკვევით და ველოსპორტის უმთავრესი შეჯიბრიც გაინტერესებთ, მაშინ შეიძლება ყველაფერი თავად გაარკვიოთ.

თუ ინტერნეტს „დაქოქავთ“ და WWW.TOURDEFRANCE.COM-ს აკრეფთ, რათა „ტურის“ ამბები გაიგოთ, შეიძლება ველოსპორტის არსებობაც კი დაგავიწყდეთ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ შეჯიბრის ოფიციალური ვებ გვერდის ნაცვლად „SEX TOUR“-ზე მოხვდებით, სადაც გამოფენილი ლამაზმანების ერთობ ღია ფოტოები ნამდვილად არ ჰგავს საფრანგეთის პეიზაჟებს.

უკვე მრავალი ათასი ველომანი აღმოჩნდა შეცდომით 2000 წელს დარეგისტრირებულ ამ მისამართზე, რომელიც კანარის კუნძულებზე მცხოვრები ესპანელის შემოქმედებაა. სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ სატელეფონო ინტერვიუში ბატონმა გარსიამ (ასე ვუწოდოთ მას) აღნიშნა, რომ „ტურის“ დაწყების შემდეგ უკვე 20 ათასზე მეტმა სტუმარმა მოინახულა მისი ვებ გვერდის, რომლის დაკეტვაც არავის უთხოვია.

ბოლოს კი ვისაც „ტურის“ ოფიციალური საინტერნეტო გვერდი აინტერესებს, ვეტყვით, რომ მისი მისამართია: WWW.LETOUR2001.FR

## ცოტაოდენი ისტორია და გეოგრაფია



მეექვსე ეტაპის სასტარტო ქალაქი კომერსი მეზის პრეფექტურაში შედის და ძალიან მდიდარი მემკვიდრეობის პატრონია. შუა საუკუნეებში აშენებული ნაგებობების უმეტესობა მართალია, აღარ არის, მაგრამ სამაგიეროდ მომდევნო ეპოქის „ნაშთები“ იწონებენ თავს. XVIII საუკუნის დასაწყისში პრინც ვოდემონს თავისი სასახლის მშენებლობისას ძველი ქალაქის შელამაზებაც უბრძანებია და კომერსი საკმაოდ გაუთანამედროვებია. პრინცის წამხედურობით ბედენიქტელ ბერებს ახალი ტაძარი აღუმართავთ, ქალაქელ ბურჟუებს კი წმინდა შარლის სახელობის საავადმყოფო, რამაც კომერსი კიდევ უფრო გაალამაზა. იმასაც ამბობენ, რომ მთელს საფრანგეთში განთქმული მადლენის ნამცხვარი პირველად სწორედ პრინც ვოდემონის სასახლის სამზარეულოში გამოაცხვეს. გარდა ამისა, კომერსი თავისი მეტალურგიული ტრადიციითაც გამოირჩევა.



სტრასბური აღმოსავლეთ საფრანგეთში, მდინარე ილის და რაინის შესართავში, რაინ-რონისა და რაინ-მარნის არხებზე მდებარეობს. იგი ალზასის ისტორიული დედაქალაქია და გარეუბნებიანად ნახევარ მილიონზე მეტ მოსახლეს ითვლის. სტრასბური აღმოცენდა კელტური ნამოსახლარის ადგილას, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში დაიპყრეს რომაელებმა. იმპერატორმა ავგუსტუსმა აქ რომაელთა გამაგრებული ბანაკი არგენტორატუმი დააარსა, რომელსაც VI საუკუნეში სტრატებურგუმი ეწოდა.

925 წლიდან იგი გერმანელთა სამეფოს ეკუთვნოდა, 1262 წლიდან კი იმპერიის ქალაქი იყო. XV-XVI საუკუნეებში სტრასბური ჰუმანიზმის ერთ-ერთი მთავარი კერა და რეფორმაციის მნიშვნელოვანი ცენტრია. 1681 წელს შევიდა საფრანგეთის შემადგენლობაში. მისი მოსახლეობა ძალიან აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის დიდ რევოლუციაში. 1871-1918 წლებში სტრასბური ისევ გერმანიის კუთვნილება იყო. საფრანგეთს 1919 წელს დაუბრუნდა, 1940-1944 წლებში კი ფაშისტების მიერ იქნა ოკუპირებული.

სტრასბური დიდი სამრეწველო, სავაჭრო, კულტურული ცენტრი და სატრანსპორტო კვანძია. აქ განვითარებულია დარგები: ავტომშენებლობა, ელექტროტექნიკა, სარკინიგზო მოწყობილობების წარმოება, სამდინარო გემთმშენებლობა... ევროკავშირის ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან ერთად სტრასბურმა გაცილებით მეტი მნიშვნელობა შეიძინა თავისი ადგილმდებარეობის და ისტორიული წარსულის გამო. საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე მდებარე და ამ ორი ქვეყნის კულტურის გამაერთიანებელი ქალაქი, ფაქტობრივად, ევროკავშირის დედაქალაქი გახდა. აქ არის განლაგებული ევროპარლამენტი და გაერთიანების სხვა ძირითადი ორგანოები. ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია: ტაძარი, რომლის ქანდაკებებით უხვად მორთული დასავლეთ ფასადი დაწყებულია დაახლოებით 1277 წელს და გვიანდელი გოტიკური არქიტექტურის შედევრად ითვლება; გოტიკური ეკლესია — სენ-ტომი (XIII-XIV სს.); ბაროკოს სტილის ეპისკოპოსის სასახლე (1722-1728 წწ.), რომელიც განთქმული არქიტექტორის ლაგარდელის შექმნილია; რატუშა, როანების სასახლე და კიდევ მრავალი ნაგებობა.

„ტურის“ ეტაპი პირველად სტრასბურში მისი საფრანგეთის შემადგენლობაში დაბრუნებისთანავე, 1919 წელს გაიმართა, ბოლოს კი „ტურის“ პელოტონი აქ 1995 წელს შეჩერდა.

## ერთი დღის ისტორია

13 „ტურ დე ფრანსისთვისაც“ თარსი რიცხვი გამოდგა. ვანტუს მთაზე ტრაგედია მოხდა. 1967 წლის 13 ივლისს „ტურის“ მე-13 ეტაპი მოეწყო. პელოტონი მარსელიდან გავიდა და ვანტუს მთის გადასვლის შემდეგ ფინიში კარპენტრაში ჰქონდა. საშინელი სიცხე იყო. ვანტუს აღმართის დასაწყისში ხიმენესმა შეუტია. მისი მიყოლა მხოლოდ პულიდორმა შეძლო. ცოტა ხანში კონტრიერიშიც განხორციელდა. ლტოლვილებს ჯიმონდი, ბალმანიონი, იანსენი და სიმპსონი გამოუდგნენ. თუმცა ამ უკანასკნელს ძალებმა უმტყუნა, მალე ჩამორჩა კომპანიონებს და სხვა ჯგუფი დაეწია. დიდბრიტანელს მათი გაყოლაც აღარ შეეძლო. იგი ისე მოძრაობდა, თითქოს კადრი შენელესო. ცოტა ხანში კი წაიქცა კიდეც. გზაზე შეკრებილმა მაყურებლებმა იგი ისევ შემოსვეს ველოსიპედზე, მაგრამ ტომ სიმპსონს გზის გაგრძელება აღარ შეეძლო — იგი აგონიაში იყო. საკაცეზე მწოლიარე სიმპსონის მზერა სადღაც უსასრულობისკენ იყო მიმართული, მრბოლი აღარაფერზე რეაგირებდა. „ტურის“ ექიმმა მისი ავინიონის საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვა შვეულმფრენით, თუმცა სპორტსმენს მხოლოდ რამდენიმე წუთის სიცოცხლეღა რჩებოდა და მალე გარდაიცვალა კიდეც. „ტურის“ ექიმმა, დოქტორ დიუმამ გვამის გაკვეთის უფლება არავის მისცა. მარსელელმა ტოქსიკოლოგმა სიმპსონის ცხედარი ზედაპირულად მაინც შეისწავლა და განაცხადა, რომ მას ამფეტამინები (დოპინგია) ჰქონდა მიღებული. ოფიციალურად ეს ინფორმაცია „ტურის“ ექიმს ან ვინმე სხვას არ დაუდასტურებიათ, ვანტუს მთამ კი შეჯიბრის ისტორიაში ერთი შავი ფურცელი ჩაწერა.

ევროპის კადეტთა ჩემპიონატი.

# მოსახდენი სტარტზე მოხდა
## კადეტებს სამიზნე მოეშალათ

A ჯგუფი. I ტური. 13 ივლისი

### თურქეთი 93:92 საქართველო
14:25, 27:25, 30:17, 22:25

**თურქეთი:** დემირელი (11), დირი, ერმისი (24), გარგილი, გიურელი, კაჯანიკუ (23), კიული (8), საიგინი (13), თოფალოღლუ (4), თოფჩუ (5)
**საქართველო:** მ. მარკოიშვილი (18), გამყრელიძე, მარხვაშვილი (8), ვაშაკიძე (6), ორდენიძე (2), საყვარელიძე (22), ჩაჩლეიშვილი, ზანგურაშვილი, სანიკიძე, ათუაშვილი (4), მდივანი (24)

**მაშინ,** როცა საქართველოს კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები საბერძნეთში ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასასვლელად იბრძვის, ჩვენს კადეტებს ეს პრობლემა უკვე გადაჭრილი აქვთ — ისინი გუშინ ლატვიაში ბებერ კონტინენტზე საუკეთესოს გამოსავლენად დაწყებულ ასპარეზობაში ჩაებნენ. შეგახსენებთ, მათი მეტოქეები ქვეჯგუფში იტალიის, ესპანეთის, ლიტვის, თურქეთისა და იუგოსლავიის ნაკრებები არიან, რომელთაგან ოთხი საუკეთესო ჩემპიონობისთვის გააგრძელებს ბრძოლას. ჩემპიონატის გახსნის მატჩის გამართვის პატივი ქართველ და თურქ კადეტებს ერგოთ. შეხვედრა უჩვეულოდ ადრე, ადგილობრივი დროით დილის 9 საათზე დაიწყო.

ქართველმა კადეტებმა ლატვიამდე ორი ეტაპი ისე გამოიარეს, წაგება არ ეგემათ. თურქებმა ლატვიაში გააკეთეს ის, რაც აქამდე ვერც ფრანგებმა და ვერც იტალიელებმა ორჯერ ვერ მოახერხეს — ქართველებს სძლიეს. „ეს ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. ჩვენი წაუგებელი სვლა ფინალურ ეტაპზე რომ დასრულდებოდა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. კარგია, რომ ეს პირველ მატჩში მოხდა და არა მოგვიანებით, როცა ყველაფერი ცუდად შეიძლება დამთავრდეს. წაგების მიუხედავად, შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი არ დაგვიკარგავს“ — ეს კადეტთა მთავარი მწვრთნელის, მერაბ ცირიკიძის სიტყვებია.

ჩვენმა კადეტებმა კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. პირველივე წუთებზე მოპოვებული უპირატესობა მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ქარს გაატანეს. საწყის მეოთხედში ქართველებს ყველაფერი გამოსდიოდათ. მანუჩარ მარკოიშვილი პასებით კარგად ამარაგებდა გიორგი მდივანს, რომელიც ფარქვეშ კარგად ირჯებოდა და ხშირ შემთხვევაში თურქები მის შეჩერებას ჯარიმითღა ახერხებდნენ. ამ დუეტს მხარი ირაკლი საყვარელიძემაც აუბა და ჩვენები პირველი ნახევრის შემდეგ 9 ქულას იგებდნენ — 50:41.

მეორე ნახევარში თურქებმა დაცვაში საქმე გამოასწორეს. ისინი პერიმეტრზე კარგად გადაადგილდებოდნენ-ხოლმე და სამქულიანების სროლისას მეტოქეს გვარიან წინააღმდეგობას უწევდნენ. ეს იმდენად კარგად გამოსდიოდათ, რომ საბოლოოდ ქართველებმა მთლიანად მატჩში მხოლოდ 7 სამქულიანის სროლა მოახერხეს, აქედანაც მხოლოდ ორი ჩააგდეს. ამით განერვიულებული ჩვენებურები საშუალო მანძილიდანაც სცოდავდნენ, რის შედეგადაც მესამე მეოთხედი 30:17 წააგეს და ფინალური ათწუთეულის წინ 4 ქულით ჩამორჩნენ.

ქართველებმა მიზანი ვერც შემდეგ გაისწორეს და მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე უიმედო სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ისინი ბურთის გათამაშებისას ყველაფერს კარგად აკეთებდნენ, მაგრამ ჯერი სროლაზე რომ მიდგებოდა, ისე უხეიროდ ირჯებოდნენ, მტერს არ უსურვებდით. დარჩენილ დროში მათ ისღა მოახერხეს, რომ თურქებს ქულით მიუახლოვდნენ.

**ირაკლი ბერტაია**

**ესპანეთი 93:88 ლიტვა**
**იუგოსლავია 86:55 იტალია**

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

# ერთი კაცის ამბავი
## ტაპუტოსი ბერძენთა ახალი ჰერაკლეა

II ტური. 12 ივლისი

### საბერძნეთი 111:91 საქართველო
36:21, 25:21, 24:22, 26:27

**საბერძნეთი:** ბელისი (2), გეორგადისი, კაიმაკოღლუ (2), კონტოსტანოსი, კოსენასი, კოტინისი (2), მისიაკოსი (21), საკელარიუ, სპანულისი (16), ტაპუტოსი (48), ზისისი (20)
**საქართველო:** ტულუში (4), ბერიშვილი, კეიდია (5), ხეცურიანი, ლოსაბერიძე (12), გ. მარკოიშვილი (5), შანიძე (8), ბაბიაშვილი (6), უგრეხელიძე (2), ცქიტიშვილი (14), ფაჩულია (35)

**მავანმა** უცხოელმა საბერძნეთ — საქართველოს მატჩის შედეგს რომ დახედოს, ძნელი წარმოსადგენი არაა, რას იფიქრებს ჩვენს ნაკრებზე. მაგრამ კალათბურთში ჩახედულ ქართველს მავანის ნაფიქრალი გულს დიდად არ დასწყვეტს, ამ შედეგის პროგნოზირება მისთვის ძნელი არ იქნებოდა, რადგან საამისოდ ობიექტური მიზეზები არსებობს, რომელთა შორისაც უპირველესი ქვეყანა და მისი ზემოხსენებულ სპორტისადმი დამოკიდებულებაა. საბერძნეთი რომ საკალათბურთო ქვეყანაა და ამ მხრივ მას ევროპაში ცოტა თუ შეეცილება, ეს ბავშვმაც იცის. საბერძნეთის ახალგაზრდული ნაკრები რომ თავის სამშობლოში დაამარცხო, ან შენ უნდა იყო მისებრი, ან სასწაულებრივად უნდა გაგიმართლოს. მაგრამ საქართველო არც საბერძნეთის დარ ევროპულ გრანდებს განეკუთვნება და არც სასწაული მოხდა. აქედან გამომდინარე, როდოსზე ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა — ბერძნებმა ქართველები 111:91 დაამარცხეს.

არადა, ქართველებმა ყველასათვის მოულოდნელად თამაში ჩინებულად დაიწყეს და 7:0 დაწინაურდნენ. მათ ბერძნების შესაჩერებლად ძალები მეხუთე წუთამდე ეყოთ, ამის შემდეგ მეტოქემ აიწყვიტა და შეხვედრის ბოლომდე დომინირებდა. ბერძენთა გამარჯვების მიზეზი ძნელი გამოსაცნობი სულაც არ არის. ამისათვის მხოლოდ ერთი სახელიც კმარა — ხრისტო ტაპუტოსი. ეს გვარი ეგებ მკითხველს დღეს არაფერს ეუბნება, მაგრამ ამის დროც მოვა. ბერძნული „ნაირ ისტის“ მოთამაშე, საბერძნეთის ამომავალი ვარსკვლავი, 19 წლის ტაპუტოსი იმ დღეს შეუჩერებელი იყო. „ჩავაგდებდით თუ არა ბურთს ბერძენთა კალათში, გამოიქცეოდა და ხან ტენიდა და ხან ისეთ ბურთს ჩააგდებდა, გაოცებულნი ვიყავით. მისი გამჩერებელი არავინ იყო“ — სატელეფონო საუბრისას მოწინააღმდეგის თამაშით გაოცებას ვერ მალავდა ზაზა ფაჩულია, რომელიც თავის მხრივ ქართველთაგან 35 ქულით საუკეთესო იყო. მთლიანად მატჩში კი ყველაზე მეტი ქულა ვინ მოიხვეჭა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. საბერძნეთის იმედმა 48 ქულა მიითვალა.

ბერძნებმა მარტო პირველი შეტევების ხარჯზე 30 ქულაზე მეტი ჩააგდეს, რაც ქართველთა დაცვის სისუსტეზე მეტყველებს. პირველი ნახევარი 42:61 დავთმეთ.

შესვენების შემდეგ ქართველები გამოცოცხლდნენ. მათ ბევრი რამ კარგად გამოსდიოდათ. ნიკა ცქიტიშვილმა ორი სამქულიანი ჩააგდო, ფაჩულიამ კი ფარქვეშიდან ამდენჯერვე ივარგა და ტაბლოზე ქულათა შორის განსხვავება 9 ქულით გამოიხატა. „მეგონა, გუშინ გერმანელებთან ნათამაშევი მატჩი მეორდებოდა. იმ მომენტისთვის, როცა 9 ქულასღა ვაგებდით, განუზომელმა სიხარულმა შემიპყრო. ვიფიქრე, ამ თამაშსაც თუ მოვიგებთ, ეს ნამდვილი საოცრება იქნება-მეთქი“ — ზაზა ფაჩულიას ამ ფიქრს ცივი წყალი ყოვლისშემძლე ტაპუტოსმა გადაასხა, რომელმაც ბერძენთა ანგარიშში უპირატესობა ერთი ხელის მოსმით აღადგინა. ნათელი გახდა, საქართველო არ იყო მასპინძელთა დამმარცხებელი და დარჩენილ დროში თავი აღარც გამოუდვია.

**ირაკლი ბერტაია**

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელოვანი ძიუდოისტი, კლუბის წევრი, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოს პირველობის ვერცხლის მედლის მფლობელი
**აკაკი კიბორძალიძე**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

III ტური. 13 ივლისი

### საქართველო 90:60 ინგლისი

**საქართველო:** ტულუში (12), ბერიშვილი (3), ხეცურიანი (8), კეიდია (8), შანიძე (6); ლოსაბერიძე (5), გ. მარკოიშვილი, ბაბიაშვილი (10), ცქიტიშვილი (7), უგრეხელიძე (8), ფაჩულია (23)



ზაზა ფაჩულია ქართველთაგან ყველაზე მეტს აგდებს

# ქართველებმა ინგლისელებთან ფინალისთვის ივარჯიშეს

**გუშინ** გვიან ღამით დასრულდა საქართველოსა და ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებთა შეხვედრა, რომელშიც ჩვენებმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს. მათ კუნძულელები ყველა სათამაშო ასპექტში დაჩაგრეს და მხოლოდ 30 ქულით რომ გაიმარჯვეს, ჩვენი მთავარი მწვრთნელის ზურაბ ტომარაძის თქმით, იმიტომ, რომ იუგოსლავიელებთან მომავალი მატჩისთვის ძალები დაზოგეს. ეს თამაში ჩვენი გუნდისთვის გადამწყვეტი იქნება. „ხვალ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად ფინალს ითამაშებს, სადაც ჩვენი მეტოქეები იუგოსლავიელები იქნებიან. ახლა მხოლოდ ამ მატჩზე ვფიქრობთ და მეტი არაფერზე“ — გვითხრა გუნდთან ერთად სასტუმროში ავტობუსით მიმავალმა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, როცა მას ტელეფონით დავუკავშირდით.

გუშინვე ჩვენგან ძლეულმა გერმანელებმა, რომლებიც მთელი თამაშის მანძილზე სოლიდური ანგარიშით ამარცხებდნენ იუგოსლაველებს საბოლოოდ მხოლოდ 8-ქულიანი გამარჯვება იკმარეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ბერძნებმა ბოლო ორ ტურში გერმანელებიცა და სლავებიც ქართველთა გზას გაუყენა რაც ადვილი შესაძლებელია, მაშინ ქართველებს იუგოსლავიელებთან ხვალინდელ მატჩში 6-ქულიანი მარცხიც აწყობთ ჯგუფში მეორე ადგილზე გასასვლელად. ეს ისე ვარაუდისთვის, თორემ წაგებაზე ქართველთა ბანაკში არავინ ფიქრობს. ანაც რატომ უნდა იფიქრონ, მათ ხომ ნამგზავრებმა და უვარჯიშებლებმა იუგოსლავიელთა მძლეველ გერმანელებს მოუგეს. გუშინვე საბერძნეთმა 89:51 მოუგო პორტუგალიას.

**ირაკლი ბერტაია**

რაგბი

# მეოთხე ხმაც მოვედი
## ტულონის ტრიო კვარტეტად გარდაიქმნა



აქვსენტი გიორგაძე „ტულონის“ მეოთხე ქართველი მორაგბეა

**წლეულს** „ელიტ 1“-ში ვერაღზევებულმა, მაგრამ დიდი ტრადიციებისა და გეგმების მქონე „ტულონმა“ „ბორდოდან“ საბოლოოდ გადაიბირა ბორჯღალოსანთა უნივერსალი პირველხაზელი აქვსენტი გიორგაძე.

ქართველი მორკინალი უკვე ერთი თვეა, ტულონში იმყოფება, თუმც კონტრაქტი მხოლოდ რამდენიმე დღის წინ დადო. ტრანსფერის გაჯანჯლების მიზეზი კარდიფის საშვიდკაცო ტურნირზე მიღებული მხრის ტრავმა გახლდათ. „ტულონის“ უფროსობა კონტრაქტის გაფორმებაზე ფეხს ითრევდა, ექიმთა საბოლოო პასუხს ელოდა. ამ ხნის განმავლობაში აქვსენტი გიორგაძე ტულონში მკურნალობდა. ამბულატორიული წამლობის კურსმა უშედეგოდ ჩაიარა და ჩვენებური საბოლოოდ საოპერაციო მაგიდაზე მოხვდა. ფრანგი ქირურგების ხელობა კი უნაკლო აღმოჩნდა.

25 წლის მორაგბემ მსუბუქად ვარჯიში უკვე დაიწყო, სრული დატვირთვით მზადებას კი ორ კვირაში შეუდგება. „ტულონის“ უფროსობამ რომ ნახა, ჩვენებურის სარეაბილიტაციო პერიოდი სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა და იგი ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შეხვდებოდა, უმალ კონტრაქტზე ჩამოუგდო სიტყვა. უარზე არც აქვსენტი იყო და გარიგებაც შედგა.

ქართველმა მორკინალმა თავისი ხელმოწერით ერთი წლით დაუმტკიცა „ტულონს“ ერთგულება. თავის მხრივ კლუბმა ბინით და მანქანით უზრუნველყო ახალწვეული, ამასთან სოლიდური გასამრჯელო დაუნიშნა. შეთანხმებით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა და მოუთმენლად ელიან ჩემპიონატის დაწყებას.

აქვსენტი გიორგაძე, ვისაც აქამდე „აიაში“, „გუმარში“, ფრანგულ „ერ სიურ ლადურში“ და „ბორდოში“ უთამაშია, „ტულონის“ მეოთხე ქართველი შეიქნა. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში „ტულონის“ ღირსებას ბესიკ ხამაშურიძე და გია ლაბაძე იცავდნენ, წლეულს კი, გიორგაძემდე, გუნდს ილია ზედგინიძეც შეუერთდა. ასე რომ, „ტულონის“ ქართული ტრიო კვარტეტად გარდაიქმნა.

**ბაჩო სვანიძე**

დორტმუნდის სუპერტურნირი

# ქართველი დორტმუნდში



მაია ჩიბურდანიძის მეტოქე — არკადი ნაიდიჩი

**გერმანულ** ვოიაჟს აგრძელებენ პლანეტის მთავარი მოჭადრაკენი კასპაროვის გამოკლებით. მაინციდან მათ ჩრდილოეთით, რურის აუზისკენ აინაცვლეს, სადაც დორტმუნდის საჭადრაკო ფესტივალში ითამაშებენ, რომელიც სწრაფ კი არა, კლასიკურ ჭადრაკში ტარდება და მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ.

ლინარესის სისტემა (6 მოჭადრაკე, 2 წრე) სულ უფრო იხვეჭს პოპულარობას. ასტანის შემდეგ დორტმუნდშიც მასზე გადავიდნენ. ვლადიმირ კრამნიკი, ვიშვანათან ანანდი, პეტერ ლეკო, მაიკლ ადამსი, ალექსანდრ მოროზევიჩი და ვესელინ ტოპალოვი ერთმანეთში ორ-ორ პარტიას ითამაშებენ, თეთრებით და შავებით, რაც შედეგთა სამართლიანობას აამაღლებს. ცალკე დოქტორი რობერტ ჰიუბნერი კომპიუტერთან ჭიდილს აპირებს, 300 კაცი ღია ტურნირზე ითამაშებს და ერთი ქართველიც ფესტივალის საჩინო ფიგურა იქნება: ათჯერ იბრძოლებენ მაია ჩიბურდანიძე და 15 წლის დიდოსტატი არკადი ნაიდიჩი, ვინც დორტმუნდის საჭადრაკო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე ყოფილა.

დორტმუნდის ტურნირსაც ერთხანს სხვა სუპერტურნირებივით მუქი პერსპექტივა ჰქონდა, მაგრამ სპონსორთა სიყოჩაღემ და თვით კანცლერ გერჰარდ შრიოდერის ყურადღებამ უძლიერესი შემადგენლობა და 1 მილიონ მარკამდე მთლიანი საპრიზო ფონდი უზრუნველყო, ამიტომ სუპერდიდოსტატები პირველივე ტურიდან ბეჯითად იბრძვიან. სტარტზე შეხვდნენ მოროზევიჩი და ანანდი, ლეკო და ადამსი, ტოპალოვი და კრამნიკი. ბოლო წყვილში შავებით „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ ჩემპიონი იყო, ვინც ტურნირი ბოლო ექვსიდან ხუთჯერ მოიგო, ხოლო ტოპალოვს პოტენციურ აუტსაიდერად თვლიან, ამიტომ გასაკვირი არ არის, უარესი ფერის მიუხედავად, კრამნიკმა რომ გაიმარჯვა.

პარტია კარგა ხანს გაიჭიმა. თითქოს ყველაფერი თანაბრად იყო, მაგრამ ენდშპილისკენ მოძრაობის პარალელურად კრამნიკმა პოზიციის ისეთი ნიუანსები აღმოაჩინა, რაც მაყურებელთაგან ვერავინ ნახა. შემდეგ ფრიად ცარიელ დაფაზე კრამნიკის მხედარმა გადამწყვეტი სამუშაო შეასრულა და მოკლედ, ჩემპიონმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ ენდშპილს მასზე კარგად მსოფლიოში კაცი არ თამაშობს.

თითქმის სრული სიცარიელე მეფობდა ლეკოსა და ადამსის დაფაზეც ბრძოლის მიწურულს. ლეკოს მხედარი და სამი პაიკი ადამსის კუსა და ორ პაიკს ებრძოდნენ და ღრმა პროფესიონალიზმი უნდა ამგვარ ენდშპილში მოგებაზე ფიქრს. 22 წლის უნგრელმა ეს თვისება გამოამჟღავნა, ხოლო ინგლისელს მეტი წინააღმდეგობა მართებდა, მაგრამ ოდნავ აურია და ქულაც დაკარგა.

ყაიმი კი იქ დაფიქსირდა, სადაც ყველაზე ცხარე ბრძოლა იყო. მოროზევიჩისა და ანანდის დაფაზე მცირე სადებიუტო ეშმაკობათა შემდეგ მხარეები სიცილიურ დაცვის მწვავე პოზიციაში შეიბნენ. ინდოელმა ტემპის მოგება შეძლო, მაგრამ ერთხელ ითამაშა ფრთხილად და რუსმა აღარ აცალა, თამაში საყაიმო ეტლების ენდშპილში გადაიყვანა.

მეორე ტურში კრამნიკი ლეკოს თეთრებით შეხვდება და გასაკვირია, მაგრამ უნგრელზე პირველ გამარჯვებას ეცდება, მოროზევიჩი ფერის უპირატესობის გამოყენებას ტოპალოვთან მოსინჯავს, ხოლო პირველი ტურის უიღბლო ადამსს მეორე მძიმე დღე ელის, შავებით ანანდთან უწევს თამაში.

**დავით გულუა**

ჰოკეი



იარომირ იაგრი

# იაგრს ნატვრა აუხდა

**ჯერ** კიდევ შარშან ეს თეორიულად და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. არავინ დაუშვებდა, რომ იარომირ იაგრი სხვა გუნდში გადასულიყო. პიტსბურგი ვერ შეელეოდა თავის სიამაყეს, ლიგის ერთ-ერთ მთავარ ვარსკვლავს, დიდების დარბაზის მკვიდრს, რომელსაც ლამის ნახევარი კარიერა წინ ჰქონდა. იგი ხომ მთელი თერთმეტი წლის განმავლობაში „პინგვინთა“ უცვლელი ლიდერი გახლდათ. თანაც, გუნდში იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა, რომ თავს უფლებას აძლევდა, პარტნიორები და მწვრთნელიც კი გაეკრიტიკებინა. ამას კი ნჰლ-ში ვერავინ ბედავს.

მოკლედ, იაგრი და პიტსბურგი ლამის ერთი ცნება იყო. მაგრამ წლეულს ყველაფერი შეიცვალა. თავიდან იაგრს თამაში არ წაუვიდა. ჩეხი ისეთ დეპრესიაში ჩავარდა, რომ ერთი პირობა ჰოკეიდან წასვლაც კი დააპირა. თითქოს მარიო ლემიეს საოცარმა დაბრუნებამ გამოაცოცხლა იგი და სუპერვარსკვლავთა დუეტიც ძველებურად ათამაშდა, მაგრამ პლეი ოფში ჩეხი კვლავ უფერულად გამოიყურებოდა. გაირკვა, რომ მისი და ლემიეს ურთიერთობაც არ ყოფილა უღრუბლო. პიტსბურგის ბოსმა საქვეყნოდ გააკრიტიკა შეგირდი, რამაც იაგრის გულისწყრომა გამოიწვია და თასის ნახევარფინალში თამაშისას უკვე ნათელი გახდა, რომ პიტსბურგში მისი დღეები დათვლილი იყო. ჩეხს მოთმინების ფიალა მაშინ აევსო, როცა პიტსბურგმა იგი 23-24 ივნისის დრაფტზე არ გაცვალა და ჩვეულმა თავშეკავებამ უმტყუნა — ლემიეს ძველი წყენა გაუხსენა, გენერალური მენეჯერი კრეიგ პატრიკი ტრეიდის გაჭიანურებაში დაადანაშაულა. ამასობაში თავისუფალი აგენტების ბაზარიც გაიხსნა და პირველ დღეებში ფიცხელი ვაჭრობა გაჩაღდა. დეტროიტმა, სენტ ლუისმა, დალასმა და ფილადელფიამ თავიანთი შემადგენლობა მნიშვნელოვნად გააძლიერეს, მაგრამ არც ერთ ტრეიდში არ იყო ნახსენები იაგრის სახელი. ყველაზე მოულოდნელი და გაუგებარი ამბები კი ბოლოს მოხდა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ იაგრის შეძენა მდიდარ რეინჯერსს სურდა, მაგრამ ნიუიორკელებმა თავი მაინცდამაინც არ შეიწუხეს და პიტსბურგს ჰოკეისტის სანაცვლოდ სოლიდური კომპენსაცია არ შესთავაზეს.

კვანძი 11 ივლისს გაიხსნა. ყველასთვის მოულოდნელად, იაგრს ახალი ვარიანტი გამოუჩნდა — ვაშინგტონი. უფრო მოულოდნელი ის იყო, რომ გარიგება ძალიან სწრაფად შედგა. და ეს მაშინ, როცა პიტსბურგი და ვაშინგტონი მოსისხლე მტრები არიან. ბოლო ათ პლეი ოფში ისინი შვიდჯერ შეეჯახნენ ერთმანეთს და აქედან ექვსჯერ „პინგვინებმა“ იმარჯვეს. მაგრამ გაცვლა მაინც განხორციელდა და სენსაციურადაც. სენსაცია კი ის კომპენსაცია გახლდათ, რომელიც პიტსბურგმა მიიღო. იაგრისა და გამოცდილი მცველის ფრანტიშეკ კუჩერას ნაცვლად ვაშინგტონმა კონკურენტს სამი უცნობი ახალბედა გადაულოცა. მათი სახელები ჰოკეის ქომაგთ არაფერს ეტყვის, მაგრამ მაინც მოგახსენებთ — ესენი კრის ბიჩი, მიხალ სივეკი და როს ლუპაშუკი არიან.

აი, ასეთ სასაცილო ფასად აღმოჩნდა ვაშინგტონში იაგრი. „როგორ ფიქრობთ, განა ეს მაიკლ ჯორდანის თანამფლობელობაზე ნაკლები სიურპრიზია?“ — სიამაყითა და სიხარულით აცხადებს „კაპიტალსის“ ერთ-ერთი თანამფლობელი ტედ ლეონსისი. ცხადია, დედაქალაქელებმა ერთობ იხეირეს. თავად განსაჯეთ — როგორც კი იაგრის გაცვლის ამბავი გავრცელდა, სულ რაღაც სამ საათში გუნდის მატჩებზე დასასწრები 300 სეზონური აბონემენტი გაიყიდა. კლუბს თავის 27-წლიან ისტორიაში ასეთი დონის ვარსკვლავი პირველად ჩაუვარდა ხელში, ხოლო იაგრისა და პეტერ ბონდრას დუეტი უეჭველად ლიგის მშვენებად იქცევა. აქ ფული რა სახსენებელია, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ ლეონსისა და ჯორდანს იაგრის შენახვა ორი წლის განმავლობაში 25 მილიონი დოლარი დაუჯდებათ.

ყველაზე მეტად კი თავად იაგრი ხარობს. „სულ სხვა ცხოვრებას ვიწყებ და მალე ყველას დავუმტკიცებ, რომ კვლავაც დიადი მოთამაშე ვარ“ — განაცხადა ჩეხმა და დასძინა, პიტსბურგში გატარებული წლები არასოდეს დამავიწყდება, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მალე ვაშინგტონი ჰოკეის მექად იქცევაო.

გასახსენებელი კი იაგრს მართლაც ბევრი აქვს: ორი სტენლის თასი, „ჰარტ ტროფი“ (1999), ხუთი „არტ როს ტროფი“, მინიმუმ 27 გოლი უკლებლივ ყველა სეზონში და 439 გოლი და 640 პასი 806 მატჩში.

თუმცა იაგრი ჯერ მხოლოდ 29 წლისაა და ბევრი რამ წინ აქვს.

**სამველ ღარიბიანი**



# F1

მეთერთმეტე ეტაპი ბრიტანეთის დიდი პრიზი

## სილვერსტოუნი

სილვერსტოუნი, 15 ივლისი




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . 5.141 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . 60 წრე — 308.460 კმ

რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე

**შარშანდელი შედეგები:** 1 კულჰარდი (მაკლარენი); 2 ჰაკინენი (მაკლარენი); 3 მ. შუმახერი (ფერარი); 4 რ. შუმახერი (უილიამსი); 5 ბატონი (უილიამსი); 6 ტრული (ჯორდანი)

**წრის რეკორდი:** 1997 — მ. შუმახერი (ფერარი) 1:24.475

### ყველა გამარჯვებული

| | | | |
|---|---|---|---|
| 1950 | ჯუზეპე ფარინა | იტალია | ალფა რომეო |
| 1951 | ხოსე გონსალესი | არგენტინა | ფერარი |
| 1952 | ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი |
| 1953 | ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი |
| 1954 | ხოსე გონსალესი | არგენტინა | ფერარი |
| 1955 | სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | მერსედესი |
| 1956 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | ფერარი |
| 1957 | მოსი, ტონი ბრუქსი | დიდი ბრიტანეთი | ვენუოლი |
| 1958 | პიტერ კოლინსი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1959 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | კუპერი |
| 1960 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | კუპერი |
| 1961 | ვოლფგანგ ფონ ტრიპსი | გერმანია | ფერარი |
| 1962 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1963 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1964 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1965 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1966 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | ბრებემი |
| 1967 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1968 | ჯო სიფერი | შვეიცარია | ლოტუსი |
| 1969 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | მატრა |
| 1970 | იოხენ რინდტი | ავსტრია | ლოტუსი |
| 1971 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1972 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | ლოტუსი |
| 1973 | პიტერ რეუსონი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1974 | ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | ტირელი |
| 1975 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1976 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | ფერარი |
| 1977 | ჯეიმს ჰანტი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1978 | კარლოს რეუტმანი | არგენტინა | ფერარი |
| 1979 | კლეი რეგაცონი | შვეიცარია | უილიამსი |
| 1980 | ალან ჯოუნსი | ავსტრალია | უილიამსი |
| 1981 | ჯონ უოტსონი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1982 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | მაკლარენი |
| 1983 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | რენო |
| 1984 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | მაკლარენი |
| 1985 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1986 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1987 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1988 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1989 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1990 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | ფერარი |
| 1991 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1992 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1993 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | უილიამსი |
| 1994 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1995 | ჯონი ჰერბერტი | დიდი ბრიტანეთი | ბენეტონი |
| 1996 | ჟაკ ვილნევი | კანადა | უილიამსი |
| 1997 | ჟაკ ვილნევი | კანადა | უილიამსი |
| 1998 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1999 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 2000 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |

**ბრიტანულ** ეტაპს ფორმულაში გამორჩეული ადგილი უჭირავს — „სამეფო რბოლების“ ისტორია 51 წლის წინ სწორედ ინგლისის დიდი პრიზის გათამაშებით დაიწყო სილვერსტოუნის სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე მოწყობილ ტრასაზე. „სილვერსტოუნი“ ამ ნახევარ საუკუნეში, ცხადია, მობერდა, იქაური პირობები დღევანდელ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა და საშიშროებაც შეიქმნა, რომ ფორმულა 1-ის სამშობლოს ეტაპის ჩატარების უფლებას ჩამოართმევდნენ. განსაკუთრებით დიდი აურზაური ატყდა შარშანდელი რბოლისას ორგანიზაციული ხარვეზების გამო, როცა ბევრმა გულშემატკივარმა ავტოდრომამდე მიღწევა ვერ მოახერხა. ვითარების გამოსასწორებლად უზარმაზარი თანხა — 40 მილიონი გირვანქა დაიხარჯა, პრაქტიკულად ყველა პრობლემა მოგვარდა და იმედია, ასპარეზობა უწინდელივით სამაგალითო დონეზე ჩაივლის.

გამარჯვების უმთავრეს პრეტენდენტებად წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი მიხაელ შუმახერი და „სილვერსტოუნზე“ ბოლო ორი რბოლის მომგები დევიდ კულჰარდი ითვლებიან. შოტლანდიელი „საკუთარ მოედანზე“, ცხადია, ყველაფერს იღონებს მორიგი წარმატების მისაღწევად, რაც მას შუმისთან საჩემპიონო ბრძოლის შანსს შეუნარჩუნებს. ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშებაში ყველაზე მეტი ქულა — 31 სწორედ კულჰარდს დაუგროვდა. მიხაელი რვა ქულით ჩამორჩება. შემდეგ მოდიან მიკა ჰაკინენი (21), ჟაკ ვილნევი (20), ჟან ალეზი (18), რალფ შუმახერი და ედი ირვინი (10-10).

გუშინ პირველი ოფიციალური ვარჯიშისას საუკეთესო დრო მიხაელ შუმახერის „ფერარიმ“ აჩვენა. მეორე შედეგი მის თანაგუნდელ ბარიკელოს ჰქონდა, მომდევნო ადგილებზე კი ჰაკინენისა და კულჰარდის „მაკლარენები“ იყვნენ. შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა: მეორე ცდაზე ყველას ჰაკინენმა აჯობა. მომდევნო პოზიციები კულჰარდის, ბარიკელოსა და მიხაელ შუმახერის ბოლიდებმა დაიკავეს.

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ბათუმში

გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო

მისამართი: ფიროსმანის ქუჩა №7ა

1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც იმუშავებს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება. სამუშაო დღეები: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა


**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-2 ტური**

**14 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 009 | აარაუ-ლუცერნი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.30 | 010 | ლუგანო-გრასჰოპერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.30 | 011 | ქსამაქსი-სიონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.15 | 012 | ციურიხი-სენტ გალენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**შვეიცარია. . B ჯგუფი. მე-2 ტური**

**14 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 018 | ბადენი-დელემონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 019 | ბელინცონა-ვინტერთური | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 22.30 | 020 | კარუჟი-კონკორდია | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 22.30 | 021 | კრინსი-ვადუცი | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 22.30 | 022 | თუნი-ივერდონი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.30 | 023 | ვილი-ლოკარნო | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**შვედეთი. მე-13 ტური**

**15 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 033 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 20.00 | 034 | ტრელებორგი-გეტებორგი | 3,5 | 3,3 | 1,85 |
| 22.00 | 035 | ჰეკენი-ჰელსინგბორგი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**ფინეთი. გადადებული მატჩები**

**14 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 040 | იოკერიტი-როვანიემი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**15 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 041 | ჰიკ-ჯაზი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 20.30 | 042 | ტამპერე-ლაჰტი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.30 | 043 | მიუპა-ვაასა | 1,4 | 3,8 | 7,0 |

**პოლონეთი. სუპერთასი**

**15 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 049 | ვისლა-პოლონია | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. I მატჩები**

**14 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 512 | ბრეშა-ტატაბანია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 513 | ლოკერენი-ნიუკასლი | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| 21.00 | 514 | ცელიე-ლოზანა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 21.00 | 515 | ვოლფსბურგი-დინამო (მინსკი) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 20.30 | 516 | ვერდერი-გენტი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 20.00 | 517 | ბლშანი-პობედა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 518 | სლავენი-ასტონ ვილა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.30 | 520 | ბაზელი-ჰერენვენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 21.00 | 521 | ტავრია-პსჟ | 3,3 | 3,2 | 2,0 |

**15 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 519 | ვალვაიკი-მიუნხენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 522 | რენი-სინოტი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 523 | ტრუა-აიკ | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**კოპა ამერიკა (კოლუმბიაში)**

**14 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.15 | 530 | ჩილე-ვენესუელა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 04.30 | 531 | კოლუმბია-ეკვადორი | 1,4 | 3,8 | 6,5 |

**15 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 532 | ბრაზილია-პერუ | | | |
| 04.15 | 533 | პარაგვაი-მექსიკა | | | |

**16 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 534 | ურუგვაი-კოსტა რიკა | | | |
| 06.15 | 535 | ჰონდურასი-ბოლივია | | | |

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

**14 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 537 | სიერა ლეონე-ლიბერია | 3,6 | 3,4 | 1,75 |
| 18.00 | 538 | ს.აფრიკა-მალავი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 18.00 | 539 | სენეგალი-მაროკო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 540 | ზამბია-კამერუნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**15 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 541 | განა-სუდანი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.00 | 542 | ტოგო-ლიბია | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 17.30 | 543 | დრ კონგო-ტუნისი | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| 17.30 | 544 | კონგო-კოტ დივუარი | 5,0 | 3,6 | 1,5 |
| 18.00 | 545 | ზიმბაბვე-ბურკინა ფასო | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



ანდრე აგასი და შტეფი გრაფი დეკემბერში მშობლები გახდებიან

# ბიჭია, ბიჭი!

**ანდრე აგასისა** და შტეფი გრაფს მოსწყინდათ ყვითელი პრესის მუდმივი იერიშების მოგერიება და მასმედიის მასობრივი შტურმის კვალზე გუშინ ოფიციალურად დაადასტურეს ის, რასაც ბევრნი დიდი ხანია, ეჭვობდნენ: ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი ოთხი თვის ფეხმძიმეა და წყვილის პირმშო ბიჭი დეკემბრის შუა რიცხვებში უნდა დაიბადოს.

„ამაღელვებელი და სასიხარულო ჟამია ჩვენთვის. ბედნიერები ვართ, რომ ღმერთმა ეს საჩუქარი გვიწყალობა“ — ნათქვამია ანდრე აგასის განცხადებაში.

ქალთა და ვაჟთა ჩოგბურთის სუპერვარსკვლავები 1999 წლის ზაფხულიდან ხვდებიან ერთმანეთს. აქამდე წყვილი აგასის ლას ვეგასში მდებარე სახლში ცხოვრობდა, მაგრამ უახლოეს თვეებში სან ფრანცისკოს ყურის თავზე აშენებულ სასახლეში გადავა, რომელიც მათ იანვარში 23 მილიონ დოლარად შეიძინეს.

გარეშე თვალთაგან პირადი ცხოვრების დამალვაში გაწაფულმა მომავალმა მშობლებმა ჟურნალისტებს საფიქრალი მაინც დაუტოვეს — როდის გავხდებით ქორწილის მოწმენი, ბავშვის დაბადებამდე თუ ამის შემდეგ?

# ალექსი კერტებს ნაეპოტინა

**გშტაადის (შვეიცარია) ღია პირველობა**
**თიხნარი. საპრიზო 600 ათასი $**

შვეიცარიული გშტაადი ალპებში მიმალული ერთი პატარა დაბაა, სადაც ზამთარ-ზაფხულ თხილამურებზე სრიალისა და მთებში სუფთა ჰაერზე ძრომიალის (სეზონების მიხედვით, რა თქმა უნდა) ფრიად ჯიბესქელი მოყვარულები ისვენებენ. ხოლმე. უიმბლდონის დასრულებისთანავე თამაშს დანატრებული მოთიხნარეები თითქმის არასოდეს უშვებენ ხელიდან შანსს, ATP-ის ტურნირების ყველაზე პატარა მასპინძელ დასახლებას ეწვიონ.

„აქ ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩამოვდივარ, შესანიშნავი სასტუმრო, შესანიშნავი ოთახები, შესანიშნავი კვება — ყველაფერი საოცრად მოსახერხებელია“ — ამბობს 1998 და 2000 წლების ჩემპიონი ალექს კორეჩა.

ოთხშაბათს როლან გაროსის ფინალისტმა ესპანელმა ერთ აქაურ მშვენიერ სქესის წარმომადგენელთან ახლო და ინტიმურ ურთიერთობასაც ჩაუყარა საფუძველი, რომლის სურათებმაც მთელი მსოფლიო შემოიარა: კორეჩამ ცხოვრებაში პირველად სცადა ძროხის მოწველა. რისკიანი ექსპერიმენტის ობიექტი, სახელად ჯულია, იმ ფერმის ჩლიქოსანი ბინადარი გახლდათ, რომელიც გშტაადს თავს გადმოჰყურებს.

ჩოგბურთელმა კარგა ხანი იცოდვილა სატელევიზიო კამერების თვალწინ, თუმცა ბევრს ვერაფერს გახდა და ჯულიას სახეზე შოლტივით გადაჭერილ კუდსლა გამორჩა: „ასეთი ჯიშის კერტებთან პირველად მქონდა საქმე და ეტყობა, საჭირო დელიკატურობა ვერ გამოვიჩინე, რძეც თითქმის ვერ ჩამოვწველე. უცნაური გამოცდილება იყო, რასაც ალბათ, აღარასოდეს გავიმეორებ. ჯულია ძალიან მომეწონა, მაგრამ კამერების წინ კოცნას მაინც მოვერიდე.“

ძალიან მოეწონათ ჯულია კორეჩას მეგობრებსაც, რომლებმაც მეორე დღეს კადრების ტელევიზორში ხილვისთანავე ჩოგბურთელის მობილური ტელეფონი სახუმარო და უხამსი ტექსტური შეტყობინებებით აავსეს.

მცირე ლირიკული გადახვევის შემდეგ ესპანელი კორტს დაუბრუნდა და საყვარელ საფარზე მორიგი გამარჯვებაც იზეიმა. ავსტრიელმა ვერნერ ეშაუერმა სახელოვანი მეტოქე ცოტა მხოლოდ მატჩის დასაწყისში შეაწუხა, მერე კი კორეჩას სტაბილურ და მძლავრ დარტყმებს ვეღარაფერი მოუხერხა და 3:6, 2:6 წააგო.

„ეშაუერი აქამდე საქმეში არასოდეს მენახა, მაგრამ რაკი მან პირველ წრეში ალბერტ კოსტა დაამარცხა, შეხვედრას სრული სერიოზულობით მივუდექი. თამაში მან კარგად დაიწყო, თუმცა მერე ცოტა აურია და ამით კარგად ვისარგებლე“ — აღნიშნა კორეჩამ, რომელმაც უიმბლდონზე ასპარეზობას ფეხის ტრავმის მომიზეზება და შინ დასვენება არჩია.

**მერვედფინალი: ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 7:6 (7:2), 6:2; სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 4:6, 6:4, 7:6 (7:2); ფრანკო სკილარი (6, არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:2; ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:3, 6:2; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:7 (5:7), 6:4; ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 7:6 (7:5), 6:7 (2:7), 6:1.**

**ბაშტადი. შვედეთის ღია პირველობა**
**თიხნარი. საპრიზო 400 ათასი $**

ბარძაყის ტრავმის გამო თვენახევრიანი შესვენება როლან გაროსის შარშანდელ ფინალისტ მაგნუს ნორმანს აშკარად წაადგა. მარტიდან მოყოლებული 25 წლის შვედმა ცხრიდან რვა მატჩი წააგო და პრესკონფერენციებზე მანიაკალური დეპრესიით შეპყრობილი ადამიანის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა, ვიდრე ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე მილიონერი სპორტსმენის.

ზედმეტი თამაშისა და ვარჯიშისგან გადამწვარმა სკანდინაველმა შვებულების დროს, ეტყობა, დაცლილი ბატარეები დატენა და ენდრიუ ილის 6:4, 6:3 დამარცხებით მშობლიურ ტურნირზე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მეოთხედფინალში გააღწია.

„ვგრძნობ, ენერგიით ვარ სავსე და ძალიან მიხარია, რომ ასპარეზობას დავუბრუნდი. აღრაფერი მაწუხებს და თუ ასე გავაგრძელე, ტურნირის მოგებასაც შევძლებ“ — განაცხადა ნორმანმა.

**მერვედფინალი: ალბერტ პორტასი (3, ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 (7:5), 3:6, 6:3; ბოგდან ულირახი (5, ჩეხეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 7:5, 6:4; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — ანდრეას ვინსიგერა (4, შვედეთი) 7:5, 6:4; ტომი რობრედო (ესპანეთი) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:7 (2:7), 7:6 (7:4), 6:3.**

**ვენა (ავსტრია)**
**UNIQA GRAND PRIX**
**თიხნარი. საპრიზო 170 ათასი $**

**მერვედფინალი: იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — ელენა დემენტიევა (1, რუსეთი) 6:4, 0:6, 7:6 (7:3); ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — ელენა დოკიჩი (2, იუგოსლავია) 1:6, 7:6 (7:2), 6:0; ანკე ჰუბერი (3, გერმანია) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:1; ბარბარა შეტი (4, ავსტრია) — ევა ბესი (ესპანეთი) 7:5, 7:6 (7:5).**

**ავთანდილ სვანიძე**


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**
**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**
**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**
**ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**

## სოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნები

# ვის აირჩევენ მეფედ?

## სამარანჩის მემკვიდრეობისთვის მებრძოლნი

ახლა, როდესაც 2008 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის ვინაობა ვიცით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 112-ე სესიაზე მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობის ახალი მესაჭის გამოვლენის ჯერიც დგება.
1980 წლიდან სოკ-ის უმთავრესი სავარძელი პირველად გათავისუფლდა. ამიტომაც ყველანი მოუთმენლად ელიან ხუან ანტონიო სამარანჩის მემკვიდრეს. პრეზიდენტობისთვის კი ხუთი კანდიდატი იბრძვის. მათ სპორტში და ოლიმპიურ მოძრაობაში საკმაო ხანია, იცნობენ. ჩვენც კიდევ ერთხელ გადავხედოთ მათ ღირსება-ნაკლოვანებებს.



**ჟაკ როგი (ბელგია)**

ასაკი: 59
სპორტული კარიერა: 1968, 1972 და 1976 წლების ოლიმპიადების მონაწილე აფროსნობაში. მსოფლიოს ჩემპიონი. ბელგიის მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებში 10 მატჩი უთამაშია
პროფესია: ქირურგი-ორთოპედი. სპორტული მედიცინის ყოფილი ლექტორი
ადმინისტრაციული გამოცდილება სპორტში: ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა პრეზიდენტი 1989 წლიდან. ინსბრუკისა (1976) და კალგარის (1988) ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, მოსკოვის (1980), ლოს ანჯელესისა (1984) და სეულის (1988) ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ბელგიის მისიის ხელმძღვანელი. სოკ-ის წევრია 1991 წლიდან. სოკ-ის სამედიცინო კომისიის და სიდნეისა და ათენის ოლიმპიადების ხელმძღვანელი კოორდინატორი. მსოფლიო ანტიდოპინგური საბჭოს წევრია 1999 წლიდან
ძლიერი მხარეები: ფლობს ენებს. მოლაპარაკებების გზით პრობლემათა გადაჭრის დიდოსტატია. ბუნებით დიპლომატია
სუსტი მხარეები: ზოგიერთი მისი კოლეგა თვლის, რომ მას თანამდებობისთვის საკმარისი სიმკაცრე არ გააჩნია. სპორტულ პოლიტიკაში ისეთი გამოცდილი არაა, როგორიც დიკ პაუნდი და კიმ უნ-იონგია
შანსები: ფავორიტი, მაგრამ შესაძლებელია ფინალურ წრეში პაუნდისა და კიმის მხრიდან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდეს

**ბელგიელი** დოქტორი ჟაკ როგი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ორი ვიზიტითაც გვახსოვს.

წინასწარი გამოკითხვების შედეგად ბელგიელს სამარანჩის შემცვლელად მოიაზრებენ. მას შემდეგ, რაც სოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ოფიციალურად დაადასტურა, იგი აქტიურად ჩაერთო საარჩევნო კამპანიაში. თავდაპირველად მან იერიში პოლიტიკოსებზე მიიტანა, რომლებსაც მოუწოდა, სპორტში თქვენ არაფერი გესაქმებათ, განზე გადექით. მას მწარედ ახსოვს პოლიტიკოსთა ბოიკოტირებული მოსკოვისა და ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშები, ამიტომაც გაპრეზიდენტების შემთხვევაში უმთავრეს ამოცანად ოლიმპიადების პოლიტიკოსების გავლენისგან განთავისუფლებას მიიჩნევს.

მიუხედავად იმისა, რომ მას სხვა პრეტენდენტებისგან განსხვავებით, სოკ-ში მუშაობის ყველაზე ნაკლები გამოცდილება აქვს, როგმა ოლიმპიური იერარქიის ზედა საფეხურებზე ერთობ სწრაფად აინაცვლა. სოკ-ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი, რომელიც დაძაბული და პრობლემატური საკითხების მოგვარების დიდოსტატადაა მიჩნეული, სპორტულ სამყაროში პატივისცემით სარგებლობს.

სხვათა შორის, როგს ადრევე მიიჩნევდნენ სოკ-ის პოტენციურ პრეზიდენტად, თუმცა ამას სამარანჩის მისდამი კეთილგანწყობამაც შეუწყო ხელი. იმას, რომ ესპანელი მარკიზის ხელშეწყობით ბელგიელს კარიერა სწრაფად ვითარდებოდა, არავინ გაულიზიანებია, რადგან მას ისეთი განსაკუთრებული თვისებებით ახასიათებენ, როგორიც წესიერება და პატიოსნებაა.

თუმცა ზოგი მიიჩნევს, რომ ბელგიელს სოკ-ში მუშაობის არასაკმარისი სტაჟი აქვს, რათა პრეზიდენტი გახდეს.

ჩვენთვის საინტერესო კიდევ ისაა, რომ ჟაკ როგი სეოკ-თან საკმაოდ თბილ დამოკიდებულებაშია.



**დიკ პაუნდი (კანადა)**

ასაკი: 59
სპორტული კარიერა: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 1960 წლის რომის ოლიმპიადის ფინალისტი. 1962 წლის თანამეგობრობის თამაშების ჩემპიონი იმავე დისციპლინაში
პროფესია: იურისტი, ლექტორი
ადმინისტრაციული გამოცდილება სპორტში: სოკ-ის წევრია 1978 წლიდან. აღმასრულებელ საბჭოში პირველად კენჭი 1983 წელს უყარეს. იყო სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი. სოკ-ის სატელევიზიო უფლებათა მოლაპარაკებების კომისიას თავმჯდომარეობს 1983 წლიდან, ხოლო მარკეტინგს 1998 წლიდან. ანტიდოპინგური სააგენტოს პრეზიდენტი
ძლიერი მხარეები: მარკეტინგისა და სატელევიზიო უფლებათა გარიგებების მეშვეობით უზრუნველყოფს ოლიმპიადების კომერციულ წარმატებას. სარგებლობს მკაცრი შუამავლის რეპუტაციით, რომელმაც არაერთი საორგანიზაციო საკითხის მოგვარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა
სუსტი მხარეები: შესაძლოა სოლტ ლეიკ სიტის სამექრთამეო საქმის საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელობის გამო განაწყენებული კოლეგების რამდენიმე ხმა დაკარგოს. უარყოფითი თვისებაა პირდაპირობა. ამბობს იმას, რაც გულში აქვს
შანსები: სამ ფავორიტ კანდიდატთა შორის კენჭისყრამდე ერთ-ერთი მათგანი ფინალამდე უნდა გავარდეს. ის ერთ-ერთი კანდიდატი კი შესაძლოა პაუნდი აღმოჩნდეს

**ოლიმპიური** მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მოხელე, კანადელი დიკ პაუნდი ერთადერთია პრეზიდენტობისთვის მებრძოლ კანდიდატთა შორის, რომელიც სოკ-ში სამარანჩის პირველ საპრეზიდენტო ვადამდე გამოჩნდა. 59 წლის პაუნდი ესპანელი მარკიზის რევოლუციური ბიზნეს-იდეების ცხოვრებაში გატარების მთავარ თანამოაზრედაა მიჩნეული. ის, რომ სოკ-ის ანგარიშზე ყოველწლიურად მილიონობით დოლარი ირიცხება, სწორედ პაუნდის დამსახურებაა. სოკ-ის ფინანსურ აყვავებაში პაუნდის წვლილზე ამ რამდენიმე წლის წინ სამარანჩმაც ისაუბრა.

„მაშინაც კი, თუ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტის ახალი პრეზიდენტი უნიჭო ბიზნესმენი აღმოჩნდება, სოკ-ს გაკოტრება არ ელის. რამდენიმე ოლიმპიადამდე ადრე სატელევიზიო უფლებები გაყიდულია, ხელშეკრულებებიც გაფორმებულია სპონსორებთან" — იმედიანადაა სამარანჩი.

ყოველივე ამის ფონზე კანადელი სასურველ და უალტერნატივო კანდიდატად მოიაზრება, თუმცა საჭოჭმანოა, რომ სწორედ იგი ჩაუდგება სათავეში ოლიმპიურ მოძრაობას. ამის ხელისშემშლელ ფაქტორად შესაძლოა, ის გამოდგეს, რომ სოკ-ის სოლტ ლეიკ სიტისთან დაკავშირებული სამექრთამეო საქმე მან გამოიძია, რამაც მისი კოლეგები გააღიზიანა.

ორგანიზაციის წევრები თვლიან, რომ კანადელი მისთვის დაკისრებულ მოვალეობას ერთობ აქტიურად ასრულებდა. იმასაც ამბობენ, მისი ასეთი საქციელის გამო უკმაყოფილება სამარანჩმაც გამოხატაო.



**ანიტა დეფრანცი (აშშ)**

ასაკი: 48
სპორტული კარიერა: მონრეალის 1976 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი და გუნდის კაპიტანი ნიჩბოსნობაში. 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი
პროფესია: იურისტი
ადმინისტრაციული გამოცდილება სპორტში: აშშ-ს ნიჩბოსნობის ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი. სოკ-ის წევრია 1986 წლიდან, სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი 1997 წლიდან. 1984 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი
ძლიერი მხარეები: მსოფლიოს სპორტის ადმინისტრაციაში ყველაზე გავლენიანი ქალია. იგი პროპაგანდას უწევდა სპორტში და სპორტის ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ქალთა მოზიდვას
სუსტი მხარეები: საუბრობს დამტვრეული ფრანგულით (სოკ-ის მეორე ოფიციალური ენა)
შანსები: აუტსაიდერი. შეიძლება კენჭისყრის პირველი რაუნდიც ვერ გადალახოს

**ამერიკელი** ანიტა დეფრანცი ოლიმპიური მოძრაობის 107-წლიან ისტორიაში ერთადერთი ქალბატონია, რომელსაც სოკ-ის ხელმძღვანელობის სურვილი გაუჩნდა. მისი სქესი, ისევე როგორც კანის ფერი, და თანამდებობისათვის საკმაოდ ახალგაზრდული ასაკი პოლიტიზებული სოკ-ისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

აღსანიშნავია, რომ დეფრანცმა პირველმა გამოამჟღავნა თავისი საპრეზიდენტო ამბიცია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი არჩევნებში დაწინაურდება. მით უმეტეს, რომ ნაკლებ სავარაუდოა, აფრო-ამერიკელმა კონსერვატიული სოკ-ის ყველაზე გავლენიან სავარძელში მოიკალათოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოკ-ში ალლუმი ევროპელებს მიჰყავთ. როდესაც ამ ქალბატონზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება, არ ვახსენოთ სამარანჩის ამასწინანდელი განცხადება: „დროა, ქალები აქტიურად მოვიზიდოთ სპორტის ხელმძღვანელ ორგანოებში". ზოგმა სამარანჩის ეს სიტყვები მინიშნებად მიიღო, თუმცა უმეტესობა დეფრანცის გაპრეზიდენტებას არარეალურად მიიჩნევს. ყოველ შემთხვევაში, ახლანდელ არჩევნებში.

სხვათა შორის, დეფრანცის გამარჯვების შემთხვევაში ვარაუდობენ, რომ ამით ოლიმპიური მოძრაობის ამერიკანიზაციას დაედება სათავე. მეორენი კი ასეთ მოსაზრებას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ, რადგან თვლიან, რომ ეროვნულ ინტერესებზე მეტად იგი პროფესიონალიზმს აყენებს წინ.

სანამ დეფრანცი სოკ-ის ოლიმპიურ საფეხურებს შეუყვებოდა, მან სპორტულ სამყაროს თავი იმითაც დაამახსოვრა, რომ აშშ-ს პრეზიდენტ ჯიმი კარტერს სასამართლოში უჩივლა, რადგან ამ უკანასკნელმა ამერიკელ სპორტსმენებს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის ნება არ დართო. თუმცა დღეს აღარც ახსოვთ, საერთოდ შედგა თუ არა სასამართლო პროცესი და რა შედეგით დასრულდა.



**პალ შმიტი (უნგრეთი)**

ასაკი: 59
სპორტული კარიერა: ფარიკაობაში 1968 წლის მეხიკოსა და 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი
პროფესია: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. იყო ეროვნული სტადიონის დირექტორი. უნგრეთის ელჩი ესპანეთში (1993-97)
ადმინისტრაციული გამოცდილება სპორტში: უნგრეთის ეოკ-ში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობს 1989 წლიდან. სოკ-ის წევრია 1983 წლიდან. აღმასრულებელ საბჭოში პირველად კენჭი უყარეს 1991 წელს. არის სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი. ალბერვილისა (1992) და ლილეჰამერის (1994) ზამთრის ოლიმპიური თამაშებზე საკოორდინაციო კომისიის წევრი იყო. მუშაობდა ათლეტთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ (1984-88). მსოფლიოს ოლიმპიელთა ასოციაციის პრეზიდენტია 1999 წლიდან.
ძლიერი მხარეები: გამოცდილი სოკ-ის მოხელე. საუბრობს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, უნგრულ ენებზე
სუსტი მხარეები: მეტოქეებთან შედარებით პატარა თანამდებობებზე უმუშავია
შანსები: აუტსაიდერი. ალბათ საწყის რაუნდებში გამოეთიშება კენჭისყრას

**უნგრელი** პალ შმიტი ხუთ პრეტენდენტთა შორის ყველაზე ტიტულიანი სპორტსმენია, თუმცა მას ეს ვერაფერში დაეხმარება. შმიტი საპრეზიდენტო მარათონში თავიდანვე აუტსაიდერად მონათლეს. სხვათა შორის, თავადაც ასე ფიქრობს და ამაში საკუთარ თავსაც ადანაშაულებს.

„სხვებთან შედარებით ნაკლები შანსები მაქვს. შესაძლოა, ეს ჩემი ბრალიცაა. ჩემი შეცდომა ალბათ ისაა, რომ საკუთარი თავის გაყიდვა არასდროს მდომებია" — თვითკრიტიკულია შმიტი, თან მეტოქეებსაც გაჰკრა კბილი.

შმიტმა სოკ-ის პრეზიდენტობის სურვილი ადრევე გამოთქვა. გამარჯვების შემთხვევაში კი პირობას იძლევა, რომ დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას გააძლიერებს და კომპრომისებზე არ წავა, სანამ სპორტში ამ სიბინძურეს არ აღმოფხვრის.

უნგრელი წუხს იმის გამო, რომ სოლტ ლეიკ სიტის სკანდალმა სოკ-ის იმიჯი შელახა. მას მიაჩნია, რომ ახალმა პრეზიდენტმა ახალ ერას უნდა ჩაუყაროს საფუძველი.

სხვათა შორის, პალ შმიტი ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ეოკ-ს სტუმრობდა.



**კიმ უნ-იონგი (კორეა)**

ასაკი: 70
სპორტული კარიერა: ეროვნული ჩემპიონატების დონეზე ასპარეზობდა ტაეკვონდოში, ძიუდოსა და მძლეოსნობაში
პროფესია: პრემიერ-მინისტრის ყოფილი მდივანი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დელეგატი (1965), კორეის პრეზიდენტის საგანგებო ელჩი (1990). მრავალპროფილიანი ელჩი (1996). ორი კორეის გაერთიანების საბჭოს წევრი (1997)
ადმინისტრაციული გამოცდილება სპორტში: სეულის 1988 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. ტაეკვონდოს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი. 1986 წლიდან სპორტულ ფედერაციათა გენერალური ასოციაციის პრეზიდენტი. სოკ-ის წევრია 1986 წლიდან. მუშაობდა როგორც სოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, ისე მის ვიცე-პრეზიდენტად
ძლიერი მხარეები: მსოფლიოს სპორტულ ორგანიზაციებში სარგებლობს ძალიან გავლენიანი პირის სტატუსით, ისევე როგორც საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებში. კარგად ფლობს ინგლისურს, გარდა ამისა, იცის ფრანგული, ესპანური და იაპონური. მეტოქეებთან შედარებით, მას ალბათ ყველაზე მეტი კავშირები აქვს როგორც სპორტში, ისე მის გარეთ
სუსტი მხარეები: კიმი ყველაზე ხნიერი კანდიდატია. სოლტ ლეიკ სიტის სამექრთამეო სკანდალების გამო იგი ყველაზე მკაცრად გააფრთხილეს
შანსები: შესაძლოა არჩევნების ბოლო რაუნდში გავიდეს. იგი პრეზიდენტობის საკმაოდ რეალური კანდიდატია

**კორეელ** ბობოლა კიმ უნ-იონგს, ისევე როგორც მის მეტოქეებს, სწამს, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში ოლიმპიური მოძრაობა უფრო გაძლიერდება და სრულყოფილი გახდება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა სამხრეთკორეელის რეპუტაცია მნიშვნელოვნად შეარყია, იგი მაინც ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტთაგანია.

სოლტ ლეიკ სიტის სამექრთამეო მოვლენათა ფონზე მისი სოკ-ის უმთავრესი სავარძლისკენ სწრაფვამ ბევრთა გაოცება გამოიწვია.

მოგეხსენებათ, მაშინ სოკ-ის კომისიის მიერ წარმოებული გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ მის ქალიშვილს, რომელიც საკმაოდ ცნობილი პიანისტია, თეთრი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის აწ უკვე ყოფილმა ხელმძღვანელებმა ამერიკაში უმაღლესი დონის საგასტროლო ტურნე გაუხერხეს. ხოლო მისმა ძმამ, იონ კიმმა, ასევე საორგანიზაციო კომიტეტის თანამშრომელთა ძალისხმევით არაკანონიერი გზით აშშ-ში ცხოვრების უფლება მიიღო. სანაცვლოდ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის დიდმოხელენი უფროსი კიმისგან ხმას მოითხოვდნენ სოლტ ლეიკ სიტის სასარგებლოდ. თუმცა კიმს თავი დამნაშავედ არ უცვნია და აცხადებდა, ვერ გამიგია, ამ გაუგებრობაში საიდან მოვხვდიო. ისე, რაიმე სერიოზული რომ ყოფილიყო, მაშინ ჯორჯ ბუშ-უმცროსის საპრეზიდენტო ინაუგურაციაზე ვინ მიიწვევდა?

გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ექსპერტი კიმს საპრეზიდენტო მარათონში ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევს, ბევრი ფიქრობს, რომ ბოლო მომენტში ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება მისი ასაკი აღმოჩნდეს. იგი სხვა კანდიდატებთან შედარებით ყველაზე მხცოვანია.

კიმი თავის თავს ოლიმპიური ტრადიციების ძველი გვარდიის წარმომადგენელს უწოდებს და თვლის, რომ ბევრ ახალგაზრდას სჯობია.

## ოლიმპიადა 2008

ემზარ ზენაიშვილი

მოსკოვიდან



# ოლიმპიადა ჩინურ კედელში გავიდა

## ადამიანთა მოდგმა ღირსია ნახოს პარიზი, მაგრამ პეკინიც უნდა იხილოს

2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ კანდიდატ ქალაქთა მრავალწლიანი მარათონი 13 ივლისს, 18 საათსა და 10 წუთზე დამთავრდა.

თქვენთვის კარგად ცნობილ ხუთ ქალაქს, სამ კონტინენტს რომ წარმოადგენდნენ, უკანასკნელად მიეცათ შანსი — ერთი საფეხბურთო ტაიმის დროში დაერწმუნებინათ სოკ-ის წევრები შეუცდომელი არჩევნის გაკეთების აუცილებლობაში. რეგლამენტით ეს პროცედურა დილის ათის ნახევარზე იწყებოდა, მანამდე კი სოკ-ის სესია მუშაობას აგრძელებდა. სწორედ იმ დროს, სოკ-ის გენერალური მდივანი, ქალბატონი ფრანსუაზა ცვეიფელი რომ ლაპარაკობდა და ხუან ანტონიო სამარანჩის დამსახურებაზე ენად გაკრეფილიყო, ამ უკანასკნელმა საკმაოდ უცერემონიოდ შეაწყვეტინა — თქვენ ხვალ შეგიძლიათ გააგრძელოთ, ახლა კი ოსაკას დელეგაციის პრეზენტაციის დროაო.

წინა დღეს უკვე გაიმართა კანდიდატი ქალაქების პრესკონფერენციები. როგორც ჟურნალისტების ნაწილმა მიიჩნია — შეჯიბრების ეს მონაკვეთი კარგად ჩაატარა გამარჯვებაში დარწმუნებულმა ტორონტომ.

სოკ-ის წევრების წინაშე ქალაქების პრეზენტაციებს შოუს ფორმა ჰქონდა. დელეგაციათა შემადგენლობის მრავალფეროვნება — ასაკობრივად, ეროვნულად, თანამდებობრივად, ოლიმპიური თუ მსოფლიოს ჩემპიონებითა და პრიზიორებით, კლასიკური მუსიკის შემსრულებლებით და ფოლკლორული ანსამბლებით, სპეციალური ეტლებით და ინვალიდი სპორტსმენებით, ბრწყინვალე ვიდეომასალით და მრავალრიცხოვანი გამოსვლებით...

ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაციებით წარდგნენ კანადელები და ფრანგები — მათ შემადგენლობაში ქვეყნის პრემიერ-მინისტრებიც იყვნენ. ჩინელები წარმოდგენილნი იყვნენ ვიცე-პრემიერით, ოსაკა — ქალაქის მერით, სტამბოლი — ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობით.

სანახაობრივად ყველაზე ლამაზი, ყველაზე ემოციური, ზუსტად აქცენტირებული... პეკინის პრეზენტაცია გახლდათ. წინასწარი კენჭისყრით მათი გამოსვლა რიგით მეოთხე იყო, შესვენების შემდეგ დაიწყო და განსაზღვრული 45 წუთის ნაცვლად საათნახევარი გასტანა, ყველაზე მეტი შეკითხვაც პეკინს დაუსვეს — 11. და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიზაციის თაობაზე.

შინაარსობრივად ძალიან კარგი იყო პარიზის წარდგენაც. შემაშფოთებელი სიტყვები გაისმა ტორონტოს მისამართით, რომელიც დაკავშირებული იყო ამ ქალაქის მერის შეურაცხმყოფელ გამონათქვამებთან აფრიკელთა მიმართ. თავის მართლება მოუწია სოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატს რიჩარდ პაუნდს, ამ თემას შეეხო ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც. სიტუაცია განმუხტა სოკ-ში და საერთოდ სპორტულ წრეებში ძალზე ავტორიტეტულმა სენეგალელმა მოსამართლე კება მბაიემ, რომელიც სოკ-ის აღმასკომის წევრიცაა. „მე ჯერ გადმომცეს ტორონტოს მერის ზეპირი ბოდიში, გუშინ კი მივიღე წერილობითი სახითაც, რის თაობაზეც ვაცნობე სოკ-ის წევრ ყველა ჩემს აფრიკელ კოლეგას. სკანდალი ამოწურულად შეიძლება ჩავთვალოთ — ბოდიშის მოხდის შემდეგ აფრიკელები წყენას გულში არ იტოვებენ“ — განაცხადა მან.

ყველაზე ხანმოკლე (დაახლოებით 35 წუთი) სტამბოლის პრეზენტაცია იყო. ყველაზე ნაკლები შეკითხვაც — სულ ორი, მათ მისცეს — ჩვენ კიდევ მრავალჯერ ვეცდებით, რომ სტამბოლმა გამარჯვება იზეიმოს. კულტურული ჰარმონიის ქვეყანა, რეგიონალური დედაქალაქი, სამი იმპერიის ისტორიული ცენტრი, კონტინენტთა შეხვედრის ქალაქი — სტამბოლი ღირსია უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს. და უმასპინძლებს კიდეც — როცა ყველაფერი დამთავრდა, მეუბნება თურქეთის ეოკ-ის გენერალური მდივანი, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი თოგაი ბაიათლი. და დაუმატა — ჩვენ სტამბოლს საჩუქრად მივუძღვნით ოლიმპიურ მოძრაობას.



REUTERS

პეკინს და პეკინელებს ცეკვა-თამაშის ჟამი დაუდგათ

სოკ-ის წევრთაგან შეკითხვებით ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ პრინცი ალბერი, რომელმაც ყველა ქალაქს დაუსვა შეკითხვა და უკვე მოხსენიებული კება მბაიე, რომელიც მხოლოდ ერთს ეკითხებოდა ყველა დელეგაციას და პასუხად მხოლოდ „კის“ ან „არას“ ითხოვდა — შეკითხვა კი დოპინგთან ბრძოლას შეეხებოდა.

მხოლოდ ფავორიტი სამეულის პრეზენტაციის ზოგიერთ მომენტს, კერძოდ, არგუმენტების საკითხს შევეხები.

**პეკინი:** ჩავატარებთ ყველაზე გიგანტურ თამაშებს შესანიშნავი სერვისით. ახალ პეკინში უზრუნველვყოფთ ყველაზე „მწვანე“, ყველაზე მაღალტექნიკურ და ყველაზე სახალხო თამაშების ჩატარებას. დღეს მზადაა სპორტული არენების 40 პროცენტი. სრული მზადყოფნისთვის საჭიროა 1,6 მილიარდი დოლარი. ეს მხოლოდ 10 პროცენტია იმ ინვესტიციებისა, რომელსაც ქალაქის ხელმძღვანელობა დებს ყოველწლიურად მხოლოდ მშენებლობაში. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პეკინში გაიმართა 50-ზე მეტი მსოფლიო და კონტინენტური სპორტული შეჯიბრებები, 600 ათასი მოხალისე მზადაა იმუშაოს თამაშებისთვის. გავაერთიანოთ მსოფლიო ცივილიზაციათა გაერთიანებით (ჩინეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელმაც კულტურული პროგრამაც წარმოადგინა).

ოლიმპიური თამაშების მომზადებაზე ჩინელები დახარჯავენ 14 მილიარდ დოლარს, მოგების შემთხვევაში შექმნიან საგანგებო ფონდს, რომელსაც განაგებენ სოკ-თან პარტნიორობით.

„ყველა შემთხვევაში თქვენ დღეს გააკეთებთ არჩევანს. მაგრამ თქვენ გაქვთ უნიკალური შანსი — გააკეთოთ ისტორიული არჩევანი, რითაც ქვეყნის მილიარდიან მოსახლეობას მისცემთ შესაძლებლობას ჩადგეს ოლიმპიზმის სამსახურში. რვა წლის შემდეგ თქვენ იამაყებთ თქვენი გადაწყვეტილებით“ — ამ სიტყვებით დაამთავრა პრეზენტაცია სოკ-ის წევრმა ჩინეთიდან შენგრონგ ლუმ.

**ტორონტო:** ხუთმილიონიანი ქალაქის 160 ერისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები მიესალმნენ ოლიმპიურ თამაშებს. ტორონტო მსოფლიოს ყველა ენაზე ძალზე კარგად ჟღერს. სპორტული არენების 75 პროცენტი მზადაა.

**პარიზი:** საფრანგეთის დედაქალაქი ჩაატარებს იმ დონის თამაშებს, რომელიც მსოფლიოს დედაქალაქს ეკადრება. 75 პროცენტი სპორტული არენებისა მზადაა. პარიზში ჩაეყარა საფუძველი ადამიანის უფლებების დაცვას. ჩვენ კვლავაც ვივლით ამ გზით. ათი ათასი სპორტსმენი, ძირითადად ახალგაზრდები, სუსტადგანვითარებული ქვეყნებიდან, მოემზადებიან საფრანგეთში, პრეზენტაციის ლაიტმოტივი ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები გახლდათ — ადამიანთა მოდგმა ღირსია პარიზის ხილვისა.

პრეზენტაციის შემდეგ სოკის წევრებმა მოისმინეს კანდიდატი-ქალაქების მზადყოფნის შემფასებელი კომისიის დასკვნა, რომელიც მისმა თავმჯდომარემ, ჰოლანდიელმა ჰეინ ვერბრიუგენმა წარმოადგინა. პეკინის თაობაზე მათი აზრი ასეთი იყო — ჩინელებს შეუძლიათ ჩაატარონ მაღალხარისხოვანი თამაშები, ხოლო საზოგადოების დემოკრატიზაციის ტემპი იძლევა იმის იმედს, რომ 2008 წლისთვის ჩინეთში ამ მხრივ პრობლემები არ იქნება.

შემდეგ კი დაიწყო კენჭისყრის პროცედურა. ოღონდ ხმის მიცემის წინ ტექნიკა შეამოწმეს, წვრთნაც ჩაატარეს, სოკ-ის 13 წევრს სთხოვეს კენჭისყრაში არ მიეღოთ მონაწილეობა (დაინტერესებული მხარეები — ორი იაპონელი, სამ-სამი ჩინელი და ფრანგი, ხუთი კანადელი) სოკ-ის პრეზიდენტიც არ იღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.

18.00: ჩატარდა პირველი ტური. ორი წუთის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ოსაკამ ბოლო ადგილი დაიკავა. 18.08 წუთზე კი, უკვე მეორე ტურში, გამარჯვებული გამოვლინდა — პეკინი, 106 ხმიდან 56 რომ მიიღო.

ამ ინფორმაციის შემდეგ გენახათ ერთი, რა ხდებოდა პრესცენტრში!.. როგორც ამბობენ, 2000-მდე აკრედიტებული ჟურნალისტიდან 300-ზე მეტი ჩინეთიდანაა.

ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის გამოცხადების შემდეგ რამდენიმე კოლეგას, აგრეთვე სოკ-ის წევრებსა და ეოკ-ის ხელმძღვანელებს ვთხოვე აზრის გამოთქმა.

ტაკასი მაცუიამა, იაპონური სააგენტო „ჯი ჯი პრესის“ კორესპონდენტი: „ჩემს ქვეყანაში არავის სჯეროდა ოსაკის წარმატებისა. ეს მხოლოდ ქალაქის ინიციატივა გახლდათ და მათ თავიანთი ჭია გაახარეს. იაპონიაში უკვე სამჯერ იყო თამაშები — ზაფხულისაც და ზამთრისაც. ჯერ ჩვენი რიგი არაა. დარწმუნებული ვიყავი, რომ პეკინი გაიმარჯვებდა. მას საშიში მეტოქე არ ჰყავდა.“

იოზეფ ტატერა, პოლონეთის ეოკ-ის გენერალური მდივანი: „ოსაკას ბოლო ადგილს მაინც არ ველოდი. თუმცა პეკინის გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა. ღირსეული არჩევანი გაკეთდა.“

გუნილა ლინდბერგი, სოკ-ის აღმასკომის წევრი, შვედეთის ეოკ-ის გენერალური მდივანი: „არ გეტყვით, ხმა ვის მივეცი, პეკინი ცუდი არჩევანი ნამდვილად არ იყო. კარგ თამაშებს პარიზიც ჩაატარებდა და ტორონტოც.“

ივან სლავკოვი, სოკ-ის წევრი, ბულგარეთის ეოკ-ის პრეზიდენტი: „მე თავის დროზე პეკინს დავუჭირე მხარი, დღესაც იგივე გავაკეთე, ყველას შეეძლო, კარგი თამაშები ჩაეტარებინა, განსაკუთრებით ფავორიტ სამეულს. ბრწყინვალე იყო ჩინელთა პრეზენტაცია.“

ბაი ჰუა, „ამერიკის ხმის“ ჩინური სამსახური: „მადლოვეთ, აზრზე მოვიდე, ბედნიერები ვართ. თან გვჯეროდა, თან ვშიშობდით — წაგების გამოცდილებაც ხომ გვქონდა. კიდევ ერთხელ დავანახებთ მსოფლიოს, რა შეუძლიათ ჩინელებს.“

მაშ ასე, ოლიმპიადის დედაქალაქი არჩეულია! კიდევ ორი დღე და ოლიმპიზმის ოლიმპზე 21-წლიანი ყოფნის შემდეგ ხუან ანტონიო სამარანჩი დატოვებს თავის პოსტს. ესპანელი მარკიზი, რომელმაც ევოლუციის გზით მოახდინა რევოლუცია ოლიმპიურ მოძრაობაში. ასეთი რამ კი მხოლოდ ძალზე ნიჭიერთა და ძლიერთა ხვედრია.

სწორედ ასეთი გახლდათ სოკ-ის მეშვიდე პრეზიდენტი.

მაგრამ ვის რჩება ტახტი? ვინ გაბედავს შეუცვლელი ხუან ანტონიო სამარანჩის შეცვლას? აკი სოკ-ის უხუცესი წევრი ჟოაო აველანჟი და მისი მექსიკელი კოლეგა, ეოკ-თა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი მარიო ვასკეს რანია ამ ერთი წლის წინ ამტკიცებდნენ — გვეცოდება ის პიროვნება, სოკ-ის პრეზიდენტობა რომ უწერია. ის, რაც გაკეთდა სამარანჩის დროს, მაქსიმუმია. მეტის მიღწევა შეუძლებელია, ხოლო მიღწეულის შენარჩუნებას თუ შეძლებს — აფერუმ მის ვაჟკაცობასო.

და მაინც, გამოჩნდნენ მსურველები: ამერიკელი ქალბატონი ანიტა დეფრანცი, ბელგიელი ჟაკ როგი, კანადელი რიჩარდ პაუნდი, კორეელი კიმ უნ-იონგი და უნგრელი პალ შმიტი.

ვის მხარეს გადაიხრება სოკ-ის წევრთა სიმპათიები 16 ივლისს? პეკინის არჩევის შემდეგ მთელი ორი დღე სწორედ ამ თემაზე იქნება სჯა-baasი და კამათი, მოსაზრებათა გაცვლა, პროგნოზების სიმრავლე, ვარიანტთა კორიანტელი.

რამდენადაც პროგნოზირებადი იყო პეკინის გამორჩევა ხუთეულში, იმდენად რთულია პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატზე დარწმუნებით თქვა — სწორედ მას აირჩევენო.

ჩვენც შევეცადოთ რამდენიმე კრიტერიუმით ვიწინასწარმეტყველოთ, ვინ შეაბიჯებს სოკ-ის ლოზანის ოფისში პრეზიდენტის რანგში.

ასაკის მიხედვით კანდიდატთა შორის ყველაზე ხანდაზმული კორეელი კიმია. მან უკვე მერვე ათეულში გადააბიჯა.

ყველაზე ახალგაზრდა ანიტა დეფრანცია — ის მხოლოდ აღნიშნავს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, როგს, შმიტსა და პაუნდს კი 60 წელი შეუსრულდებათ.

სოკ-ის წინა შვიდი პრეზიდენტიდან ყველაზე ახალგაზრდა, პიერ დე კუბერტენი ქრისტეს ასაკში აირჩიეს, ყველაზე ხანდაზმული კი შვედი ედსტრიომი (76 წელი) იყო. დანარჩენთა ასაკი 43-დან 65 წლამდე მერყეობდა.

გამოდის, რომ სოკ-ის პრეზიდენტის პოსტის მნიშვნელობის გათვალისწინებით ოთხეულს კარგი ასაკი აქვს.

ანიტა დეფრანცს სქესი შეიძლება პლუსად ჩაეთვალოს და ანალოგიური წარმატებით დიდ მინუსადაც. და ეს გასაგებიცაა.

ენების ცოდნის მიხედვით (ინგლისურისა და ფრანგულის ცოდნას ოლიმპიური ქარტია ითხოვს) ასეთი მდგომარეობაა: ქალბატონი ანიტა მხოლოდ ინგლისურს ფლობს, მისი მეზობელი პაუნდი დამატებით ფრანგულსაც, დანარჩენი სამი კი ხუთ ენაზე ლაპარაკობს, მათ შორის ოლიმპიური ოჯახისთვის ძალზე მნიშვნელოვან ესპანურ ენაზეც.

სპორტული კარიერის მიხედვით უდავო ჩემპიონი უნგრელი შმიტია — ის ორჯერ გახლდათ ოლიმპიური ჩემპიონი, სხვა ტიტულებს რომ თავი დავანებოთ. დეფრანცი ოლიმპიური თამაშების პრიზიორია, როგი — ოლიმპიური თამაშების სამგზის მონაწილე აფროსნობაში და პროფესიულ დონეზე რაგბისაც თამაშობდა. პაუნდს უასპარეზია ოლიმპიურ თამაშებში (ცურვაში), კიმი კი მხოლოდ მოყვარული სპორტსმენი ყოფილა.

ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახი პაუნდს ჰყავს — ის თავის სამ შვილთან ერთად ორ აყვანილსაც ზრდის. კიმი და შმიტი სამ-სამი, ხოლო როგი ორი შვილის მამაა. თავის ბედს ელის დეფრანცი.

გარდა ანიტა დეფრანცისა, ყველა პრეზიდენტობის კანდიდატი თავისი ეოკ-ის პრეზიდენტიც იყო და გენერალური მდივანიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გორანიადა აგორდა



REUTERS სპლიტიდან

გრძელდება უიმბლდონის მომგებ გორან ივანიშევიჩის სადიდებელი დღეები ხორვატიაში. ზვონიმირ ბობანს, განთქმულ ხორვატ ფეხბურთელს შუბლზე ნაჭერი წაუკრავს, რომელსაც აწერია: „გმადლობთ, გორან". ევროპის დიდგუნდებმოვლილი ბობანი ახლა სპლიტის „ჰაიდუკში" გადადის, ივანიშევიჩს კი მშობლიური ქალაქის ამ გუნდთან სიმბოლური კონტრაქტი გაუფორმებია, გაუშვი, ფეხბურთელიც ვიყოო. ჰოდა, ეს ორნი თანაგუნდელებიც გამოდიან. თავად გორანი ქალბატონ ბისეკა პეტროვიჩს შეხვედრია, დიდი კალათბურთელის, 1993 წელს დაღუპული დრაჟენ პეტროვიჩის დედას. ივანიშევიჩმა ხომ სწორედ მეგობრის ხსოვნას მიუძღვნა თავისი გამარჯვება.



REUTERS სპლიტიდან

## მიდი, რებეკა!

27 აგვისტოს ნიუ იორკის ფლეშინგ მიდოუსის კორტებზე ამერიკის ღია პირველობა დაიწყება ჩოგბურთში. ეს გოგონა, 27 წლის რებეკა მონტანესი, იმ ოთხასი ახალგაზრდიდან ერთ-ერთია, ამ შეჯიბრზე ბურთის მიმწოდებლად რომ უნდა სამსახური. გამოცდები მკაცრია, კონკურსი და პატივი ამ საქმეში მონაწილეობისა — დიდი.



## კიდი აბარგდა



**ჯეისონ კიდმა** კლუბი გამოიცვალა. ფინიქსიდან ჩრდილოეთით აბარგდა და ახალი სეზონიდან „ნიუ ჯერსი ნეთსის" რიგებში ვიხილავთ. სანაცვლოდ, სამხრეთისაკენ ნეთსელმა სტივენ მარბერიმ გასწია. კალათბურთზე მწერალმა ჟურნალისტებმა კი პირველ ნიუჯერსულ პრესკონფერენციაზე არ ამოასუნთქეს ჯეისონი.

## მანდელას ჩირაღდანი



REUTERS რობენ აილენდიდან

ნელსონ მანდელა, არნოლდ შვარცნეგერი და პარაოლიმპიელი დანიელ სეფტემბერი, ეგრეთ წოდებულ იმედის ჩირაღდანს აბრიალებენ რობენ აილენდის აწ დახურული ციხის წინ. ამ ციხეში 26 წელიწადს იჯდა თავად მანდელა, აქცია კი სწორედ პარა-ოლიმპიადის მხარდაჭერას მიეძღვნა.



REUTERS სიდნეიდან

## ლომთა ტურიზმი

მოახლოვდა ბრიტანელი ლომებისა და ავსტრალიელი მორაგბეების მესამე ტესტი, რომელიც დღეს გაიმართება სიდნეიში. ლომების ექსკვირიანმა ყოფნამ ავსტრალიაში ტურიზმის განხრით 51 მილიონი დოლარი შესძინა ავსტრალიას. უდიდესი ავსტრალიელი მორაგბე დევიდ ქემფიზი ავტოგრაფების გაცემას ვერ აუდის. მსურველები კი სწორედ ბრიტი ტურისტები არიან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge